ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008

დარჩა 60 დღე

№ 134 (12 510) 9 ივნისი ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## კუბიცას ფორმულა: პირველი პოლონელი

ფორმულა 1. კანადის დიდი პრიზი

16



## ივანოვიჩი და ნადალი

ჩოგბურთი. როლან გაროსი

14

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

| დღეს | |
|---|---|
| C ჯგუფი | |
| ციურიხი | |
| რუმინეთი-საფრანგეთი | 20:00 |
| C ჯგუფი | |
| ბერნი | |
| ჰოლანდია-იტალია | 22:45 |

# პოლდიმ სამშობლო ააფეთქა




მასპინძლები ქულებს არიგებენ. ავსტრია-ხორვატია 0:1

9

## ფრაისთვის ევროპა დასრულდა



## რუსეთი მინუს პოგრებნიაკი



ევროამბები

7

## ვან ბასტენი რობენზე სწუხს, დონადონი პანუჩის ვერ გარისკავს

დღეს C ჯგუფი იწყება

6

# სტარტზე გამარჯვება საქმის ნახევარია



მეირელეში, 2:0



სვერკოში, 1:0

A ჯგუფი

8

# გასაქცევად გამზადებული ფეხბურთელები არ გვჭირდება

## ილია კოკაიას მარტო საგზური არ ხიბლავს



გოგი ფიფია (მარჯვნივ)

**"ზესტაფონის"** პრეზიდენტმა ილია კოკაიამ ოთხი წლის ჩასუნთქული, ერთბაშად ამოისუნთქა. ოთხწლიანი იმედებისა და იმედგაცრუებების შემდეგ, იმერულმა კლუბმა ტიტული მოიპოვა და საქართველოს თასს დაეუფლა.

ილია კოკაია წარმატებებით უზომოდ ბედნიერია და გუნდის განვითარების გეგმებს ადგენს.

**- როგორც იქნა, საქართველოს თასს დაეუფლეთ და თქვენთან ერთად, ზესტაფონელებმაც ამოისუნთქეს. განცდა მშვენიერია, მომავალი როგორია?**

- მომავალი გაცილებით რთულია. მიღწეული უნდა შევინარჩუნოთ და გაცილებით მეტისთვისაც ბრძოლა გვევალება. მთავარი საქართველოს თასის ან ჩემპიონობის მოპოვებაც არაა. ამას წარმატებად არავინ ჩაგვითვლის. მიზანი ევროტურნირებზე წარმატებით გამოსვლაა და მე მხოლოდ ერთი ან ორი წრის გავლას არ ვგულისხმობ.

**- მთავარი მართლა არ არის ევროსაგზურის მოპოვება. მთავარია, ტურნირში ქვეყანას როგორ წარმოადგენთ. გულახდილად გვითხარით, დღევანდელი "ზესტაფონით" ამის იმედი გაქვთ?**

- ამ გუნდით სერიოზული წარმატების მიღწევა ძნელი იქნება. ჯერ ერთი, ჩვენ ევროტურნირებზე მონაწილეობის გუნდური გამოცდილება არ გაგვაჩნია. ვითამაშეთ "ტობოლთან" და შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მცირედი გამოცდილება შევიძინეთ. შარშანდელი ინტერტოტო მხოლოდ ამით იყო პოზიტიური მოვლენა. თუმცა უეფას თასზე სულ სხვა დონის მეტოქეები გვეყოლება, სულ სხვა დატვირთვები, სიჩქარეები და სირთულეებია. ამას კი შესაბამისი მომზადებაც სჭირდება. ჩვენ საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. საუბედუროდ, მაგალითიც არ გვყავს.

ძველ "დინამოს" არ ვგულისხმობ. დღევანდელი ქართული კლუბებიდან წარმატებული გამოსვლით, ჩვენდა სამწუხაროდ, თავს ვერავინ მოიწონებს. მხოლოდ ორჯერ იყო, როდესაც ისევ თბილისის "დინამომ" მოახერხა უეფას თასზე რამდენიმე ეტაპის გავლა, ოთხი წლის წინათ კი, ჯგუფურ ტურნირზე მოხვედრა.

**- "ტობოლთან" გამოვარდნის ერთ-ერთი მიზეზი მატჩის თბილისში ჩატარებაც ხომ არ იყო? სულ სხვა განცდაა, როდესაც მშობლიური სტადიონის გადაჭედილი ტრიბუნები გგულშემატკივრობენ. რამდენად რეალურია, უეფას თასის პირველ მატჩამდე ზესტაფონის სტადიონმა მკაცრი მოთხოვნები დააკმაყოფილოს?**

- ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ პრობლემები დროულად მოვაგვაროთ. მუშაობა უკვე დაწყებულია. სტადიონის რეკონსტრუქცია ორ ეტაპად წარიმართება. პირველ ეტაპზე შევეცდებით, უეფას მინიმალური მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ და წლევანდელ ტურნირს სახლში ვუმასპინძლოთ. მეორე ეტაპზე კი გენერალური რეკონსტრუქცია დავგეგმეთ. ეს აუცილებლად მოხდება, რადგან ზესტაფონში ევროპული დონის სტადიონი უნდა გვქონდეს.

ამას გარდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ინაფრასრუქტურის მოწესრიგება.

**- ამჟამად, რა ცვლილებებია შემადგენლობაში მოსალოდნელი?**

- "ზესტაფონს" ჰაერივით სჭირდება გაძლიერება, ახალი მოთამაშეების დამატება და ამ კუთხით ვმუშაობთ. თემურ მახარაძემ უკვე დაიწყო ამ თვალსაზრისით მუშაობა, ვფიქრობ, სერიოზული დანაკლისი არ იქნება. რამდენიმე მოთამაშეს კონტრაქტი დაუმთავრდა და მახარაძის გადასაწყვეტია, რომლის დატოვება ულირს და რომლის - არა.

**- როგორც ვიცით, კონტრაქტები ედიკ საჯაიასა და შოთა ლონლაძეს უმთავრდებათ.**

- ლონლაძეს კონტრაქტი ჯერ არ დასრულებია და რჩება. საჯაიას კი დაუმთავრდება ორ თვეში. მან უნდა გადაწყვიტოს, ულირს თუ არა დარჩენა.

საერთოდ, ჩვენი პრინციპია - თუკი გრძელვადიანი კონტრაქტი არ აქვს მოთამაშეს, მისი დატოვება არ გვილირს.

**- როგორ გადაწყდა გოგი ფიფიას საკითხი, რომელიც, თურმე, ორი თვე ხელფასს ვერ ილებდა?**

- მისი გადასაწყვეტი იყო, დარჩებოდა თუ არა. "ზესტაფონმა" თავიდანვე განსაზღვრა საკადრო პოლიტიკა. ჩემოდანზე დამჯდარ მოთამაშეებს ვერ ავიტანთ.

**- სამწუხაროდ, დღეს ყველა ამბიციური ფეხბურთელი საქართველოში ჩემოდანზე ზის.**

- სამუშაოა ეს ყველაფერი. თუკი ფეხბურთელებს ამ აზროვნებას არ შევუცვლით, არაფერი გვეშველება. მათ თავად არ უნდა აწყობდეთ არასტაბილურობა, მუდმივად სხვაგან საქმეს გულს ვერ დაუდებენ.

რაც შეეხება ფიფიას, დაელოდოს კონტრაქტის დასრულებას და წავიდეს, ან გადაიხადოს კონტრაქტის საფასური და დავემშვიდობებით.

სხვათა შორის, გასაოცარია - უცხოელები "ზესტაფონში" უფრო გულით თამაშობენ და ვარჯიშობენ, ვიდრე ბევრი ქართველი. ეს ეტყობათ კიდეც.

**- "ზესტაფონის" ბაზის მშენებლობას როდის იწყებთ?**

- მთავარია მიწის საკითხი გადაწყდეს და მშენებლობას ეგრევე დავიწყებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები. სამწვრთნელო საკითხი

# ჯერ ოთხია, მერე ვნახოთ

## სიას თენ კეიტი დაემატა?

კლაუს ტოპმიოლერის წასვლის შემდეგ, ეროვნულ ნაკრებს ესტონეთთან და პორტუგალიასთან გასვლით ამხანაგურ მატჩებში 21-წლამდელთა თავკაცი **პეტარ სეგრტი** ხელმძღვანელობდა. ამ თამაშების შემდეგ, ხორვატმა მწვრთნელმა ეროვნული გუნდის თავკაცად დარჩენის სურვილი გამოთქვა. სეგრტის დარჩენას ნაკრების ფეხბურთელებიც ემხრობიან. **ზურაბ ხიზანიშვილმა** და **ალექსანდრე იაშვილმა** "ლელოსთან" საუბარში სწორედ ეს განწყობა გამოხატეს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკითხი გადაწყვეტილია.

ჩვენი ინფორმაციით, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მწვრთნელის ძიებას განაგრძობს. ავსტრია-შვეიცარიის სტადიონებზე ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, რომელიც არაერთ მწვრთნელს "გამოათავისუფლებს". ესეც რომ არა, კვალიფიციური მწვრთნელები სწორედ კონტინენტის პირველობის დასრულებას ელიან და მანამდე რომელიმე კლუბთან ან ფედერაციასთან მოლაპარაკებებისგან თავს იკავებენ.

როგორც შევიტყვეთ, ამჟამად ოთხი კანდიდატურა განიხილება. სამის ვინაობა ჩვენთვის ისედაც ცნობილი იყო - **პეტარ სეგრტი, ფოლკერ ფინკე** და **მორტენ ოლსენი**. მეოთხე კი "ბარსელონაში", "აიაქსსა" და "ჩელსიში" ნამუშევარი, ჰოლანდიელი **თენ კეიტია**. ბოლოს ის **აბრაამ გრანტის** ასისტენტი იყო "ჩელსიში".

კეიტის კანდიდატურა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** არ უარყვია.



თენ კეიტი

**- რა სტადიაშია ეროვნული ნაკრების მწვრთნელის საკითხი?**

- მუშაობას ვაგრძელებთ, მაგრამ მასშტაბებს 2 კვირის შემდეგ უფრო გავაფართოვებთ. ევროპის ჩემპიონატი დასკვნით სტადიაში გადავა და მერე უფრო მასშტაბურად შეგვეძლება ამ საკითხზე მუშაობა.

**- ეროვნულ ნაკრებს როდის ეყოლება ახალი თავკაცი?**

- ივნისის ბოლოს თუ არა ივლისში მაინც ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი იქნება.

**- ამჟამად რამდენი კანდიდატია?**

- სამი, თუმცა შეიძლება ითქვას ოთხი.

**- იქნებ ისინი დაგვისახელოთ...**

- პეტარ სეგრტი, ფოლკერ ფინკე... დანარჩენების დასახელებას, ჯერჯერობით, ვერიდებით.

**- მესამე მორტენ ოლსენია...**

- თუ მას სურს დატოვოს დანიის ნაკრები, სიამოვნებით დავიწყებთ მასთან კონკრეტულ მოლაპარაკებებს.

**- მეოთხე ვინაა?**

- ერთი ჰოლანდიელი მწვრთნელია, ევროპის ცნობილ კლუბებში უმუშავია.

**- ჰოლანდიალი თენ კეიტი... უარყოფთ?**

- არა, არ უარვყოფ. ვნახოთ, ჯერჯერობით, მეტს ვერაფერს გეტყვით. 15-20 ივნისიდან ამ საკითხზე უფრო აქტიურად და მასშტაბურად ვიმუშავებთ.

უგულავამ ამ ეტაპზე მეტი ვერაფერი გვითხრა. თუმცა ამ დროისთვის ესეც საკმარისია - 4 კანდიდატი განიხილება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრებს უცილობლად ამ ოთხიდან ერთ-ერთი ჩაიბარებს. სულაც არაა გამორიცხული (და ფედერაცია ამაზეც მუშაობს), რომ სიას კიდევ არაერთი კანდიდატი დაემატოს და სწორედ მათგან ერთ-ერთმა ჩაიბაროს ჩვენი ნაკრები.

**დავით ცაბაძე**

# თარგამაძემ ბაიერნთან წააგო და ბაიერნს გადაასწრო

გუშინ, 19-წლამდელთ ბუნდესლიგის სამხრეთ-სამხრეთდასავლეთ ზონის გათამაშება დასრულდა. ბოლო ტურში **დავით თარგამაძის** "ფრაიბურგმა" მიუნხენის "ბაიერნს" უმასპინძლა და 2:5 წააგო. თარგამაძემ სრულად ითამაშა ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე.

მიუხედავად გუშინდელი მარცხისა, "ფრაიბურგმა" მეორე ადგილი შეინარჩუნა და ნახევარფინალში გავიდა. ბაიერნელი ჯეელები ბადენვიურტემბერგელებს ერთი ქულით ჩამორჩნენ. პირველ ადგილზე კი "შტუტგარტი" გავიდა და "ფრაიბურგთან" ერთად ნახევარფინალის საგზური მოიპოვა.

19-წლამდელთა ბუნდესლიგა სამ ზონად არის დაყოფილი: ჩრდილოეთ-ჩრდილოაღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთ-სამხრეთდასავლეთი. **ლევან ყენიას** "შალკე" დასავლეთ ზონაშია, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. სამხრეთ-სამხრეთდასავლეთ ჯგუფის გარდა სხვა ჯგუფებიდან მხოლოდ ერთი გუნდი გადის მომდევნო ეტაპზე. თითოეულ ზონაში 14-14 გუნდია.



დავით თარგამაძე

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. ბორჯომი

# ტრადიციული აღმასვლა და დაცემა

**ბორჯომი**

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| გოგიჩაიშვილი | 19 | 10 | - | - | - |
| ქარქოზაშვილი | 18 | 15 | 2 | 6 | - |
| თედიაშვილი | 18 | 11 | 2 | 3 | - |
| ლ. მერებაშვილი* | 13 | 13 | - | 5 | - |
| ლ. ჭელიძე* | 13 | 13 | - | 2 | - |
| შ. გრიგალაშვილი | 13 | 12 | 4 | 4 | - |
| შეყრილაძე (მეკ.)* | 12 | 12 | -7 | 1 | - |
| მემარნიშვილი | 12 | 12 | 1 | 5 | - |
| ნერგაძე* | 12 | 12 | 1 | 3 | - |
| კ. ხანიშვილი* | 12 | 11 | 1 | 2 | - |
| შ. ჯიქია* | 12 | 10 | 6 | 3 | - |
| ყველაშვილი* | 12 | 7 | 2 | 2 | - |
| ნ. ლომიძე | 12 | 7 | 2 | 1 | - |
| ნასყიდაშვილი | 12 | 3 | - | - | - |
| ბაბუნაშვილი* | 11 | 11 | - | 3 | 1 |
| ქავთარაძე** | 10 | 10 | - | 3 | - |
| აკობია* | 10 | 10 | - | 2 | - |
| თ. ლონლაძე* | 10 | 10 | - | 2 | - |
| კაკუბავა** | 9 | 9 | - | 3 | 2 |
| ვ. გოლქვაძე** | 9 | 9 | - | 2 | - |
| ჯიუსტი** | 9 | 8 | - | 1 | - |
| კირთაძე** | 8 | 8 | - | - | - |
| სეფიაშვილი (მ..)** | 8 | 8 | -16 | - | - |
| გუგავა** | 7 | 6 | - | - | - |
| დევიძე | 7 | 2 | - | 1 | - |
| ჩირიკაშვილი** | 6 | 6 | 3 | - | - |
| გურული** | 6 | 6 | - | - | - |
| მეგრელაძე** | 6 | 5 | 5 | 3 | - |
| გივი ჩხეტიანი** | 5 | 5 | - | - | - |
| ბაქრაძე** | 4 | 2 | 1 | - | - |
| გოგოლაძე** | 4 | 1 | - | - | - |
| გრიშიკაშვ. (მ..)** | 3 | 3 | -5 | 1 | - |
| გაჩეჩილაძე** | 3 | 2 | 1 | 1 | - |
| ხაჩიძე** | 3 | 2 | - | - | - |
| როხვაძე** | 2 | 2 | 1 | - | - |
| ფეიქრიშვილი** | 2 | 2 | - | - | - |
| დათუაშვილი (მ.)** | 2 | 2 | -9 | - | - |
| ხითარიშვილი** | 2 | 2 | - | - | - |
| ჯიქიძე** | 2 | 1 | - | - | - |
| ნოზაძე** | 1 | 1 | - | 1 | - |
| ბარამია** | 1 | 1 | - | - | - |
| გლუნჩაძე (მეკ.)* | 1 | 1 | -3 | - | - |
| ხუციშვილი** | 1 | 1 | - | - | - |
| წიქარიშვილი (მ.)** | 1 | - | -0 | - | - |
| კენჭიშვილი** | 1 | 1 | - | - | - |
| ფირცხალავა** | 1 | - | - | - | - |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| 3. ზესტაფონი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-16 | 59 |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| ***9. ბორჯომი*** | ***26*** | ***9*** | ***4*** | ***13*** | ***32-39*** | ***31*** |
| 10. ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |

სეზონის პირველ ნახევარში "ბორჯომს" საკმაოდ მაღალი დონის შემსრულებლებით დაკომპლექტებული, სტაბილური შემადგენლობა ჰყავდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთ პირობებში ვლადიმერ ხაჩიძის მიერ გაწვრთნილმა გუნდმა კარგი შედეგი აჩვენა.

ზამთრის პერიოდში კი კლუბს პრობლემები მოეძალა და ძველ შემადგენლობას მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელებიღა შემორჩნენ. "ბორჯომის" ჩემპიონატში თამაში უკვე სათუო იყო, გუნდს ელემენტარულად, მოედანზე გამსვლელი 11 მოთამაშე აღარ ჰყავდა. ზედ სეზონის განახლების წინ "ბორჯომმა" "დინამოს" მეორე გუნდის წევრები დაიმატა და მხოლოდ ამის წყალობით შემორჩა უმაღლეს ლიგას. მალე სამცხელები რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელითაც გაძლიერდნენ, მაგრამ უკვე აშკარა იყო, რომ კლუბი ამ სეზონში ღირებულს ვერაფერს მიაღწევდა. "ბორჯომმა" მაინც ბოლომდე იბრძოლა. სეზონის დასკვნით ნაწილში ხაჩიძის გუნდმა აქცენტი მთლიანად თასის ნახევარფინალზე გააკეთა, მაგრამ იქ "ამერთან" ვერაფერს გახდა.

გუნდმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ გაცილებით მეტის მიღწევაც შეეძლო. როცა "ბორჯომს" პრობლემები არ აწუხებს, ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. სხვა საქმეა, რომ კლუბს იშვიათად აქვს ხოლმე სტაბილური პერიოდი.



## საუკეთესო მატჩი

მეორე წრეში "ბორჯომმა" შეხვედრების უმეტესობა წააგო, სამაგიეროდ, პირველ წრეში არაერთი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. აქედან ყველაზე დასამახსოვრებელი შინ "ამერის" 3:0 განადგურება და სტუმრად "ვიტ ჯორჯიას" 2:1 ძლევა იყო.

## ყველაზე ცუდი მატჩი

უხარისხო მატჩები გუნდს მეორე წრეში მრავლად ჰქონდა. ჩემპიონატში დიდი ანგარიშით "ბორჯომი" მხოლოდ ერთხელ დამარცხდა – ბოლოსწინა ტურში შინ "სიონთან" 2:5 განადგურდა. მართალია, ეს თამაში გუნდმა სათადარიგო შემადგენლობით ჩაატარა, მაგრამ ეს ფაქტი ასეთი მარცხის გასამართლებლად ვერ გამოდგება.

## პლუსი

პლუსები "ბორჯომს" მხოლოდ პირველ წრეში ჰქონდა, როცა ნორმალური შემადგენლობა ჰყავდა და სტაბილურად თამაშობდა. ვლადიმერ ხაჩიძეს რომ მებრძოლი გუნდის მოკლე პერიოდში ჩამოყალიბება შეუძლია, მაშინაც გამოჩნდა.




## მინუსი

"ბორჯომი" ყოველ ნახევარ წელიწადში ხელახლა ყალიბდება, ამგვარ პირობებში კი რიგიანი გუნდის შექმნა წარმოუდგენელია.

## რჩეულნი

სეზონის მეორე ნახევარში "ბორჯომის" გამორჩეული ფიგურა **ირაკლი ჩირიკაშვილი** იყო, რომელმაც საიმედო თამაშის გარდა, თავი ეფექტური გოლებითაც დაგვამახსოვრა. სანამ ტრავმას მიიღებდა, თავდასხმაში შედეგიანი იყო **გიორგი მეგრელაძე**.

## მზადება მომავალი სეზონისთვის

გუნდი ჯერ არ შეკრებილა, სავარაუდოდ, მოსამზადებელი ეტაპის უმეტეს ნაწილს გუნდი ბორჯომშივე გაატარებს.

## საკადრო პოლიტიკა

კლუბთან კონტრაქტით მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელები არიან დაკავშირებულნი, დანარჩენ მოთამაშეთა ბედი კი ჯერჯერობით, გაურკვეველია. შესაძლოა, "ბორჯომში" დინამოელთა ნაწილი დარჩეს. გუნდის ახალწვეულების ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა. "ოლიმპს" მიაშურა გიორგი მეგრელაძემ, რომელმაც "ბორჯომის" შემადგენლობაში ჩატარებულ 6 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

## ფინანსური მდგომარეობა

სადღეისო ინფორმაციით, "ბორჯომის" ფინანსური შესაძლებლობები მაღალი მიზნებისთვის ბრძოლის საშუალებას არ იძლევა.

## მიზნები

12-გუნდიან უმაღლეს ლიგაში სამცხელთა მთავარი საზრუნავი ალბათ, უძლიერესთა შორის დარჩენა იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

I ტური
შ | მერანი | 1:0
გოლი: შ. ჯიქია

II ტური
ს | სპარტაკი | 0:0

III ტური
შ | დინამო | 1:2
გოლი: მემარნიშვილი

IV ტური
ს | ბათუმი | 1:1
გოლი: შ. ჯიქია

V ტური
შ | ამერი | 3:0
გოლები: შ. ჯიქია, კ. ხანიშვილი, შ. გრიგალაშვილი

VI ტური
ს | ვიტ ჯორჯია | 2:1
გოლები: შ. გრიგალაშვილი, შ. ჯიქია

VII ტური
შ | მესხეთი | 2:0
გოლები: შ. გრიგალაშვილი, ყველაშვილი

VIII ტური
ს | ზესტაფონი | 0:1

IX ტური
შ | ლოკომოტივი | 2:1
გოლები: შ. გრიგალაშვილი, შ. ჯიქია

X ტური
ს | დილა | 0:0

XI ტური
ს | სიონი | 1:0
გოლი: ნერგაძე

XII ტური
შ | მგლები | 4:3
გოლები: შ. ჯიქია, ყველაშვილი, ქარქოზაშვილი, თედიაშვილი

XIII ტური
შ | ოლიმპი | 0:0

XIV ტური
ს | მერანი | 0:1

XV ტური
შ | სპარტაკი | 2:1
გოლები: მეგრელაძე (2)

XVI ტური
ს | დინამო | 2:4
გოლები: მეგრელაძე, ნ. ლომიძე

XVII ტური
შ | ბათუმი | 1:2
გოლი: თედიაშვილი

XVIII ტური
ს | ამერი | 2:3
გოლები: მეგრელაძე, ჩირიკაშვილი

XIX ტური
შ | ვიტ ჯორჯია | 1:2
გოლი: მეგრელაძე

XX ტური
ს | მესხეთი | 0:2

XXI ტური
შ | ზესტაფონი | 0:2

XXII ტური
ს | ლოკომოტივი | 0:1

XXIII ტური
შ | დილა | 3:2
გოლები: ჩირიკაშვილი (2), ქარქოზაშვილი

XXIV ტური
ს | ოლიმპი | 0:1

XXV ტური
შ | სიონი | 2:5
გოლები: ნ. ლომიძე, ბაქრაძე

XXVI ტური
ს | მგლები | 2:4
გოლები: გაჩეჩილაძე, როხვაძე

## მუნდიალი 2010

### აზია

I ჯგუფი

ჩინეთი-კატარი 0:1
ერაყი-ავსტრალია 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრალია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-1 | 7 |
| 2. კატარი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| 3. ერაყი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 4. ჩინეთი | 4 | 0 | 3 | 1 | 1-2 | 3 |

II ჯგუფი

ომანი-იაპონია 1:1
ბაჰრეინი-ტაილანდი 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაჰრეინი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-3 | 10 |
| 2. იაპონია | 4 | 2 | 1 | 1 | 8-3 | 7 |
| 3. ომანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 4. ტაილანდი | 4 | 0 | 1 | 3 | 4-9 | 1 |

III ჯგუფი

ჩრ. კორეა-თურქმენეთი 1:0
იორდანია-ს. კორეა 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. კორეა | 4 | 2 | 2 | 0 | 7-2 | 8 |
| 2. ჩრ. კორეა | 4 | 2 | 2 | 0 | 2-0 | 8 |
| 3. იორდანია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 4. თურქმენეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-7 | 1 |

IV ჯგუფი

უზბეკეთი-სინგაპური 1:0
ლიბანი-ს. არაბეთი 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უზბეკეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-3 | 12 |
| 2. ს. არაბეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 3. სინგაპური | 4 | 1 | 0 | 3 | 5-10 | 3 |
| 4. ლიბანი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |

V ჯგუფი

საემიროები-ირანი 0:1
ქუვეითი-სირია 4:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირანი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 6 |
| 2. საემიროები | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 | 5 |
| 3. სირია | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 4. ქუვეითი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |

## ესპანეთი

### II დივიზიონი

XLI ტური

ელჩე-ერკულესი 0:2
კადისი-სევილია A 0:0
კასტელონი-სპორტინგი 1:0
კორდობა-ფეროლი 1:0
ალავესი-სოსიედადი 3:2
ეიბარი-ნუმანსია 1:0
გრანადა-მალაგა 0:0
ლას პალმასი-ხერესი 0:0
ეხიდო-ალბასეტე 0:0
სალამანკა-სელტა 3:1
ტენერიფე-ხიმნასტიკი 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნუმანსია | 41 | 22 | 10 | 9 | 57-36 | 76 |
| 2. სპორტინგი | 41 | 19 | 12 | 10 | 59-40 | 69 |
| 3. მალაგა | 41 | 19 | 12 | 10 | 56-41 | 69 |
| 4. სოსიედადი | 41 | 18 | 13 | 10 | 54-38 | 67 |
| 5. კასტელონი | 41 | 16 | 13 | 12 | 42-36 | 61 |
| 6. ერკულესი | 41 | 14 | 15 | 12 | 65-55 | 57 |
| 7. ლას პალმასი | 41 | 15 | 12 | 14 | 50-52 | 57 |
| 8. სალამანკა | 41 | 12 | 18 | 11 | 50-43 | 54 |
| 9. ელჩე | 41 | 14 | 12 | 15 | 44-49 | 54 |
| 10. ტენერიფე | 41 | 12 | 17 | 12 | 50-55 | 53 |
| 11. სევილია B | 41 | 13 | 14 | 14 | 39-46 | 53 |
| 12. სელტა | 41 | 13 | 13 | 15 | 54-52 | 52 |
| 13. ხიმნასტიკი | 41 | 12 | 16 | 13 | 48-49 | 52 |
| 14. ეიბარი | 41 | 14 | 10 | 17 | 42-49 | 52 |
| 15. ალბასეტე | 41 | 12 | 13 | 16 | 34-39 | 49 |
| 16. კორდობა | 41 | 11 | 16 | 14 | 49-55 | 49 |
| 17. ხერესი | 41 | 11 | 16 | 14 | 46-56 | 49 |
| 18. კადისი | 41 | 12 | 12 | 17 | 39-46 | 48 |
| 19. ალავესი | 41 | 11 | 15 | 15 | 38-45 | 48 |
| 20. ფეროლი | 41 | 11 | 14 | 16 | 45-51 | 47 |
| 21. გრანადა | 41 | 10 | 15 | 16 | 43-55 | 45 |
| 22. ეხიდო | 41 | 11 | 10 | 20 | 35-52 | 43 |

## ნორვეგია

X ტური

სტრომსგოდსეტი-სტაბეკი 0:0
ლილესტრიომი-აალესუნდი 3:0
მიოლდე-ლინი 0:1
ტრომსიო-ფრედრიკსტადი 0:1
ვიკინგი-ბოდო გლიმტი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტაბეკი | 10 | 7 | 3 | 0 | 18-4 | 24 |
| 2. ფრედრიკსტ | 10 | 6 | 1 | 3 | 16-11 | 19 |
| 3. ბოდო გლიმტი | 10 | 5 | 2 | 3 | 11-10 | 17 |
| 4. ლინი | 10 | 5 | 1 | 4 | 14-10 | 16 |
| 5. ბრანი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-17 | 15 |
| 6. ვიკინგი | 10 | 5 | 0 | 5 | 14-15 | 15 |
| 7. როზენბორგი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-11 | 14 |
| 8. ვოლერენგა | 10 | 4 | 2 | 4 | 12-10 | 14 |
| 9. სტრომსგოდს | 10 | 3 | 4 | 3 | 10-11 | 13 |
| 10. ტრომსიო | 9 | 3 | 3 | 3 | 6-5 | 12 |
| 11. მიოლდე | 10 | 2 | 4 | 4 | 11-13 | 10 |
| 12. ლილესტრიომ | 10 | 2 | 3 | 5 | 10-16 | 9 |
| 13. აალესუნდი | 10 | 3 | 0 | 7 | 15-22 | 9 |
| 14. ჰამარი | 9 | 1 | 2 | 6 | 6-19 | 5 |

### II დივიზიონი

X ტური

ოდ გრენლანდი-ბრინი 5:1; ალტა-ნიბერგსუნდი 1:2; ჰიოდი-სანდნესი 1:1; ჰიონეფოსი-ნოტოდენი 1:1; კონგსვინგერი-სიოგნდალი 4:3; ლოვ ჰამი-მოსი 1:1; სპარტა-სანდეფიორდი 1:1; სტარტი-ჰაუგესუნდი 2:0.

## მუნდიალი 2010

### აფრიკა

I ჯგუფი

კაბო ვერდე-ტანზანია 1:0
მავრიკიუსი-კამერუნი 0:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კამერუნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. კაბო ვერდე | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 3. ტანზანია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4. მავრიკიუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

II ჯგუფი

კენია-გვინეა 2:0
ზიმბაბვე-ნამიბია 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზიმბაბვე | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 2. კენია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. ნამიბია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. გვინეა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

III ჯგუფი

ბენინი-უგანდა 4:1
ნიგერი-ანგოლა 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანგოლა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ბენინი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 3. უგანდა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 4. ნიგერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

IV ჯგუფი

ს. აფრიკა-ეკ. გვინეა 4:1
სიერა ლეონე-ნიგერია 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიგერია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. ს. აფრიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 3. ეკ. გვინეა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 4. სიერა ლეონე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

V ჯგუფი

ლიბია-გაბონი 1:0
ლესოტო-განა 2:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. განა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 2. ლიბია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 3. ლესოტო | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 4. გაბონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

VI ჯგუფი

გამბია-სენეგალი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სენეგალი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 2. ალჟირი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 3. გამბია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. ლიბერია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |

VII ჯგუფი

მადაგასკარი-კოტ დ'ივუარი 0:0
მოზამბიკი-ბოტსვანა 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოტსვანა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. კოტ დ'ივუარი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. მადაგასკარი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 4. მოზამბიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

VIII ჯგუფი

მავრიტანია-მაროკო 1:4
ეთიოპია-რუანდა 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაროკო | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. რუანდა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3. ეთიოპია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 4. მავრიტანია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

IX ჯგუფი

სეიშელი-ტუნისი 0:2
ბურკინა ფასო-ბურუნდი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურკინა ფასო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. ტუნისი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. ბურუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 4. სეიშელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

X ჯგუფი

ჩადი-მალი 1:2
კონგო-სუდანი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 2. კონგო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 3. ჩადი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 4. სუდანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

XI ჯგუფი

სვაზილენდი-ტოგო 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სვაზილენდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 2. ტოგო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. ზამბია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

XII ჯგუფი

კდრ-მალავი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეგვიპტე | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2. მალავი | 2 | 1 | 0 | 1 | 8-2 | 3 |
| 3. კდრ | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. ჯიბუტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-12 | 0 |

## ისლანდია

VI ტური

ფრამი-გრინდავიკი 0:1
ჰაფნარი-ფიოლნირი 2:0
კა-აკრანესი 1:1
კეფლავიკი-რეიკიავიკი 4:2
ვალური-ბრეიდაბლიკი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰაფნარი | 6 | 5 | 1 | 0 | 17-4 | 16 |
| 2. კეფლავიკი | 6 | 5 | 0 | 1 | 18-11 | 15 |
| 3. ფრამი | 6 | 3 | 0 | 3 | 6-4 | 9 |
| 4. ფიოლნირი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-7 | 9 |
| 5. ვალური | 6 | 3 | 0 | 3 | 11-12 | 9 |
| 6. ფილკირი | 6 | 3 | 0 | 3 | 10-11 | 9 |
| 7. ტროტური | 6 | 2 | 2 | 2 | 10-12 | 8 |
| 8. ბრეიდაბლიკ | 6 | 2 | 2 | 2 | 8-10 | 8 |
| 9. რეიკიავიკი | 6 | 2 | 0 | 4 | 9-11 | 6 |
| 10. გრინდავიკი | 6 | 2 | 0 | 4 | 8-13 | 6 |
| 11. აკრანესი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-10 | 5 |
| 12. კა | 6 | 1 | 1 | 4 | 7-13 | 4 |

## იტალია

### სერია A/B

პლეიოფი. II მატჩები

ალბინოლეფე-ბრეშა 2:1 (0:1)
ლეჩე-პიზა 2:1 (1:0)

### სერია C

პლეიოფი

ანკონა-ტარანტო 2:1
კრემონეზე-ჩიტადელა 1:3

## დანია

### II დივიზიონი

XXX ტური

აკადემისკი-კიოგე 1:1
ფრედერისია-ოლსტიკე 1:1
ორჰუსი-ვეილე 1:0
ჰერფიოლგე-ავიდოვრე 0:1
ჰიკ-ფრემადი 2:2
კიოლდინგი-სილკებორგი 2:4
ნიკობინგი-სკივე 1:0
სონდერილი-ნაესტვედი 1:1

## ფინეთი

### II დივიზიონი

VII ტური

ოულუ-იევიასკიულა 2:1
ტპ47-ტპვ 0:0
ჰამეენლინა-კპვ 3:0
გრანკულა-კემი 1:3
ვიფკ-იიპო 0:0

## შვედეთი

### II დივიზიონი

X ტური

მიალბიუ-ლანდსკრონა 4:1

*დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება*

## რუსეთი

### II დივიზიონი

XV ტური

საკ მოსკოვი-ურალი 3:2
ანჟი-სიბირი 0:0
კამაზი-ტორპედო 3:0
მაშუკი-მეტალურგი 1:0
ვოლგა-ბალტიკა 4:0
ალანია-დინამო (ბარ) 2:0
ჩერნომორეცი-დინამო (ბრ) 4:0
სალუტი-ვიტიაზი 0:2
სკა (რ)-ნოსტა 0:3
ყუბანი-როსტოვი 1:1

## ბრაზილია

V ტური

ფლამენგო-ფიგეირენსე 5:0
იპატინგა-ნაუტიკო 0:0
სან პაულუ-ატ. მინეირო 5:1
ატ. პარანაენსე-გოიაში 5:0
გრემიო-ფლუმინენსე 2:1
პორტუგეზა-ინტერნასიონალი 3:1
სპორტ რესიფე-პალმეირასი 2:0
ბოტაფოგო-კორიტიბა *გვ. დასრულდა*
კრუზეირო-ვასკო *გვ. დასრულდა*
ვიტორია-სანტოსი *გვ. დასრულდა*

## აშშ

XI ტური

კოლამბუსი-სან ხოსე 0:2
ჩიკაგო-დი სი იუნაიტედი 1:2
სოლტ ლეიკი-კანზასი 0:0
ლოს ანჯელესი-კოლორადო 3:2
ჰიუსტონი-ტორონტო *გვ. დასრულდა*

## არგენტინა

### კლაუსურა

XVIII ტური

არსენალი-ხიმნასია (ლ-პ) 1:0
ნიუელსი-ხიმნასია (ხ) 2:2
რასინგი-ურაკანი 1:0
სან მარტინი-როსარიო 0:0
ტიგრე-არგ. ხუნიორსი 1:0
სან ლორენსო-ბანფილდი 3:2
ველესი-ინდეპენდიენტე 0:0
ესტუდიანტესი-კოლონი 0:0
რივერი-ოლიმპო 2:1
ლანუსი-ბოკა *გვ. დასრულდა*

## ურუგვაი

### პლეიოფი

რივერი-პენიაროლი 3:5

## სლოვენია

### პლეიოფი

ბონიფიკა-დრავა 1:0

## ნორვეგიის თასი

რაუფოსი-ვოლერენგა 1:4
ვალდრესი-ჰამ კამი 2:1

## ამხანაგური მატჩები

ბრაზილია-ვენესუელა 0:2
ტრინიდადი-იამაიკა 1:1
ჩილე-პანამა 0:0

# სირაძეს ცხვირი გაუტეხეს



დავით სირაძე

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **დავით სირაძე** ნალჩიკის „სპარტაკთან" ერთად სეზონის განახლებისთვის ემზადება. შეგახსენებთ, რომ ამავე გუნდში არიან **ალექსანდრე ამისულაშვილი** და **გოგიტა გოგუაც**. „სპარტაკმა" მზადების ერთი ეტაპი კისლოვოდსკში დაასრულა. სულ ბოლო ამხანაგურ მატჩში კი სირაძემ ტრავმა მიიღო. „სპარტაკმა" „ტერეკის" ახალგაზრდულ გუნდს 2:0 მოუგო, მეტოქესთან საჰაერო ბრძოლაში ჩვენმა ლეგიონერმა ცხვირი გაიტეხა. ნალჩიკური გუნდის ექიმი **ვიაჩესლავ შიშკოვი** იმედიანადაა, მისი თქმით 13 ივნისისთვის, როცა გუნდი მზადების მეორე ეტაპზე გადავა, სირაძე მწყობრში იქნება. რუსულ პრემიერლიგაში დავით სირაძემ 6 მატჩში (350 წუთი) ითამაშა და ჯერ გოლი ვერ გაიტანა.

# ხოჯავას კაცი მიუჩინეს



გოჩა ხოჯავა (10)

რუსეთის პირველ დივიზიონში 22 გუნდია, ასე რომ, კვირაში ხშირად ორი ტური იმართება. **ომარ თეთრაძის** „ანჟის" ზედიზედ მეორე ტურში დაუცდა ფეხი, თანაც ორივეჯერ დაღესტანში. „ურალთან" 1:1 ფრის შემდეგ, თეთრაძის შეგირდებმა „სიბირიც" შინ ქულადამშვნებული გაუშვეს – 0:0. „ანჟი" მოედანზე ხუთი ქართველით გავიდა: **ვალერი აბრამიძე, გიორგი ნავალოვსკი, ზურაბ არზიანი, გოჩა ხოჯავა** და **მიხეილ აშვეთია**. მათგან მხოლოდ არზიანი შეცვალეს პირველი ტაიმის შემდეგ. **რევაზ ჯიქია** 70-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. მატჩის შემდეგ „სიბირის" მწვრთნელმა **სერგეი ობორინმა** აღნიშნა, რომ ხოჯავა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მის წინააღმდეგ პერსონალური მეურვეობა დააწესა. თეთრაძე კი საგოლე მომენტების გამოუყენებლობის გამო უკმაყოფილო იყო. **პაატა ჯინჭარაძის** ბრიანსკის „დინამო" ნოვოროსიისკში „ჩერნომორეცთან" დამარცხდა – 0:4. „ანჟი" 31 ქულით მეორე ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება ლიდერ „როსტოვს". ბრიანსკის „დინამო" 12 ქულით გასავარდნ ზონაშია მე-19 ადგილზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კვარაცხელიას სადებიუტო გოლი და მოგება

მინსკის „მტზ-რიპო" ამიერიდან ჩვენთვის საინტერესო კლუბია, რადგან მის რიგებში ქართველი ლეგიონერი **გივი კვარაცხელია** ჩაირიცხა. პარასკევს „რიპო" მიკაშევიჩის „გრანიტს" ესტუმრა, რომელსაც ჩემპიონატში სამი ქულით უსწრებდა და 3:1 მოუგო. ამ შეხვედრაში გივი კვარაცხელიას დებიუტი შედგა, „კაუნასის" ყოფილმა ნახევარმცველმა მატჩის მე-60 წუთზე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ქართველმა პირველი გოლი „რიპოს" მაისურით თავურით გაიტანა. კვარაცხელიას გუნდი ბელარუსის ჩემპიონატში რვა ტურის მერე მეორე ადგილზეა 16 ქულით. მინსკელთა ოფიციალური საიტის ცნობით კვარაცხელია 2009 წლის ბოლომდე „მტზ-რიპოს" კუთვნილებაა. 19 წლის **გიორგი ჭედიას** „ტოპრედო" 1:1 დაუზავდა „ვიტებსკს".

# ბარაბაძის გავარდნის საფრთხე

დანიის მეორე დივიზიონში მოთამაშე ჰიკს ცუდად მისდის საქმე. ბოლოსწინა ტურში **მიხეილ ბარაბაძის** გუნდი სტუმრად 0:1 დამარცხდა „სილკებორგთან". სტუმრებმა პირველი ტაიმის მიწურულიდან 10 კაცით ითამაშა. ჰიკი 30 ქულით გასავარდნ ზონაშია, თუმცა ამდენივე ქულა აქვთ მასზე ზემოთ მყოფ „ფრემს" და „ლოლანდს". ბოლო ტურში ჰიკი „ორჰუს ფრემადს" მასპინძლობს, რომელსაც მეორე დივიზიონში დარჩენის მხოლოდ თეორიული შანსი აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. სპეციალისტების შეფასება

# გუნდს ინდივიდუალისტებიც სჭირდება



მეიერელეშის გოლი თურქების კარში

**შვეიცარია-ჩეხეთი და პორტუგალია-თურქეთი: ევროპის ჩემპიონატის პირველ ორ თამაშზე აზრის გამოთქმა ჩვენებურ სპეციალისტებს ვკითხეთ.**

**კობა ჟორჟოლიანი:**

- სანახაობრივი თვალსაზრისით, პორტუგალია-თურქეთი მნიშვნელოვნად აღემატებოდა შვეიცარია-ჩეხეთს. შვეიცარიამ, წაგების მიუხედავად, ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა. იაკობ კუნის გუნდი სწორი თამაშით გამოირჩა, კარგია, როცა გუნდმა კარგად იცის, რა დროს რა უნდა გააკეთოს, მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ ეს არ არის. შვეიცარიას ინდივიდუალიზმი აკლდა, სწორი თამაშის გარდა ესეც საჭიროა. კუნის გუნდი წაგებას არ იმსახურებდა. რაც შეეხება კარელ ბრუკნერის გუნდს, ჩეხეთს არ უჩვენებია ისეთი თამაში, ტურნირის ფავორიტად რომ მივიჩნიოთ.

პორტუგალიამ აშკარად დაჯაბნა თურქეთი. ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდს დიდი პოტენციალი აქვს. ჟოაო მოუტინიო კარგი ფეხბურთელი ჩანს, თუმცა თავის ძალა მომდევნო თამაშებშიც უნდა დაამტკიცოს, როცა დაძაბულობის ხარისხი მოიმატებს. პორტუგალიამ კარგად გვიჩვენა, თუ როგორ უნდა შეუხამო სწორ თამაშს ინდივიდუალიზმი. ფეხბურთს ახლა ყველა სწორად თამაშობს, მაგრამ კრიშტიანუ რონალდუს დარი ფეხბურთელი ყველას არ ჰყავს და ამიტომაც ღირს რონალდუ ძალიან ძვირი.

მაინტერესებს, როგორ ითამაშებს გუს ჰიდინკის რუსეთი. ძალიან მაინტერესებს გერმანიის ნაკრებიც, რომლის ახალგაზრდები უკვე დაღვინდნენ და ბალაკიც ალბათ, ნამდვილი ლიდერი იქნება. კარგა ხანია, ესპანეთის ნაკრებს არაფერი მოუგია და რაღაც უნდა ქნას, თანაც ახლა ისეთი ტენდენცია წავიდა, რომ ესპანელი ფეხბურთელები სხვა ქვეყნებში მიდიან სათამაშოდ, რაც მათ ნაკრებს უნდა წაადგეს.

**გია გეგუჩაძე:**

- სიურპრიზი იყო შვეიცარიის კარგი თამაში. ჩეხეთმა კი ის ვერ აჩვენა, რასაც ამ გუნდისგან ელოდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, შედეგი კანონზომიერად მიმაჩნია - ჩეხებს უფრო გამოცდილი და მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავთ.

- პორტუგალიის გამარჯვებაც ლოგიკური იყო. თურქეთისგან მეტს ველოდი. თუმცა ეს პირველი ტური იყო და მომდევნო მატჩებში გუნდები ალბათ უფრო გაიხსნებიან, საამისო პოტენციალი ორივე გუნდს ეტყობოდა. თვალშისაცემი იყო, რომ შეტევაში კარგი თამაში პორტუგალიამაც ვერ აჩვენა, ლამაზი და არაორდინალური სვლები ვერ დავინახე. თურქეთმა დაცვითი ვარიანტი ითამაშა, კონტრშეტევაში ერთი-ორი შანსი ჰქონდა, მაგრამ თითქოს გოლის გასატანი ძალა აკლდა.

- საინტერესო თამაშს ველი პორტუგალიისა და ჰოლანდიისგან. შესარჩევში კარგად ითამაშა საფრანგეთმა და ახლაც ძლიერად უნდა გამოვიდეს. ალბათ, კარგი ჰუნდი ეყოლება ესპანეთს. მეტი ინდივიდუალიზმი და მეტი შემოქმედებითობა - ამას ამ გუნდებისგან ველი.

**დავით თავართქილაძე**

სტაჟირებაზე არგენტინაში

**თქვენ დელგადო გიწვევთ!**

ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი **ედუარდო დელგადო** იწვევს 17-18 წლის ასაკის, პერსპექტიულ ფებურელებს: ორ მეკარეს, ორ თავდამსხმელს, მარჯვენა და მარცხენა მცველსა და ნახევარმცველს სტაჟირებაზე 1-2 წლით არგენტინაში.

ფეხბურთელები სათანადო დონეზე მომზადების შემდეგ, დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში. მომზადების პროცესში შედის ამხანაგური მატჩები არგენტინის კლუბებთან.

სტაჟირების, აგრეთვე სხვა ხარჯებს გაიღებენ მსურველები ან მათი სპონსორები.

30 ივნისამდე, გამგზავრებამდე მსურველებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ ესპანურ ენაში. გასაუბრება და დაწვრილებითი ცნობები10 ივნისიდან ყოველდღე, კვირის გარდა.

*ლეონიძის (ყოფილი კიროვის) ქუჩა №4 (თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე) 12-დან 14სთ-მდე. ტელეფონი: 8 99 23 55 20*

ქართულ-არგენტინული საფეხბურთო კლუბი "GEHARG"-ის წარმომადგენლობა საქართველოში

# ოქტომბერში მარადონას თასი იგეგმება

ადრე ეს ამბავი მითქმა-მოთქმას არ გასცილებია. ახლა საქმე ისე მიდის, ყველაფერი შეიძლება რეალობად იქცეს. ამის თქმის საფუძველს რამდენიმე ოფიციალური დოკუმენტი გვაძლევს.

1. 2008 წლის 14 მარტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უფლებამოსილებას აძლევს ნიკოლოზ პატარქალიშვილს ორგანიზაცია გაუწიოს ფეხბურთში ოთხთა საერთაშორისო ტურნირს თბილისში 2008 წლის 23-დან 29 ოქტომბრამდე, არგენტინისა და ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მონაწილეობით. დოკუმენტს ხელს აწერს სფფ-ს გენრალური მდივანი უჩა უგულავა.

2. ზემოაღნიშნული სფფ-ს დოკუმენტის საფუძველზე, არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია 2008 წლის 1 აპრილს სფფ-ს ნ. პატარქალიშვილის სახელზე ფაქსს უგზავნის და სთხოვს, აცნობოს 20-წლამდელთა გუნდის მიღების პირობები, ჰონორარის გათვალისწინებით.

3. სფფ-ს მიერ გაცემული უფლებამოსილების საფუძველზე, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის წევრი ამავე ქვეყნის პორტო ალეგრეს შტატის ფედერაცია კი იტყობინება (5 მაისი, 2008 წ), რომ ახალგაზრდული ნაკრების საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა ამ ფედერაციაზეა დელეგირებული და თანხმობას აცხადებს, 23-29 ოქტომბერს ბრაზილიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მიიღოს მონაწილეობა თბილისის ოთხთა საერთაშორისო ტურნირში "დიეგო არმანდო მარადონას თასზე".

4. 2008 წლის 19 მაისს დიეგო არმანდო მარადონას სახელით მისი წარმომადგენელი ალეხანდრო ვიქტორ მანკუსო ნოტარიულად ადასტურებს, რომ ნ. პატარქალიშვილმა აწარმოოს შესაბამისი მოლაპარაკებები თბილისის ოთხთა ტურნირზე სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მონაწილეობასთან დაკავშირებით. ტურნირს დაესწრება დიეგო არმანდო მარადონა, რომელიც გამართავს პრესკონფერენციას. ასევე ნ. პატარქალიშვილი უფლებამოსილია ტურნირს უწოდოს "დიეგო არმანდო მარადონას თასი".

აი, ასეთია სადღეისო რეალობა. ამ დღეებში ნ. პატარქალიშვილი, ბრაზილიასა და არგენტინაში ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვიზიტის შემდეგ, თბილისში დაბრუნდა.

"ბრაზილიის თანხმობა გვაქვს, არგენტინელები პირობებზე დასტურს ელოდებიან, ერთი გუნდი იქნება ევროპიდან, მასპინძლები - თავისთავად. ახლა დღის წესრიგში სპონსორების მოძიებაა. ტურნირის ჩატარების საკითხში მთავარი იყო მარადონას თანხმობა, რაც მიღწეულია. ასე რომ, სამზადისს უკვე ვიწყებთ", - თქვა ნ. პატარქალიშვილმა "ლელოში" სტუმრობისას.

# გომეშმა ვერ გაიტანა, მაგრამ პორტუგალიამ მოიგო

7 ივნისიც დადგა და ევროპის რიგით მე-13 საფეხბურთო ჩემპიონატიც დაიწყო. სანახაობა, რომელსაც საფეხბურთო სამყარო ბარე 4 წელიწადი ელოდა. კონტინენტის პირველობა შაბათს, ბაზელში, "ზანქტ იაკობს პარკზე", შვეიცარიისა და ჩეხეთის ნაკრები გუნდების მატჩით დაიწყო. საერთოდ კი, ჩემპიონატის პირველი დღის ორივე შეხვედრა შვეიცარიაში გაიმართა. ბაზელის მატჩიდან ერთი საათის შემდეგ უკვე ჟენევაში, "სტად დე ჟენევიზე", პორტუგალიისა და თურქეთის ნაკრებების დაპირისპირება შედგა. სიტყვა დაპირისპირება შემთხვევით არ გვითქვამს. ეს შეხვედრა ტემპით, დაძაბულობით... სხვა სანახაობრივი მხარით, გაცილებით სჯობდა შვეიცარია-ჩეხეთის მატჩს.

ბაზელში, შვეიცარია-ჩეხეთით თამაში ახალი დაწყებული იყო, როცა, "სტად დე ჟენევის" სიახლოვეს პორტუგალიელი და თურქი ფანები გამოჩნდნენ. მათი რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა, იყო დროშების ფრიალი, შეძახილები, ყიჟინა... მსჯელობა, თუ ვინ გაიტანდა პირველ გოლს. პორტუგალიელი ფანები თურქეთთან 2000 წელს მოგებულ მატჩსა და **ნუნუ გომეშის** მიერ გატანილ ორ გოლს იხსენებდნენ. გომეშისგან ისინი კვლავ ელიან სიხარულს, ორს თუ არა, ერთ გატანილ ბურთს მაინც.

თურქები კი აშკარად სჭარბობენ პორტუგალიელებს. ყიჟინაზე, შეძახილებსა და საფეხბურთო სიმღერებზე ისინიც არ ამბობენ უარს. თურქები რევანშს ელიან... მაგრამ თამაშმა აშკარად გვაჩვენა, რომ პორტუგალიის ნაკრები კლასით აშკარად სჯობს თურქეთისას. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ტაქტიკამ **ფათიჰ თერიმის** ჩანაფიქრს "ცივი წყალი" გადაასხა. 8 წლის წინანდელის დარად, ნუნუ გომეშს ამჯერად არ გაუტანია, მაგრამ ცდა კი არ დააკლო. თუმცა მისი მონდომებიდან მხოლოდ ის გამოვიდა, რომ ორჯერ შეაზანზარა თურქების კარის ძელი. ნუნუს "გასატანი" **პეპემ** და **მეირელეშმა** შეაგდეს. პორტუგალიელებმა დამსახურებულად, დამაჯერებლად მოიგეს და ჩეხეთთან ერთად გალიდერდნენ A ჯგუფში. ევრო 2008-მდე, პორტუგალია, ვიზეუში ემზადებოდა და შვეიცარიაში გამგზავრებამდე დასკვნითი ამხანაგური მატჩი, როგორც იტყვიან, გენერალური რეპეტიცია, საქართველოს ნაკრებთან გამართა. როგორც ჩანს, პორტუგალიელებს ქართველებთან სპარინგმა არგო და მათ კონტინენტის პირველობა ომახიანად, მოგებით დაიწყეს. თურქებმა, რაღა თქმა უნდა, განბილებულებმა დატოვეს სტადიონი.

**ემზარ ზენაიშვილი**

*სპეციალურად "ლელოსთვის", ჟენევიდან*

# EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რობენი არ იქნება. პანუჩი? დონადონი რისკზე არ წავა

## ორი დიდი მილანელის ჯახი

**C ჯგუფი**

**ჰოლანდია-იტალია**

9 ივნისი. ბერნი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ჰეიტინგა, ბუმა, მატიისენი, ოოიერი, ვან ბრონკჰორსტი, დე ზეეუვი, დე იონგი, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, ვან ნისტელროოი.

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, ბარძალი, მატერაცი, გროსო, დე როსი, პირლო, გატუზო, კამორანეზი, ტონი, დი ნატალე.

**არბიტრი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)



არიენ რობენი ვერ ითამაშებს

მაშ ასე, დღეს "სიკვდილის ჯგუფი" იხსნება. მძიმე ამბავია: სამი გრანდი ერთად და პლუს რუმინეთი, რომელიც ყოველთვის და ყველასთვის უხერხული მეტოქეა. ცუდია, რომ სამიდან ერთი ჯგუფში უნდა ჩარჩეს. შესაბამისად, პირველი ტურის შედეგებს ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ალბათ, ეს ერთი იმ ჯგუფთაგანი იქნება, სადაც ყველაფერი ბოლო დღეს გაირკვევა.

სასტარტო მატჩის წინ **რობერტო დონადონის** მთავარი პრობლემა **კრისტიან პანუჩის** ტრავმა იქნება. "რომას" ვეტერანი მცველი ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა. მას მარჯვენა მუხლი სტკივა. თავიდანვე ითქვა, რომ პანუჩი ჰოლანდიასთან მატჩს გამოტოვებდა, მაგრამ გამოჯანმრთელების პროცესი მოსალოდნელზე უკეთ წავიდა და პანუჩი თითქმის მზადაა, "ნარინჯისფრებს" დაუპირისპირდეს.

*"თავს უკეთ ვგრძნობ. ეს ტრავმა ამ სეზონში უკვე მქონდა და, შესაბამისად, გამოცდილებაც დამიგროვდა. ვარჯიში დროებით აკრძალული მაქვს, მაგრამ ახლა კარგად ვარ და ჰოლანდიელების წინააღმდეგ თამაში ძალიან მინდა. იმედია, მატჩის წინ პრობლემები აღარ მექნება"*, - თქვა პანუჩიმ შაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე.

ითამაშებს თუ არა პანუჩი, ცხადია, დონადონის გადასაწყვეტია და ნაკლებადაა დამოკიდებული ფეხბურთელის სურვილზე. სავარაუდოდ, "სკუადრა აძურას" მწვრთნელი არ გარისკავს და სასტარტოში **მარკო მატერაცის** დააყენებს. რისკზე არწასვლა მარტო იმას არ ნიშნავს, რომ მწვრთნელი ტრავმირებულის დაყენებას ერიდება, ეს უფრო მომავალზეა გათვლილი: 100 პროცენტით ჯანმრთელი პანუჩი მომავალი მატჩებისთვის იქნება საჭირო. მატერაცის კი დაცვის ცენტრში გვერდს **ანდრეა ბარძალი** დაუმშვენებს. ფლანგებს **ჯანლუკა ძამბროტა** (მარჯვნივ) და **ფაბიო გროსო** (მარცხნივ) გააკონტროლებენ.

დონადონი ფიქრობს ნახევარდაცვის კონფიგურაციაზეც. **ანდრეა პირლო** და **ჯენარო გატუზო**, ფაქტობრივად, კონკურენციის გარეშე არიან. არჩევანი უნდა გაკეთდეს **მასიმო ამბროზინისა** და **დანიელე დე როსის** შორის. მოსალოდნელია, რომ "დონი" დე როსის აირჩევს, რადგან რომაელს შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა.

თავდასხმაში, მწვრთნელი არ უღალატებს პრინციპს და **ლუკა ტონის** ფლანგებიდან **ანტონიო დი ნატალესა** და **მაურო კამორანეზის** მიახმარს. ამასთან, "კამო" დაცვით ფუნქციებსაც შეასრულებს. რაკი **ალესანდრო დელ პიერო** ძირითადში არ მოიაზრება, კაპიტნის სამკლაურს მისი თანაკლუბელი **ჯანლუიჯი ბუფონი** მოირგებს.

დონადონის პრობლემები **მარკო ვან ბასტენის** თავსატეხთან მოსატანიც არ არის. **რაიან ბაბელი** რომ ტრავმირებულია, უკვე იცით. შაბათის ვარჯიშის დროს დაშავდა შეტევის ხაზის კიდევ ერთი ლიდერი **არიენ რობენიც**. გასარკვევია **რობინ ვან პერსის** მდგომარეობა. "არსენალის" გარემარბიც ტრავმირებული იყო. მართალია, ის ახლა უკეთაა, მაგრამ არა ისე, რომ სასტარტოში თამაში შეძლოს. სავარაუდოდ, ვან ბასტენი მას მეორე ტაიმში გამოიყენებს, ისიც, თუ დასჭირდა. დაშავებული იყო მარჯვენა მცველი **მარიო მელხიოტიც**. გამოცდილ მოთამაშეს საზარდული აწუხებდა და ბოლომდე ვერც ახლაა ჯანზე, მაგრამ თუ საჭირო გახდა, ითამაშებს კიდეც.

გამომდინარე იქიდან, რომ თავდასხმის სამი მნიშვნელოვანი ფიგურა მწყობრში არ არის, ვან ბასტენი იძულებული იქნება, ძირითადში გუნდის ყველაზე ახალგაზრდა (22 წლის) მოთამაშე **იბრაჰიმ აფელაი** დააყენოს. რაც შეეხებათ **რაფაელ ვან დერ ვაარტსა** და **რუუდ ვან ნისტელროოის**, მათ პრობლემები არ აქვთ.

ოფიციალურ შეხვედრებში იტალია და ჰოლანდია 15-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. 7 თამაში აპენინელებმა მოიგეს, ჰოლანდიელთა ანგარიშზე მხოლოდ 2 გამარჯვებაა, ხოლო 6-ჯერ ზავი დაფიქსირდა. უკანასკნელად, "ტიტებმა" "სკუადრა აძურა" 1978 წლის მუნდიალზე (არგენტინა) დაამარცხეს, 2:1. ბოლოს კი, დიდი ტურნირების ეგიდით, 2000 წელს, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ, ჰოლანდია, ბელგიასთან ერთად, გათამაშების თანამასპინძელი იყო. იტალიის ნაკრებმა პენალტების სერიაში გაიმარჯვა. გაგახსენებთ, იმ მატჩის 34-ე წუთზე ძამბროტა გააძევეს. მაგრამ იმის შეხსენება კი ნამდვილად არ დაგჭირდებათ, რომ დონადონი და ვან ბასტენი ძველი თანაგუნდელები არიან დიდი "მილანიდან". ამას გარდა, ევროპის 1988 წლის ჩემპიონატზე, რომელიც ჰოლანდიის ნაკრების ტრიუმფით დასრულდა, ვან ბასტენი და დონადონი თავიანთ ნაკრებებში გამორჩეული ფიგურები იყვნენ. ასე რომ, საინტერესო სამწვრთნელო დუელიც გველოდება.

# საფრანგეთი: ვთამაშობთ დაცვიდან!

**C ჯგუფი**

**რუმინეთი-საფრანგეთი**

9 ივნისი. ციურიხი. 20:00

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, გოიანი, ტამაში, რაცი, კივუ, პეტრე, ნიკოლიცა, დიკა, მარიკა, მუტუ.

**საფრანგეთი:** კუპე, სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი, მაკელელე, ტულალანი, მალუდა, რიბერი, ბენზემა, ანრი.

**არბიტრი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)



დომენეკი და ანრი. ფრანგების მწვრთნელი დაცვით ტაქტიკას ირჩევს?

**ზინედინ ზიდანის** შემდეგ საფრანგეთის ნაკრები ახალ ერას იწყებს, ანუ, 1998 წლის მერე ეს არის "სამფეროვანთა" პირველი დიდი ტურნირი ამ გრანდიოზული მოთამაშის გარეშე. მაგრამ დღეს საფრანგეთს ჰყავს ფეხბურთელი, **სამირ ნასრი**, რომელიც "ახალი ზიდანი" შეიძლება გახდეს და ვინ იცის, იქნებ, სულაც ეს ჩემპიონატი იქცეს ამ უნიჭიერესი ნახევარმცველის ტრამპლინად...

საფრანგეთს ჰყავს **ქარიმ ბენზემაც**, 20 წლის ფორვარდი, რომელიც "ლიონის" შემადგენლობაში ქვეყნის პირველი ბომბარდირი გახდა. და, რა თქმა უნდა, დიდ იმედებს უკავშირებენ ახალი გენერაციის ყველაზე შთამბეჭდავ წარმომადგენელ **ფრანკ რიბერის**, რომელსაც შეტევის ხაზში ყველაფერი ხელეწიფება - საგოლე შეტევის ორგანიზებაც, დამაგვირგვინებელი პასიცა და გოლებიც, როგორც თამაშიდან, ისე სტანდარტული სიტუაციებიდან.

მოკლედ, **რაიმონ დომენეკის** ხელთ სერიოზული კოზირებია და თუ როგორ გამოიყენებს ამ რესურსს, ეს უკვე სხვა საკითხია. რუმინეთის ნაკრებით დაწყება, ეგებ, არც უნდოდა დომენეკს. ეს გუნდი ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყო და ასეთად რჩება, მაგრამ ერთგვარად მაინც "ტროას ცხენია", ის მუდამ პრობლემებს ქმნის და ბევრი გვინახავს, რუმინეთზე რომ წაუტეხავს კისერი.

*"ჩვენ აქ არდადეგებზე არ ჩამოვსულვართ. რუმინეთის ნაკრების მიზანი მეოთხედფინალში გასვლაა. თუ საფრანგეთთან პოზიტიურ შედეგს მივაღწევთ, ეს სტიმულს მოგვცემს და მერე, შეიძლება, გაცილებით შორს წავიდეთ, ვიდრე წარმოგვიდგენია"*, - ამბობს რუმინეთის ნაკრების მარჯვენა მცველი **კოზმინ კონტრა**.

რუმინეთის ნაკრების მთავარი იარაღი სწრაფი კონტრშეტევა იქნება. ამ მხრივ, მწვრთნელ **ვიქტორ პიცურკასთვის** მნიშვნელოვანი დასაყრდენია **ადრიან მუტუ**, რომელმაც ბოლო 20 საკვალიფიკაციო მატჩში 17 გოლის გატანა მოახერხა. მაგრამ თუ **კლოდ მაკელელეს** დავუჯერებთ, საფრანგეთის ნაკრების მთავარი მიზანი საკუთარი კარის უსაფრთხოება ყოფილა. ეს ფეხბურთელის აზრი არ უნდა იყოს, ეტყობა, ასეთია დომენეკის დავალება.

*"ჩვენი სიძლიერე უკანა ხაზიდან იწყება*, - აცხადებს მაკელელე, - *პირველ რიგში, კონცენტრირება უნდა მოვახდინოთ იმაზე, რომ გოლი არ გავუშვათ. მთავარია, პირველივე მატჩი არ წავაგოთ. თუ დაცვაში პრობლემა არ გვექნა, საფრანგეთის ნაკრებს ჰყავს თავდამსხმელები, რომელთაც ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლიათ გოლის გატანა"*.

მოკლედ, დომენეკის სტრატეგია გასაგებია. ის ჩვეული ფორმაციით (4-4-2) ითამაშებს. **პატრიკ ვიეირას** არყოფნაში მაკელელესთან ერთად საყრდენად **ჟერემი ტულალანი** დადგება. რიბერი შეტევების ორგანიზებას მიხედავს, წინ ბენზემა და **ტიერი ანრი** იქნებიან. რაც შეეხება რუმინეთის ნაკრებს, პიცურკას ერთადერთი საფიქრალი მცველ **დორინ გოიანის** ტრავმაა. მას მუხლი აწუხებს, თუმცა რუმინელთა ბანაკიდან იტყობინებიან, რომ გოიანი დღეისთვის გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

ორიოდ სიტყვით ისტორიაზეც. საფრანგეთის ეროვნულ გუნდს გახსნის მატჩი ექვსიდან ხუთ შემთხვევაში აქვს მოგებული, მაშინ, როცა რუმინეთის ნაკრებს ასეთ შეხვედრაში არასოდეს გაუმარჯვია. სხვათა შორის, ევრო 96-ზე (ინგლისი) მათ პირველივე მატჩი სწორედ საფრანგეთთან წააგეს (0:1, **კრისტოფ დუგარი**). დღემდე, ეს იყო ამ გუნდების პირველი და უკანასკნელი მატჩი მსოფლიოსა და ევროპირველობების ფინალურ ეტაპებზე. საინტერესოა, რომ საფრანგეთის დღევანდელი ნაკრებიდან იმ ნიუკასლურ შეხვედრაში **ლილიან ტურამი** მონაწილეობდა. სულ, ოფიციალურ მატჩებში რუმინეთი და საფრანგეთი 10-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან, ფრანგებმა 6 მატჩი მოიგეს, რუმინელთა აქტივში 3 გამარჯვებაა, ერთი შეხვედრაც ფრედ დასრულდა.

# EURO 2008

ევრომბები

# ტრავმების ეპიდემია

ევროპის ჩემპიონატი დაწყებულიც არ იყო, როცა ტურნირის მონაწილე გუნდებს ტრავმების ეპიდემიამ დარია ხელი. უსიამოვნო შეჯახებებსა და ამით გამოწვეულ ტრავმებს პირველი შეხვედრების მონაწილე ფეხბურთელებმაც ვერ აარიდეს თავი. პირველ რიგში შვეიცარიის კაპიტნის **ალექსანდერ ფრაის** შესახებ უნდა მოგახსენოთ. მასპინძელთა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ჩეხეთთან მატჩში დაშავდა. 28 წლის თავდამსხმელმა პირველი ტაიმის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე ატირებულმა დატოვა მოედანი. ის **ზდენეკ გრიგერას** შეეჯახა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. შვეიცარიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირის მწყობრიდან გამოსვლა ტურნირის მასპინძლებისთვის, რა თქმა უნდა, უდიდესი დარტყმაა. ყოველ შემთხვევაში, **კობი კუნი** ფრაის ტრავმას აუნაზღაურებელ დანაკლისს უწოდებს:

*"წაგების გამო ყველა ძალიან ვნერვიულობთ, მაგრამ ფრაის ტრავმა კიდევ უფრო გვაშფოთებს. მის გარეშე ჩვენი თავდასხმა დაკოჭლებულია. ექიმები საიმედო პროგნოზს ვერ აკეთებენ. დიდია შანსი იმისა, რომ ალექსი თურქეთთან მატჩში ვერ დაგვეხმაროს".*

კუნმა ეს განცხადება ჩეხეთთან წაგებული თამაშის შემდეგ გააკეთა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ფრაიმ არა მარტო თურქეთთან შეხვედრა, არამედ შესაძლოა, ტურნირის დარჩენილი ყველა ორთაბრძოლა გამოტოვოს. ექიმების წინასწარი დასკვნით ფეხბურთელს რეაბილიტაციისთვის სულ მცირე 2 კვირა დასჭირდება.

როგორც შესავალში მოგახსენეთ, ფეხბურთელთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე დაშავდა. მათ რიცხვს განეკუთვნება **ზდენეკ პოსპეჩი.** მან ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მუხლის მიკროტრავმა მიიღო, თუმცა ტკივილმა მალე გაუარა და მზადება გააგრძელა. თითქოს, პრობლემა მოიხსნა, მაგრამ ჩეხს მაინც არ გაუმართლა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით ჩეხეთის ეროვნული გუნდის პრესსამსახურის უფროსის **ლუკას ტუჩეკის** განცხადებას შემოგთავაზებთ:

*"პოსპეჩი გაცივდა. მას მაღალი სიცხე აქვს. სამწუხაროდ, სიცხის საწინააღმდეგო პრეპარატებს ვერ ვაძლევთ. შესაძლოა, დოპინგტესტის ჩატარებისას გარკვეული პრობლემები შეგვექმნას. ამიტომ ფეხბურთელს სახალხო მეთოდებით ვმკურნალობთ. ჯერჯერობით მიჭირს იმის თქმა, ზდენეკი როდის დაბრუნდება, თუმცა გუნდის მთავარ მწვრთნელს მისი დიდი იმედი აქვს".*

ავადმყოფი პოსპეჩის ნაცვლად **ბრუკნერმა** შვეიცარიის წინააღმდეგ **ტომაშ უიფალუში** ათამაშა. საქმე ის არის, რომ "ატლეტიკოს" ახალწვეულიც შეუძლოდ გრძნობდა თავს, მაგრამ პატრიოტული ვალი მაინც მოიხადა და მოურჩენელი ფეხით ითამაშა.



ფრაიმ მოედანი თვალცრემლიანმა დატოვა

განსაცდელშია ჰოლანდიის ნაკრებიც. მიკროტრავმის გამო ნარინჯისფრებს იტალიასთან უპრინციპულეს დაპირისპირებაში **არიენ რობენი** ვერ დაეხმარება. "რეალის" ფორვარდმა შაბათის ვარჯიშზე ფეხი იტკინა. ჰოლანდიელთა თავკაცი **მარკო ვან ბასტენი** სასოწარკვეთილია: *"არიენის ტრავმა ჩვენთვის უდიდესი უბედურებაა. სხვა სიტყვას, უბრალოდ, ვერ ვპოულობ. რობენი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მის გარეშე იტალიასთან ძალიან გაგვიჭირდება. საუბედუროდ, მის სრულფასოვნად შეცვლას ვერ მოვახერხებთ. ჰოლანდიას მეორე რობენი არ ჰყავს."*

ვან ბასტენი კიდევ უდრო დიდი საფრთხის წინაშე იყო. რობენის მსგავსად, ფეხს **ვესლი სნეიდერიც** იტკივებდა. მან ბოლო ვარჯიში გამოტოვა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ "რეალის" გარემარბი სრულიად გამოჯანმრთელდა. სამაგიეროდ, საეჭვოა, მისი თანაგუნდელის, **მარიო მელხიოტის** თამაში. ვან ბასტენის ერთ-ერთ უსაყვარლეს მცველს კუნთი აქვს დაჭიმული. ამის გამო მელხიოტმა ლოზანაში გამართულ ვარჯიშში მონაწილეობა ვერ მიიღო. ექიმები მარიოს გამალებით მკურნალობენ. ფეხბურთელს ფიზიოთერაპიის ინტენსიურ კურსს უტარებენ. მოკლედ, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ იტალიასთან მატჩში ჰოლანდია გამოცდილი და კვალიფიციური მცველის გარეშე არ დარჩეს. "უიგანის" მცველის ბედი ბოლო მომენტში გაირკვევა.

ვაგრძელებთ ტრავმებზე საუბარს და ახლა პორტუგალიას გადავწვდებით. თურქეთთან მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ნაკრების ექიმებმა უსიამოვნო ინფორმაცია მიაწოდეს. **კუიმ სილვამ** წინა დღით ვარჯიშზე მიღებული ტრავმა ვერ მოიშუშა. დაკვირვებული ადამიანი შეამჩნევდა, რომ "ბენფიკის" მეკარე თურქების წინააღმდეგ შეხვედრის განაცხადში არ იყო. კუიმისთვის ევროპის ჩემპიონატი ნაადრევად დასრულდა.

გაურკვეველია **ტიერი ანრის** ბედი. "ბარსელონის" სუპერფორვარდს კუნთი დაეჭიმა და ორი ვარჯიში გამოტოვა. ტიერის ფიზიოთერაპიის ინტენსიურ კურსს უტარებენ. ექიმები ჯერჯერობით კონკრეტულს არაფერს ამბობენ.

დასასრულს, იმასაც გეტყვით, რომ რუსეთის ნაკრების ფორვარდმა **პაველ პოგრებნიაკმა** ასევე ვარჯიშზე მძიმე ტრავმა მიიღო. მას მუხლის მყესები დაეჭიმა. რუსეთის ნაკრების პრესსამსახურის ინფორმაციით, "ზენიტის" თავდამსხმელი ევრო 2008-ზე ველარ იასპარეზებს. მას სამკურნალოდ მიუნხენში აგზავნიან. პოგრებნიაკს "კრილია სოვეტოვის" ნახევარმცველი **ოლეგ ივანოვი** შეცვლის.

# პოლიცია ხულიგნების წინააღმდეგ

## პირველივე დღეს ოცზე მეტი გულშემატკივარი დააკავეს

ავსტრიის პოლიციას გერმანიისა და პოლონეთის ნაკრებების მატჩის წინ დიდი თავსატეხი გაუჩნდა. პროვინციულ ქალაქ კლაგენფურტში უამრავი გულშემატკივარი ჩავიდა. სამართალდამცველები წინასწარ იყვნენ მომზადებულები, მაგრამ ამ პატარა ქალაქში იმდენი ადამიანი ჩაბრძანდა, რომ ავსტრიელებმა დახმარებისთვის მეზობელ გერმანელებს მიმართეს. დროის უმცირეს მონაკვეთში ავსტრიისა და გერმანიის პოლიციური დანაყოფები გაერთიანდნენ და საქმეს ერთობლივად შეუდგნენ. მათი მთავარი საზრუნავი აგრესიული გულშემატკივრების იზოლირება გახლდათ. საქმეს ის ართულებდა, რომ ფანების აბსოლუტური უმრავლესობა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. გერმანელი და პოლონელი ქომაგების სიძულვილი საყოველთაოდ ცნობილია. მათ შეხვედრას ინციდენტების გარეშე ამჯერადაც არ ჩაუვლია. კლაგენფურტის მიყრუებულ ქუჩებში დაუნდობელი ჩხუბები იმართებოდა. კიდევ კარგი, ავსტრო-გერმანულმა პოლიციურმა შენართებმა 2500 კაცს გადააჭარბა. დაგვეთანხმებით, წესრიგის დაცვას სამართალდამცველთა მთელი არმია უზრუნველყოფდა. მათი ოპერატიული მუშაობის წყალობით ინციდენტებმა სერიოზული გართულების გარეშე ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში, არავინ დაჭრილა და, რაც მთავარია, არავინ გარდაცვლილა. მიუხერადავად ამისა, პოლიციამ მთლიანობაში 17 ადამიანი დააკავა. ისინი წინასწარი დაკავების საკნებში გადაიყვანეს. კლაგენფურტის პოლიციის უფროსმა სპეციალური პრესკონფერენცია ჩაატარა და საზოგადოებას დაკავებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. თითოეულ მათგანს ხულიგნობაში ედება ბრალი. თურმე, 17-ვე უგონოდ მთვრალი ყოფილა. მათ ავსტრიული კანონმდებლობის მიხედვით გაასამართლებენ. მოგვიანებით, საზოგადოების წინაშე გერმანული პოლიციის წარმომადგენელიც წარდგა და ფრიად საინტერესო რამ თქვა: *"ჩვენი გუნდის გულშემატკივართა შორის რამდენიმე ცნობილი ხულიგანი შევნიშნეთ. მართალია, ისინი კარგად იქცეოდნენ და არ ჩხუბობდნენ, მაგრამ მაინც დავაკავეთ და პოლიციის მანქანებში ჩავსვით. ისინი მხოლოდ სიტუაციის დამშვიდების შემდეგ გავათავისუფლეთ. ეს იძულებითი ნაბიჯი იყო".*



პოლიცია უსაქმურობას არ უჩივის

გუშინ სალამოს ევროპულმა საინფორმაციო სააგენტოებმა ერთი ჩვეულებრივი გერმანელი ქომაგის, **შტეფან ვიტეკის** მოკლე ინტერვიუ გაავრცელეს. ბუნდესგუნდის ფანი შემთხვევით პოლონელი გულშემატკივრების გარემოცვაში აღმოჩნდა. ვიტეკი არ მალავს, რომ ძალიან შეეშინდა. პოლონელები მას თურმე მასხარად იგდებდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. გერმანელს რამდენჯერმე თავშიც წამოარტყეს. ეს ფაქტი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ გერმანელებსა და პოლონელებს ერთმანეთი არ უყვართ.

პოლიცია მთვრალ გულშემატკივრებს ბაზელშიც ებრძოდა. შვეიცარიისა და ჩეხეთის ეროვნული გუნდების მატჩის შემდეგ მცირე ინციდენტები დაფიქსირდა. საბედნიეროდ, აქაც არავინ დაშავებულა. თუმცა თავის დაზღვევის მიზნით სამართალდამცველებმა 4 ხულიგანი მაინც დააკავეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პოლიციელებს ტურნირის დასრულებამდე ძალიან ბევრი სამუშაო ექნებათ.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ესპანეთი

# არაგონესი ტაქტიკას ასაიდუმლოებს

## მარკოს სენა თუ ჩაბი ალონსო?

ესპანეთის ნაკრები რუსეთის ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ გამალებით ემზადება. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე პერუსა და აშშ-ის წინააღმდეგ გამართულ ამხანაგურ პაექრობებში სპეციალისტებმა **ლუის არაგონესის** ბიჭები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. პრობლემების არსებობა თავად ლუისმაც აღიარა. "სელექსიონის" მთავარმა მწვრთნელმა პირდაპირ განაცხადა, უკიდურესად შეშფოთებული ვარ, რადგან ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად ძალიან ცოტა დრო გვაქვსო. მიუხედავად ამისა, პირენეელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ კონტინენტის პირველობის სადებიუტო შეხვედრა მოიგონ. არაგონესმა გუშინდელი ვარჯიში პრესისთვის დახურულად გამოაცხადა. მთავარ მწვრთნელს არ სურს, რომ საიდუმლოებებმა გაჟონოს და **გუუს ჰიდინკმა** ფასდაუდებელი ინფორმაცია მოიპოვოს. ტაქტიკის გასაიდუმლოების მიუხედავად, პრესაში მაინც წერენ, რომ არაგონესი ნახევარდაცვაში მოულოდნელ ცვლილებას ამზადებს. კერძოდ, ითქვა, რომ **ჩაბი ალონსოს** ნაცვლად, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე **მარკოს სენა** იასპარეზებს. სენიორ ლუისი ერთმა შიშმა აიტანა. ცნობილია, რომ **ფაბრეგასი, ჩავი** და **ინიესტა** შემტევი ყაიდის ნახევარმცველები არიან. დაცვაში კი მათ პრობლემები ექმნებათ ხოლმე. ამიტომ არაგონესს ისეთი კაცი სჭირდება, რომელიც მხოლოდ მოწინააღმდეგის შეტევების ჩაშლით იქნება დაკავებული. "სელექსიონის" დამრიგებელი თვლის, რომ ამ თვალსაზრისით სენა ჩაბი ალონსოს რამდენადმე სჯობს. თავად მარკოსი კი ჟურნალისტების მიერ გამოთქმულ ვარაუდს არ ადასტურებს. აი, რა განუცხადა მან "დიარიო ასის" კორესპონდენტს: *"ჩემთვის უცნობია, კორესპონდენტები ასეთ ინფორმაციას რატომ ავრცელებენ. არა მგონია, არაგონესს მათთვის საკუთარი ჩანაფიქრი გაემხილა. გულწრფელად ვიტყვი. სენიორ ლუისს ჩემთვის არ უთქვამს, ძირითად შემადგენლობაში უნდა გათამაშოო. ასე რომ, დასკვნები თავად გამოიტანეთ."*

შვედეთი

# ლარსონი იბრაჰიმოვიჩის ნაცვლად

## ზლატანის თამაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია

შვედეთის ნაკრები დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საბერძნეთთან მატჩის წინ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** სერიოზული პრობლემები შეექმნა. "ინტერის" სუპერფორვარდს მარცხენა მუხლის ტრავმა აწუხებს. იბრას ფეხი ისე სტკიოდა, რომ ბოლო ვარჯიში ვერ ჩაატარა. მას შვედეთიდან საგანგებოდ გამოძახებული წამყვანი ფიზიოთერაპევტები დასტრიალებენ თავს, მაგრამ პროფესიონალი ექიმების მეცადინეობის მიუხედავად, სიტუაცია საგანგაშოა. სასწაული უნდა მოხდეს, ზლატანმა დროულად გამოჯანმრთელება რომ მოახერხოს. წამყვანი ფორვარდის ტრავმით შეშფოთებული **ლარს ლაგერბაკი** აცხადებს, რომ საუკეთესო შემთხვევაში იბრა მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში თუ შეძლებს თამაშს. ამიტომ, სკანდინაველთა თავკაცი ვეტერან **ჰენრიკ ლარსონს** საგანგებოდ ამზადებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ძირითად შემადგენლობაში სწორედ ის იასპარეზებს. ლარსონი მოვლენათა ამგვარად განვითარებას არ ელოდა, თუმცა გამოცდილი ფორვარდი უკან დახევას არ აპირებს: *"ლაგერბაკმა მითხრა, რომ ზლატანს ფეხი სტკივა, ბერძნებთან, ალბათ, ვერ ითამაშებს და შენი იმედი მაქვსო. არ მეგონა, პირველივე ტურში თუ მომიწევდა მოედანზე გასვლა. დავბერდი, მაგრამ მე არაფრის არ მეშინია. მწვრთნელს, რა თქმა უნდა, თანხმობა განვუცხადე და პირობა მივეცი, რომ თავს არ დავზოგავ. ვნახოთ, რამდენად გამიმართლებს. მჯერა, ბერძნებთან მატჩში კარგ შედეგს მივაღწევთ."*

EURO 2008

# უიღბლო მასპინძელი

| A ჯგუფი | | |
|---|---|---|
| შვეიცარია-ჩეხეთი 0:1 | | |

ბაზელი. 7 ივნისი

**შვეიცარია:** ბენალიო, მიულერი, მანინი, სენდეროსი, ლიხტშტაინერი (75. ფონლანტენი), ბარნეტა, ბეჰრამი (83. დერდიოკი), ჟელსონი, ინლერი, ფრაი (46. ჰ. იაკინი), შტრელერი.

**ჩეხეთი:** ჩეხი, იანკულოვსკი, უიფალუში, როზენალი, გრიგერა, იაროლიმი (87. რ. კოვაჩი), სიონკო (83. ვლჩეკი), გალაშეკი, პლასილი, პოლაკი, კოლერი (56. სვერკოში).

**გოლი:** 0:1 სვერკოში (70)

**მაყურებელი:** 41 000

**მსაჯი:** რობერტო როსეტი (იტალია)

სტატისტიკა

| შვეიცარია | | ჩეხეთი |
|---|---|---|
| 3 | გაფრთხილება | 0 |
| 11 (5) | დარტყმა | 2 (1) |
| 12 | ჯარიმა | 10 |
| 7 | კუთხური | 3 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

შვეიცარიის ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატი უიღბლოდ დაიწყო. მასპინძლებმა ჩეხებთან მინიმალური ანგარიშით წააგეს. ერთადერთი გოლი შეცვლაზე შესულმა **ვაცლავ სვერკოშმა** გაიტანა. პირველი ტაიმის მიწურულს შვეიცარიას საუკეთესო ბომბარდირი **ალექსანდერ ფრაი** დაუშავდა. მან მუხლი იტკინა და ექვსკვირიანი დასვენება გამოიწერა. დორტმუნდის "ბორუსიის" თავდამსხმელისთვის ევროპის ჩემპიონატი ნაადრევად დასრულდა.

შეხვედრას წინ უსწრებდა ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. ცერემონიალი 13 წუთს გაგრძელდა და გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა. მატჩის დაწყებიდან 120 წამის შემდეგ, ფრაიმ ჩეხების კართან პირველი მომენტი შექმნა. მან 25 მეტრიდან დაარტყა და ოდნავ ააცილა.

**კობი კუნის** გუნდი უპირატესობას იოლად დაეუფლა. ჩეხები უსახურად ასპარეზობდნენ. მათ თავდასხმაში მხოლოდ **იან კოლერი** ჰყავდათ. კოლერს პასს იშვიათად აწვდიდნენ. ის დანარჩენი გუნდისგან მოწყვეტილი იყო.

21-ე წუთზე ფრაიმ მეორე მომენტი შექმნა. **პეტრ ჩეხმა** ბურთი ფეხებით მოიგერია. ჩეხის კოლეგა **ბენალიოს** პირველ ტაიმში საქმე თითქმის არ ჰქონია. ის თამაშში მხოლოდ ერთხელ ჩაერთო: ტაიმის მიწურულს, მან **დავიდ იაროლიმის** დარტყმა მოიგერია. კარგი მომენტები ჰქონდათ **ვალონ ბეჰრამისა** და **გოხან ინლერს**. 44-ე წუთზე ფრაიმ ტრავმა მიიღო და გასახდელისკენ კოჭლობით გაემართა.

მეორე ტაიმში, ფრაის ნაცვლად **ჰაკან იაკინი** გამოვიდა. ორიოდ წუთში იაკინმა სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო. ბურთი ხარიხას გადაევლო. წამყვანი ფორვარდის გარეშე დარჩენილი შვეიცარია მეტოქეს მაინც სჯობდა. **კარელ ბრიუკნერმა** კოლერი სვერკოშით შეცვალა. ეს უკანასკნელი ბანიკის "ოსტრავაში" თამაშობს. მან გასულ სეზონში 15 გოლი გაიტანა და ჩეხეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.




სვერკოშის გამოსვლას გარდატეხა არ მოჰყოლია. ინიციატივას ისევ მასპინძლები ფლობდნენ. მარცხენა გარემარბმა **ტრანკვილო ბარნეტამ** ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა იაკინმაც. მან **სტეფან ლიხტშტაინერის** გრძელი პასი კარიდან რვა მეტრში მიიღო და ააცილა.

სვერკოშის გოლი ალოგიკური გახლდათ. შვეიცარიელებმა ჩეხების საჯარიმო მოიგერიეს და ბურთი ცენტრამდე აიტანეს. იქ მას **ტომაშ გალაშეკი** დაეუფლა და მეტოქის საჯარიმოსკენ გადააგდო. მასპინძელი მცველები წინ იყვნენ ამოსულნი. ერთ-ერთი ჩეხი თავდამსხმელი პასიურ თამაშგარე მდგომარეობაშიც იმყოფებოდა, მაგრამ თამაშგარეში არ იყო სვერკოში. ის მცველებს გაექცა, ბურთს დაეუფლა და ბენალიოს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა. ვაცლავმა ნაკრების მაისურით პირველი გოლი შეაგდო.

დარჩენილ დროში შვეიცარიას ცდა არ დაუკლია, რომ წონასწორობა მაინც აღედგინა, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ **იოჰან ფონლანტენმა** ბურთი ხარიხას გაარტყა.

## მატჩის შემდეგ

**კობი კუნი** (შვეიცარია): *"პირველსავე მატჩში კაპიტნის დაკარგვა ნამდვილი კატასტროფაა. ალექსანდერს სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს კარგი თამაში მივულოცე და ვუთხარი, რომ შეუძლიათ, იამაყონ. სამწუხაროა, რომ დავმარცხდით, მაგრამ რა გაეწყობა. დროა, მომდევნო მატჩებზე ვიფიქროთ. დღეს არა ერთი მომენტი გვქონდა. შეგვეძლო ანგარიშის გათანაბრება და გამარჯვებაც კი. შანსი კიდევ გვაქვს. დანებებას არ ვაპირებთ. შევეცდებით, დღეს დაშვებული შეცდომები გამოვასწოროთ."*

**კარელ ბრიუკნერი** (ჩეხეთი): *"შეიძლებოდა, თუ არა სვერკოშის პირველ ტაიმში გამოყვანა? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მაგრამ ჩემი აზრით, სწრაფ ფეხბურთელებს მეორე ტაიმში უფრო მეტი სარგებელი მოაქვთ. შესვენებამდე თამაში მაღალ გადაცემებზე ავაგეთ. ამ ტაქტიკამ არ გაამართლა. ამიტომ კოლერის ნაცვლად განსხვავებული ყაიდის თავდამსხმელი გამოვიყვანეთ და საუცხოო შედეგს მივაღწიეთ. დასაწყისი შესანიშნავია, თუმცა დღეს ჩეხეთს თავისი საუკეთესო მატჩი არ უთამაშია."*

# სკოლარის სკოლა თერიმისთვის

| A ჯგუფი | | |
|---|---|---|
| პორტუგალია-თურქეთი 2:0 | | |

ჟენევა. 7 ივნისი

**პორტუგალია:** რიკარდო, ბოსინგვა, რიკარდო კარვალიო, პაულუ ფერეირა, პეპე, პეტი, დეკუ (90. ფერნანდო მეირა), სიმაო (82. რაულ მეირელეში), კრისტიანო რონალდო, ჟოაო მოუტინიო, ნუნუ გომეში (68. ნანი).

**თურქეთი:** ვოლქანი, სერვეთი, გოხანი (55. ემრე ასიქი), ჰაქან ბალთა, მეჰმეთ აურელიო, ჰამით ალთინთოფი (76. სემიჰ სენთურქი), ემრე ბელოზოღლუ, ნიჰათი, თუნჯაი, ქაზიმი, მევლუთი (46. საბრი).

**გოლები:** 1:0 პეპე (61), 2:0 პაულ მეირელეში (90)

**მაყურებელი:** 31 000

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

სტატისტიკა

| პორტუგალია | | თურქეთი |
|---|---|---|
| 0 | გაფრთხილება | 3 |
| 27 (11) | დარტყმა | 8 (1) |
| 10 | ჯარიმა | 19 |
| 7 | კუთხური | 5 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

პორტუგალიამ გამარჯვებით დაიწყო. **პეპემ** და **რაულ მეირელეშმა** თურქეთს ორი გოლი გაუტანეს. "რეალის" ცენტრალურმა მცველმა ნაკრების მაისურით პირველად შეაგდო. ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

პორტუგალიელებს უფრო დიდი სხვაობით გამარჯვებაც შეეძლოთ. მათ სამჯერ შეაზანზარეს ძელი. ორჯერ, კაპიტან **ნუნუ გომეშს** არ გაუმართლა, ერთხელ **კრისტიანო რონალდოს**.

პირველ ტაიმში ერთი საგოლე მომენტი შეიქმნა. 35-ე წუთზე რონალდო საჯარიმოში შეიჭრა და მარცხენა დაბალ კუთხეში დაარტყა. **ვოლქან დემირელი** ბურთს თითის წვერებით მისწვდა. ბურთმა მიმართულება შეიცვალა და ძელს მოხვდა.

პორტუგალიამ მატჩი აქტიურად დაიწყო. მეორე წუთზე **ჟოზე ბოსინგვამ** მარჯვენა ფლანგიდან შეუტია. მისი დარტყმის შემდეგ ბურთი ბადეს გარედან მოხვდა. ხუთი წუთის შემდეგ, "ჩელსის" ახალწვეულმა რონალდოს გაუკეთა გადაცემა. კრისტიანო საჯარიმოში შევიდა და ცაციათი დასცხო, მაგრამ მაღალი მოუვიდა.

თურქებმა **თუნჯაი სანლის** შეტევით უპასუხეს. "მიდლსბროს" თავდამსხმელი მეტოქის საჯარიმოში დაეცა. თურქებმა პენალტი მოითხოვეს, მაგრამ გერმანელმა მსაჯმა **ჰერბერტ ფანდელმა** თამაშის გაგრძელება ანიშნა.

მე-17 წუთზე პეპემ გოლი გაიტანა. **სიმაო საბროსას** კუთხურისას, ის ყველაზე მაღლა ახტა და თავით შეაგდო, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. საპასუხო იერიშისას ნიჰათმა სახიფათოდ დაარტყა. ბურთი პორტუგალიელ მცველს მოხვდა და ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

მეჰმეთმა **დეკუს** რეიდი წესების დარღვევით შეაჩერა. ჯარიმა სიმაომ შეასრულა. მან ბურთი კედელს გადაავლო და კარსაც ააცილა. იქვე რონალდომ ოთხი თურქი ფეხბურთელი მოატყუა, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა. გუნდები შესვენებაზე უგოლოდ გავიდნენ.

მეორე ტაიმის ცოცხლად დაიწყო. პორტუგალიელთა პირველსავე შეტევას კინაღამ გოლი მოჰყვა. საჯარიმოს კიდესთან **გოხან ზანმა** სიმაო მოცელა. ფანდელმა თამაში არ გააჩერა, რადგან ბურთს ნუნუ გომეში დაეუფლა. ის ვოლქანთან პირისპირ გავიდა და ძელი შეაზანზარა.

სკოლარის მოუსვენრობა დაეტყო. რონალდომ მარცხენა ფლანგიდან გადაწყვიტა თურქების კარის გახსნა. მან მცველებს იოლად აუარა გვერდი და დაბალ კუთხეში დაარტყა. ვოლქანი ბურთს იოლად დაეუფლა. თურქების მეკარე ველარაფერს გახდებოდა, ნუნუ გომეშის დარტყმა რომ კარში წასულიყო - რონალდოს პასის შემდეგ, "ბენფიკის" თავდამსხმელმა ბურთს თავი დაჰკრა და ამჯერად ხარიხა მოიკითხა.

ამასობაში, 61-ე წუთიც დადგა. პეპემ ნუნუ გომეშთან კედელი გაითამაშა, ვოლქანთან პირისპირ გავიდა და მცველების უხეშობის მიუხედავად, მაინც შეაგდო. გოლის შემდეგ პორტუგალია უპირატესობის განმტკიცებას შეეცადა. თურქებს ხელები არ ჩამოუშვიათ **ემრე ასიქსა** და **თუნჯაის** სანახევროდ საგოლე მომენტები ჰქონდათ.

მსაჯისგან დამატებულ დროში პორტუგალიელებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს. რონალდომ **მოუტინიოს** გაუგორა, მოუტინიომ მეირელეშს, ამ უკანასკნელმა კი თამაშს წერტილი დაუსვა - 2:0.



პეპე ხსნის ანგარიშს

## მატჩის შემდეგ

**ლუიშ ფელიპე სკოლარი** (პორტუგალია): *"დღევანდელი გამარჯვებით მეოთხედფინალში გასვლის საკითხი სანახევროდ გადავჭერით. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. მაგრამ ამ წარმატებამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. ხვალიდან ჩეხეთთან მატჩისთვის მზადებას ვიწყებთ. თურქეთთან მოპოვებული სამი ქულა სულის მოთქმის საშუალებას მოგვცემს."*

**ფათიჰ თერიმი** (თურქეთი): *"ჩვენი ბედი შვეიცარიასთან მომდევნო შეხვედრაში გადაწყდება. შეცდომებს აუცილებლად გამოვასწორებთ და უკეთ ვითამაშებთ. შევეცადეთ, მეტოქეს ტემპში ავყოლოდით. თავიდან ეს კარგად გამოგვივიდა, მაგრამ პირველმა გოლმა წელში გაგვტეხა. დღეს ორი ფეხბურთელი, სერვეთ ჩეთინი და გოხან ხანი დაგვიშავდა. ექიმები მათ დიაგნოზს ცოტა ხანში მეტყვიან."*

**შალვა ბიბილაშვილი**

| II ტური |
|---|
| 11 ივნისი, ოთხშაბათი |
| **ჟენევა** |
| ჩეხეთი-პორტუგალია 20:00 |
| **ბაზელი** |
| შვეიცარია-თურქეთი 22:45 |

EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასპინძლები ქულებს არიგებენ

**B ჯგუფი**

**ავსტრია-ხორვატია 0:1**

ვენა. 8 ივნისი

**ავსტრია:** მახო, შტრანცლი, პოგატეცი, გერკალიუ (69. უმით ქორქმაზი), პრიოდლი, ივანშიტცი, აუფჰაუზერი, შტანდფესტი, საუმელი (61. ვასტიჩი), ლინცი (73. კინასტი), ჰარნიკი.

**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმუნიჩი, რ. კოვაჩი, კორლუკა, სრნა, კრანჩარი (61. კნეჟევიჩი), ნ. კოვაჩი, პრანიჩი, მოდრიჩი, პეტრიჩი (72. ბუდანი), ოლიჩი (82. ვუკოევიჩი).

**გოლი:** 0:1 მოდრიჩი (4-პენ)

**მაყურებელი:** 54 000

**მსაჯი:** პიტერ ვინკი (ჰოლანდია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 3 | **გაფრთხილება** | 1 |
| 18 (8) | **დარტყმა** | 9 (3) |
| 17 | **ჯარიმა** | 14 |
| 4 | **კუთხური** | 7 |
| 64% | **ბურთის ფლობა** | 36% |

**ხორვატებმა** დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ ეს გამარჯვება დიდი შრომის ფასად დაუჯდათ. მიმომხილველების აზრით, ეს უფრო ხორვატთა სუსტი თამაშის შედეგი იყო, ვიდრე ავსტრიელთა სიძლიერისა. ავსტრიელები ფიფას რეიტინგში 92-ე ადგილზე იმყოფებიან - თვით გვატემალის, ლიბიისა და ტრინიდადისა და ტობაგოს ქვემოთ.

ავსტრიელთა თავკაც **იოზეფ ჰიკერსბერგერისათვის** მთელი გასული კვირა უილბლოდ დაიწყო. ორი დღით შინ გაშვებულ ფეხბურთელთაგან, რამდენიმე გვიან დაბრუნდა. მათი უპასუხისმგებლობით აღშფოთებულმა მწვრთნელმა საგანგებო კრება ჩაატარა. კრების შემდეგ, გუდის მენეჯერმა **ანდრეას ჰერცოგმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უსიამოვნება ამოწურული იყო.

ჰიკერსბერგერს ბოლო დღემდე არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ვინ დაეყენებინა კარში. მას არჩევანი "ჩელსისა" და "არსენალის" ყოფილ კარის მეკარეებს - **იურგენ მახოსა და ალექს მანინგერს** შორის უნდა გაეკეთებინა. საბოლოოდ, კარში მახო ვიხილეთ.

გამოჯანმრთელდა მიდლსბროელი გამოცდილი მცველი **ემანუელ პოგატეცი**. ჰიკერსბერგერმა გამოცდილი **რონალდ გერკალიუ** დაცვიდან ნახევარდაცვის ცენტრში გადასწია. ფლეიმეიქერსა და კაპიტან **ანდრეას ივანშიცს** ფლანგებზე **რენე აუფჰაუზერი** და **იურგენ საუმელი** დაახმარეს. თავდასხმაში ჰიკერსბერგერმა **მარტინ ჰარნიკი** და **როლანდ ლინცი** დააყენა.

ხორვატების შემადგენლობა წინასწარვე ცნობილი იყო. სლავენ ბილიჩმა იგივე ფეხბურთელები გამოიყვანა, რომელთაც უნგრეთთან ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში (1:1) ითამაშეს. ნახევარდაცვის გაძღოლა **ლუკა მოდრიჩს** დაეკისრა. თავდასხმაში კი **ივიცა ოლიჩი** და **მლადენ პეტრიჩი** ირჯებოდნენ.

ხორვატებს ანგარიშის გასახსნელად 4 წუთი დასჭირდათ. აუფჰაუზერმა საკუთარ საჯარიმოში ოლიჩი მოცელა. ჰოლანდიელმა მსაჯმა **პიეტერ ვინკმა** უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. პოგატეცმა მისი გადაწყვეტილება ისე ხმაურიანად გააპროტესტა, რომ უმალ ყვითელი ბარათით დააჯილდოვეს. ბურთთან მოდრიჩი მივიდა - "ტოტენჰემის" ახალწვეულმა ცენტრში დაუმიზნა, მახო მარჯვენა კუთხეში გადახტა და რა თქმა უნდა, ვერ აილო.

ადრე გატანილმა გოლმა ხორვატები ძალიან დაამშვიდა. მათ თამაშის დარჩენილი 86 წუთი ისე ჩაატარეს, თითქოს მეტი გოლის გატანაზე არცკი ფიქრობენო. ავსტრიელებმა ბევრი იწყალეს თუ ცოტა, მეტოქის კარის მიმართულებით პირველად 30-ე წუთისათვის დაარტყეს. ივანშიცმა საჯარიმოში ჩააწოდა, იქ ბურთს ცენტრალური მცველი **სებასტიან პრიოდლი** დაუხვდა და თავით არაზუსტად დასცხო.

ხორვატიას მეორე გოლის გატანა 35-ე წუთზე შეეძლო. "მანჩესტერ სიტის" მცველმა **ვედრან კორლუკამ** გრძელი პასით მეტოქის ძელთან ჩასაფრებული პეტრიჩი მოძებნა. პეტრიჩმა, იმის ნაცვლად, რომ ბურთი ჩამოეღო, გამეტებით დასცხო და კარს ლამის ერთი კილომეტრით ააცილა.

ტაიმის მიწურულს, ავსტრიამ მეტოქეს ზედიზედ ოთხჯერ შეუტია. **სტიპე პეტიკოშამ იოახიმ შტანდფესტის** სახიფათო ჩაწოდება მოიგერია. შიმუნიჩმა მარნიკს ააცალა ბურთი. ივანშიცის კუთხურისას, ისევ პლეტიკოშამ იყოჩაღა. ორ წუთში, შტანდფესტმა სტუმართა საჯარიმოში გრძელი პასი მიიღო, მაგრამ მისი თავური ოდნავ ასცდა მიზანს.

შესვენებამდე ერთი მომენტი ხორვატებმაც შექმნეს: მოდრიჩმა პოგატეცის შეცდომით ისარგებლა, საჯარიმოში შევიდა და ბურთი ოლიჩისაკენ გადააგდო. მარტინ შტრანცლმა დაზღვევაზე ზუსტად ითამაშა.

მეორე ნახევარი ნელ ტემპში დაიწყო. ავსტრიელები ცვლილებების შემდეგ გააქტიურდნენ. ჰიკერსბერგერმა **უმით ქორქმაზი** და ხორვატული წარმომავლობის ვეტერანი თავდამსხმელი, **ივიცა ვასტიჩი** გამოიყვანა. მასპინძლები ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ, მაგრამ საქმე რეალურ საგოლე მომენტამდე არ მიუყვანიათ.

ხორვატებმა კი მორიგი ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს: კორლუკამ შეცვლაზე შესული **იგორ ბუდანი** მოძებნა. ბუდანმა ბურთი კარისაკენ გაგზავნა, მაგრამ მცველებმა მიმართულება შეუცვალეს. საპასუხო იერიშისას, ასევე შეცვლაზე შესულმა **რომან კიენასტმა** ანგარიშით გათანაბრება სცადა, მაგრამ ააცილა.

### მატჩის შემდეგ

**იოზეფ ჰიკერსბერგერი** (ავსტრია): *"მართალია, დავმარცხდით, მაგრამ თავი არ შეგვირცხვენია. ძალიან კარგად ვითამაშეთ. სამწუხაროდ, გოლი ვერ შევაგდეთ. პენალტი რომ არა, შეიძლება, მატჩი სხვა შედეგით დასრულებულიყო. ერთ-ორ ეპიზოდში, მეტოქემ ხელით ითამაშა. ისინიც შეიძლებოდა, დასჯილიყვნენ, მაგრამ მსაჯმა სხვაგვარად გადაწყვიტა".*

**სლავენ ბილიჩი** (ხორვატია): *"სამი ქულით კმაყოფილები ვართ. პირველი მატჩის მოგება ყოველთვის ძნელია. გუნდმა საშუალო დონეზე ითამაშა, განსაკუთრებით, მეორე ტაიმში. შესვენებამდე უფრო ეფექტურად ვთამაშობდით. სხვაობა უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. საერთო ჯამში, ამოცანა შევასრულეთ. ფეხბურთელებს ვულოცავ ამ გამარჯვებას და ვიწყებთ მზადებას მეორე მატჩისათვის".*

# პოდოლსკიმ პოლონეთი ააფეთქა!

## სამშობლო ამას არ აპატიებს...

**B ჯგუფი**

**გერმანია-პოლონეთი 2:0**

კლაგენფურტი. 8 ივნისი

**გერმანია:** ლემანი, ლამი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, იანსენი, ფრინგსი, ბალაკი, კ. ფრიტცი (55. შვაინშტაიგერი), პოდოლსკი, კლოზე (91. კურანი), გომესი (75. ჰიტცლშპერგერი).

**პოლონეთი:** ბორუცი, ვასილიევსკი, მი. ჟევლაკოვი, ბაკი, გოლანსკი (75. საგანოვსკი), დუდკა, ლევანდოვსკი, ლობოძინსკი (65. პიჟჩეკი), კრჟინოვეკი, სმოლიარეკი, ჟურავსკი (46. გერეირო).

**გოლი:** 1:0 პოდოლსკი (20), 2:0 პოდოლსკი (72)

**მაყურებელი:** 32 000

**მსაჯი:** ტომ ჰენინგი (ნორვეგია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 1 | **გაფრთხილება** | 2 |
| 9 (6) | **დარტყმა** | 11 (6) |
| 10 | **ჯარიმა** | 10 |
| 4 | **კუთხური** | 3 |
| 48% | **ბურთის ფლობა** | 52% |



პოდოლსკის გააქვს პირველი გოლი პოლონელთა კარში

**ლუკას პოდოლსკიმ** მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. "ბაიერნში" მას იშვიათად ათამაშებდნენ. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ, როდესაც ლუკასი მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს, პოლდის ხეირიანი ფაქტობრივად ალარაფერი გაუკეთებია. ამ სეზონშიც არ აკლდა კრიტიკა, პროგრესს ვინ ჩივის, რეგრესი დაეწყოო, წერდნენ ჩვენი გერმანელი კოლეგები. მაგრამ აი, დაიწყო ევროპის ჩემპიონატი და პოდოლსკიმ პირველივე შეხვედრაში გერმანელ ქომაგებს ის "პრინცი პოლდი" გაახსენა, რომელიც 2006 წელს მათ ასე ძლიერ შეუყვარდათ. გუშინ, პოდოლსკი გერმანიისა და პოლონეთის მატჩის გმირი გახდა და რაოდენ პიკანტურია ის ფაქტი, რომ პოლდი პოლონელი გახლავთ. ალბათ დააკვირდით, არცერთი გოლი არ უზეიმია...

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე 1996 (!) წლის ფინალის შემდეგ არცერთი თამაში არ ჰქონდა მოგებული (ფინალი ჩეხეთთან **ოლივერ ბირჰოფის** ოქროს გოლის წყალობით მოიგეს). 2000 და 2004 წლებში გერმანია კონტინენტის პირველობაზე პირწმინდად შერცხვა და აი, როგორც იქნა, ნავსიც გატყდა.

**იოახიმ ლიოვის** გუნდმა, ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის კვალობაზე, გუშინ, შესანიშნავად ვერა, მაგრამ კარგად კი ნამდვილად ითამაშა. ყოველ შემთხვევაში, ბუნდესნაკრებს შეტევაში არაფერი დაეწუნებოდა. სამაგიეროდ, გამოჩნდა, რომ ლიოვს დაცვაზე აქვს სამუშაო. პოლონელებმა სახიფათოდ სულ რამდენჯერმე შეუტიეს და ყველა მომენტში გამოჩნდა, რომ **მერტეზაკერისა** და **მეტცელდერის** დუეტი ცუდ ფორმაშია. სამაგიეროდ, თავდაჯერებული გახლდათ **იენს ლემანი**.

ლიოვმა **ბასტიან შვაინშფაიგერი** ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო და მის ნაცვლად, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე პოდოლსკი გაამწესა, რომელიც იერიშების დროს ხშირად მესამე თავდამსხმელის ფუნქციას ასრულებდა. იოგიმ პოლდი პირველად როდი ჩართო ნახევარდაცვაში - ბუნდესმწვრთნელმა ლუკასი მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ადრეც არაერთხელ გამოცადა და პოლდიმ მაშინაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ახლა კი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლიოვმა ათიანში მოარტყა. გარდა იმისა, რომ ორივე გოლი მან გაიტანა (მეორე განსაკუთრებით ეფექტური), პოდოლსკიმ მთელი მატჩის განმავლობაში ბევრი იშრომა და მოედანზე საუკეთესო იყო.

გერმანიის ნაკრებმა თამაში აქტიურად, შეტევებით დაიწყო. ლიოვის გუნდს ტემპში პოლონელებიც აყვნენ და პირველ წუთებზე, ორმხრივი შეტევების კასკადი ვიხილეთ. პირველი მომენტი **ლეო ბეენჰაკერის** შეგირდებმა შექმნეს: საწლის წუთზევე, პოლონელებმა ბურთი მარჯვნიდან ჩააწოდეს, მერტეზაკერმა და ლემანმა შეუთანხმებლად იმოქმედეს, ერთმანეთს შეასკდნენ და ბურთი **იაცეკ კრჟინოვეკს** მიუვიდა, რომელმაც ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ ააცილა - გერმანიას გაუმართლა. მე-4 წუთზე ბალაკმა გენიალური პასით კლოზე და **გომესი** (ეს უკანასკნელი თამაშგარე იყო, თუმცა პასიურში) ბორუცს შეატოვა, მაგრამ კლოზემ პასიც დააგვიანა და დარტყმაც, ბოლოს მაინც პასი გადაწყვიტა, მაგრამ გომესმა ბურთს დროულად ვეღარ მიასწრო.

...და პოდოლსკის პირველი გოლი: გომესმა კლოზე შესანიშნავი გადაწოდებით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მირომ ამჯერად პასის მიცემა აღარ დააგვიანა და თავისუფალი პოლდი მოძებნა, რომელმაც 6 მეტრიდან ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ პოლონელებს ორი მომენტი ჰქონდათ - ჯერ **ლობოძინსკი** შეიჭრა ბუნდესგუნდის საჯარიმოში, მაგრამ მას ლემანი გაუმკლავდა, მერე კი იმავე ლობოძინსკის პასით **ჟურავსკიმ** ვერ იხეირა, ააცილა.

მეორე ტაიმში გერმანელებმა ოდნავ უკან დაიხიეს და პრაგმატული ფეხბურთი გააჩაღეს, რითაც პოლონელებმა კინაღამ ისარგებლეს. ბეენჰაკერის გუნდს გერმანია რამდენიმე წუთის განმავლობაში წნეხის ქვეშ ჰყავდა მოქცეული, მაგრამ ზეწოლას შედეგი არ მოჰყოლია. 62-ე წუთზე **ები სმოლიარეკმა ლევანდოსვკის** პასის შემდეგ ჯერ ძელს მოარტყა ბურთი, მერე კი, დამატებაზე გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა მასზე თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. გერმანელები ბურთს იოლად თმობდნენ, თუმცა მატჩზე კონტროლი მაინც არ დაუკარგავთ. 72-ე წუთზე კი, მეტოქე საბოლოოდ დააშოშმინეს: გომესი-შვაინშტაიგერი-კლოზე-პოდოლსკის შესანიშნავი, მრავალსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელმა ყუმბარისებული დარტყმით დააგვირგვინა - ბორუცს მოგერიების შანსი არ ჰქონდა. ამჯერად ლუკასმა ოდნავ გაიღიმა და იმ სექტორისკენ გაიხედა, სადაც მისი მშობლები ისხდნენ.

პოლდის მეორე გოლის შემდეგ, გერმანელმა ქომაგებმა ტრადიციული "Ooo, ist das schoen!" (ოოო, რა ლამაზია) შემოსძახეს, საფინალო სასტვენის შემდეგ კი, ტელეეკრანიდან თქვენც გაიგონებდით მიხაელ ბალაკის ხმამაღალ Jaaaaaa-ს. გერმანიამ ევრო 2008 დამსახურებული სამი ქულით დაიწყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ლიოვის სამწყსოს დაცვაში პრობლემები აქვს. რაც შეეხება პოდოლსკის - მშობლები ნამდვილად აპატიებენ პოლონეთის გამწარებას, აი პოლონეთის და პოლონელებისა კი რა მოგახსენოთ...

### მატჩის შემდეგ

**იოახიმ ლიოვი** (გერმანია): *"პირველი თამაშის მოგება ყოველთვის მნიშვნელოვანია. ჩემმა გუნდმა დღეს ძალიან კარგად ითამაშა, პოდოლსკი კი გრანდიოზული იყო. განსაკუთრებით კარგად პირველ ტაიმში ვიასპარეზეთ. რაღაც რაღაცეები გამოსასწორებელი გვაქვს. ვერავის დავეთანხმები იმაში, რომ თითქოს მცველები ცუდად გამოიყურებოდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, ეიფორიის საფუძველი არ არსებობს - ჯერ მხოლოდ ერთი თამაში მოვიგეთ."*

**ლეო ბეენჰაკერი** (პოლონეთი): *"გერმანიას არაფერში ჩამოუვარდებოდით. გაშვებული გოლის შემდეგ სხვა გზა აღარ გვქონდა, გახსნილი ფეხბურთი გავაჩაღეთ და ასეთ დროს გერმანიასთან თამაში განსაკუთრებით ძნელია. ვფიქრობ, ფრეს ვიმსახურებდით. მენტალურად ძალიან ძლიერი გუნდი მყავს და არ მეშინია, რომ ეს მარცხი კალაპოტიდან ამოგვაგდებს. თუკი გერმანია ხორვატიასაც მოუგებს, ყველაფერი ჩვენზე იქნება დამოკიდებული."*

**გოტფრიდ ლენცი**

**II ტური**

12 ივნისი, ხუთშაბათი

**კლაგენფურტი**

ხორვატია-გერმანია 20:00

**ვენა**

ავსტრია-პოლონეთი 22:45

EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები სტარტის შემდეგ

# პირველი ცრემლი, პირველი ფავორიტი



იაკობ კუნი



კარელ ბრუკნერი

...ვერაფერს ვიტყვით - დასაწყისი, მართლაც, მშვენიერი იყო! ჩემპიონატის პირველ დღეს ბაზელშიც და ჟენევაშიც ორივე მატჩზე სრული ანშლაგი იყო; გოლებიც ვნახეთ და მწვრთნელთა ტაქტიკური დუელიც; მსაჯების შეცდომებიც ვიხილეთ და... პირველი ცრემლიც; რაც მთავარია, პირველმა დღემ, ალბათ, საბოლოოდ დაამსხვრია "მითი მშვიდობიანი დასაწყისის" შესახებ. ჰო, რატომღაც ისე დამკვიდრდა, რომ ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის სადებიუტო მატჩებში უმრავლესობა საყაიმო ანგარიშს ელოდება. ახლა კი ისე მოხდა, რომ ჩეხეთმა და პორტუგალიამ, ფაქტობრივად, სანახევროდ გადაჭრეს ჯგუფიდან გასვლის ამოცანა. ეგ კი არა, ამ პირველმა დღემ ჩემპიონატის ერთ-ერთი რეალური ფავორიტი კიდევ ერთხელ შეგვახსენა - პორტუგალიის ნაკრების თამაშს ლამაზიც ეთქმოდა, ეფექტურიც და შთამბეჭდავიც. თუმცა ეს მეორე მატჩი იყო, მანამდე კი ჩემპიონატის საზეიმო გახსნა და სადებიუტო შეხვედრა ვიხილეთ. შვეიცარიისა და ჩეხეთის მატჩის წინ ყველა იმაზე საუბრობდა, რომ მეტოქეებს თანაბარი შანსი ჰქონდათ; ფიფას რეიტინგში ჩეხების უფრო მაღალ საფეხურზე ყოფნაც ბევრს არაფერს ნიშნავდა - ბოლოს და ბოლოს, შვეიცარიელები ხომ შინ თამაშობდნენ! მაგრამ, აი, ჩემპიონატის პირველი უცნაურობაც - ტრიბუნების რეაქციიდან გამომდინარე, სტუმარ-მასპინძელი ძნელი გასარკვევი იყო.

ამით იმას კი არ ვამტკიცებთ, თითქოსდა, ტრიბუნებზე ჩეხები უმრავლესობაში იყვნენ; უბრალოდ, მასპინძელთა ქომაგები უემოციოდ და ცოტა "არასაფეხბურთოდ" იყვნენ განწყობილნი მოედანზე მიმდინარე მოვლენების მიმართ. რა თქმა უნდა, მშვენიერი სანახავია ტრიბუნებზე გამეფებული იდეალური წესრიგი, მაგრამ ფეხბურთს ხომ ხმაურიანი შეძახილი და ყიჟინა უხდება; აი, როგორც პორტუგალია - თურქეთის მატჩისას იყო...

...შვეიცარიელებს ჩემპიონატზე ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ, ჩეხებს - ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული; სამაგიეროდ, ორივე ნაკრებს ერთობ გამოცდილი და ასაკოვანი მწვრთნელები ჰყავთ და ევროპის ჩემპიონატის მერე ორივე "დამსახურებულ პენსიაში" მიდის. და მაინც, **კარელ ბრიუკნერმა** თავის შვეიცარიელ კოლეგა **კობი კუნს** გამჭრიახობაში აჯობა. შესაძლოა, ჩეხეთის ნაკრების ქომაგთათვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი, უფრო ზუსტად, მიუღებელი იყო ბრიუკნერის მიერ არჩეული ფრთხილზე ფრთხილი ტაქტიკური განლაგება. თავად განსაჯეთ - დაცვაში ხაზზე მოთამაშე ოთხი მცველის წინ **ტომაშ გალაშეკი** იდგა, მის გვერდით კი ასევე ორი საყრდენი იყო - **იან პოლაკი** და **დავიდ იაროლიმი**. ეგ კი არა, ჩეხებს ფლანგზე მოქმედი გამოკვეთილი გარემარბებიც არ ჰყავდა - **ლიბორ სიონკო** და **იაროსლავ პლაშილი** ნამდვილად არ თამაშობდნენ **სიმაო საბროსასა** თუ **კრისტიანო რონალდოს** სტილში. თავდასხმაში, რა თქმა უნდა, ორმეტრიანი ვეტერანი **იან კოლერი** იდგა და პირველი ტაიმიც ჩეხების ტაქტიკა უმარტივესი წასაკითხი იყო: მეტოქის საჯარიმოში მაღალი ბურთების ჩაწოდება. მასპინძლების თავკაცმა კლასიკური (4-4-2) განლაგება აირჩია, თუმცა პირველი წუთებიდანვე გამოჩნდა რომ შვეიცარიელთა ახალგაზრდა და ნიჭიერ ნახევარმცველებს გამოცდილ მეურვეებთან გამკლავება გაუჭირდებოდათ. იმავე პირველმა ტაიმმა დაადასტურა, რომ მასპინძელთა მთავარი იმედი გუნდის კაპიტანი და საუკეთესო ბომბარდირი **ალექსანდერ ფრაი** უნდა ყოფილიყო. თუ კი რაიმე შექმნეს ლირებული, ყველაფერი ფრაის დამსახურება იყო, მაგრამ მეტოქეს ხომ **პეტრ ჩეხი** ჰყავდა, პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე. ფრაის მეწყვილე, კოლერის ტიპის ცენტრფორვარდი **მარკო შტრელერი** კი ჩეხების მცველთა მარწუხებში მოექცა. ეგ კი არა, ლამის ორმეტრიანმა ფორვარდმა ვერცერთი საჰაერო ბურთი ვერ მოუგო მეტოქეებს. ისე, რატომ გვიკვირს - ჩეხეთის ნაკრების ოთხივე მცველი (**ზდენეკ გრიგერა, ტომაშ უიფალეში, დავიდ როზენალი, მარეკ იანკულოვსკი**) ხომ სერია A-ში თამაშობენ. შტრელერმა მხოლოდ ერთხელ შეძლო საჰაერო დუელის მოგება და მაშინ იყო სწორედ ყველაზე საკამათო ეპიზოდი: გამეორებაზე ნათლად ჩანდა, რომ უიფალუშს ბურთი ხელზე მოხვდა! თუმცა არბიტრმა **რობერტო როზეტიმ** წესების დარღვევა ვერ დაინახა - ესეც თქვენი პირველი სამსაჯო ლაფსუსი. ამ დროისათვის ბრიუკნერს უკვე გაკეთებული ჰქონდა "ოქროს შეცვლა": ინერტული კოლერის ნაცვლად მოედანზე შემოსულმა **ვაცლავ სვერკოშმა** შვეიცარიელთა მცველების შეცდომით ჩინებულად ისარგებლა და ჩემპიონატის პირველი გოლი გაიტანა. აი, კუნმა კი ვერ გარისკა და ბოლომდე ჯიუტად ენდობოდა შტრელერს; მით უმეტეს, რომ მოედანზე აღარ იყო გუნდის ლიდერი ფრაი - პირველი ტაიმის მიწურულს გრიგერასთან ორთაბრძოლაში სერიოზული ტრავმა რომ მიიღო. საბრალო ფრაი - უმძიმესი ტრავმის გამო ნახევარ სეზონზე მეტი გაუცდა, ახლახან აღიდგინა ფორმა და ისევ დაშავდა. ასე ვნახეთ ჩემპიონატის პირველი ცრემლიც...

...31 მაისს პორტუგალიის ნაკრებმა ბოლო საკონტროლო შეხვედრა საქართველოს ნაკრებთან ჩაატარა. ბევრს სასაცილოდ არ ეყო პორტუგალიელთა თავკაცის, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** სიტყვები - საქართველოს ნაკრების სათამაშო სტილი თურქეთისას წააგავს და სპარინგად ამიტომ ავირჩიეთო. "დიდი ფილი" არ შემცდარა - ჩვენს ნაკრებთან ჩატარებული შეხვედრა, მართლაც, ჩინებულ სავარჯიშო მოდელად გამოიყენა. რა თქმა უნდა, სკოლარიმ არც ამჯერად უღალატა თავისთვის "საკულტო" განლაგებას (4-2-3-1) და მთავარი ის არის, რომ თურქეთთან მატჩი იმ თერთმეტი ფეხბურთელიც დაიწყო, ვინც საქართველოსთან ჰყავდა ძირითადში! ადრეც იძახდა სკოლარი, ათი კაცი შერჩეული მყავს და მხოლოდ ერთი პოზიციაა საკამათოო; თუმცა ამ შემთხვევაშიც გაამართლა მისმა არჩევანმა: ახალგაზრდა **ჟოზე მოუტინიომ** თურქეთთანაც (ისე როგორც - საქართველოსთან) დაამტკიცა, რომ პორტუგალიელმა ქომაგებმა **კოშტინია** და **მანიშე** უნდა დაივიწყონ! და, რა - მარტო მოუტინიომ? ზემოთაც ვახსენეთ, რომ ჩემპიონატის პირველ დღეს ერთ-ერთი ფავორიტის თამაში ვნახეთ. რა თქმა უნდა, ერთი მატჩით ძნელია დასკვნების გამოტანა, მაგრამ ისიც თვალნათლივ ჩანდა, თუ რამხელა პოტენციალი იყო პორტუგალიელთა თამაშში. ფაქტობრივად, სრულყოფილი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა - დალაგებული და გუნდური თამაში პლუს ცალკეულ ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა. ამ უკანასკნელ ფაქტორზე ცალკე უნდა შევჩერდეთ: პორტუგალიის ნაკრების ლამის ყველა ფეხბურთელს თავისუფლად შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. ცენტრალურმა მცველმა **პეპემ** ისეთი გოლი გაიტანა, ნებისმიერ თავდამსხმელს შემშურდებოდა (სხვაც გაიტანა, მაგრამ სამართლიანი თამაშგარე იყო); მარჯვენა მცველი **ბოსინგვა** უფრო სახიფათო იყო შეტევებში, ვიდრე... თურქეთის ნაკრების შემტევები; პორტუგალიას ჰყავს ასევე **დეკუ, სიმაო, ნუნუ გომეში** და, რა თქმა უნდა, **კრისტიანო რონალდო!** ეგ კი არა, სკოლარის გუნდის თამაშში უდიდესი რეზერვიც იგრძნობოდა; თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ მოედანზე საერთოდ არ გამოსულა **რიკარდო კვარეშმა**, ფეხბურთელი, ვისაც ასევე მარტოს შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა.

...**ფათიჰ თერიმს** კი, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს უცნაური ექსპერიმენტები. ჩემპიონატის დაწყებამდეც აღვნიშნეთ, რომ თურქეთის ნაკრების განაცხადის გაცნობა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მოულოდნელი იმიტომ, რომ სხვადასხვა მიზეზით ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ **ილდირაი ბაშთურქი, ნური შაჰინი, ჰალილ ალთინთოფი, ჰაქან შუქური** და **ფათიჰ თექე**. ამას გარდა, პორტუგალიასთან მატჩის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ თერიმის გუნდის მთავარი მიზანი თამაშის არწაგება იყო. უცნაურად ჩანდა ერთდროულად სამი საყრდენის გამოყვანაც, მით უმეტეს, რომ მათ შორის იყო თურქების ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი **ემრე ბელოზოღლუ**. ფაქტობრივად, თურქეთის ნაკრები იმის იმედზე იყო, რომ მეტოქეს მოედნის ცენტრში დაჯაბნიდნენ და წინ ეულად მყოფ **ნიჰათსაც**, იქნებ, "რაიმე" მოეფიქრებინა. "იმპერატორმა" (თერიმის მეტსახელია) ვერც შეცვლებით გაამწვავა თამაში და ერთადერთი, ალბათ, ის ექნება სალაპარაკო, მეორე ტაიმში სიმაოს ბურთი ხელზე რომ მოხვდა და მსაჯმა ჯარიმა რომ არ დანიშნა. ისე, ამ მატჩის მსაჯი, გერმანელი **ჰერბერტ ფანდელი** კიდევ ერთხელ შეცდა, როცა შეხვედრის მიწურულს "გათურქებულმა" ბრაზილიელმა **ფაბიო აურელიომ** პორტუგალიელ **ნანის** კინაღამ ფეხი არ მოტეხა. წითელი თუ ყვითელი ბარათი კი არა, ფანდელმა ჯარიმაც არ დანიშნა; არადა, დიდი შანსი იყო, რომ ფრაის მსგავსად პირველ დღესვე ჩემპიონატს კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოკლებოდა.

**გია ტუხაშვილი**

# ბრავო, როზეტი!

*"შვეიცარია ჯგუფიდან გავა, მაგას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. ხო იცი, იქ, მასპინძლობა, აქ ფიფა და მისი შტაბბინა, მერე მსაჯების ტრადიციული მიდგომა, მასპინძელია და გაიყვანენ, შეიძლება, ნახევარფინალშიც გაათრიონ..."*

ეს არის მოსაზრება, რომელიც ალბათ ყოველ თქვენგანს გაუჩნდა და ამაში ალოგიკური არაფერია. ყველას კარგად გვახსოვს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატი და ის ყველაფერი, რაც იტალიისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებს დამართეს, როცა საქმე მასპინძელ კორეას ეხებოდა. გვახსოვს 2006 წლის მუნდიალიც, სადაც გერმანიის ნაკრებს მართალია, ძალიან თვალსაჩინოდ არა, მაგრამ მთელ რიგ ეპიზოდებში, არბიტრები აშკარად სწყალობდნენ - სადავო ეპიზოდებს ბუნდესგუნდის სასარგებლოდ წყვეტდნენ. ეს აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა და ქომაგიც მიეჩვია იმას, რომ მასპინძელს მსაჯი, თუ ძალიან აშკარად არა, ოდნავ მაინც მიუდგება. და ამაში გასაკვირი არაფერია.

შესაძლოა, შვეიცარიის ნაკრები მეოთხედფინალში, ნახევარფინალში ან სულაც ფინალში მაინც გავიდეს ან "გაათრიონ", მაგრამ ამ შემთხვევაში ჩეხეთთან მატჩზე ვთქვათ, ევროპის ჩემპიონატის პირველ თამაშზე, რომელშიც მასპინძელი დამარცხდა.

ამ შეხვედრის მსაჯი იტალიელი **რობერტო როზეტი** გახლდათ და ვინც თამაში ნახა, ერთი წამითაც ვერ გაივლებს თავში იმ აზრს, რომ შვეიცარიას ეხმარებოდნენ. საერთოდ, როზეტის პრინციპულობა არასდროს აკლდა. სად, სად და იტალიის ჩემპიონატში მსაჯის ავ-კარგი ყველაზე უკეთ ჩანს. ეს არის არბიტრი, რომელიც არასდროს არავის ინდობს. გაიხსენეთ თუნდაც ერთი თამაში, სადაც როზეტის სადავეები ხელიდან გაექცა და მატჩზე კონტროლი დაკარგა? ასეთი შეხვედრის გახსენება ძალიან გაგიჭირდებათ.

შვეიცარია-ჩეხეთის თამაშში, როდესაც მატჩის დამთავრებამდე თითებზე ჩამოსათვლელი წუთები იყო დარჩენილი და მასპინძელი 0:1-ს აგებდა, როზეტი მაშინაც კი არ მიუდგა შვეიცარიას. მიდგომაში კი თუნდაც იმას ვგულისხმობთ, რომ თავისუფლად შეიძლებოდა, ჩეხეთის კარისკენ დაენიშნა ჯარიმები, როცა შვეიცარიელები ძალით ეცემოდნენ. ასე რომ მოქცეულიყო, მსაჯს არავინ გაკიცხავდა. არავინ გააკრიტიკებდა ამ შემთხვევაშიც, მატჩის ბოლოს ჩეხეთის კარში პენალტი რომ დაენიშნა, მიუხედავად იმისა, რომ თერთმეტმეტრიანი დასანიშნი არ იყო. არ გაკიცხავდნენ იმიტომ, რომ მანამდე, როდესაც საკუთარ საჯარიმოში ჩეხმა **უიფალუშიმ** ხელით ითამაშა, როზეტიმ პენალტი არ დადო. ბევრი მსაჯი მის ადგილზე მეორე ეპიზოდში მანამდე დაშვებულ შეცდომას გააბათილებდა, მით უმეტეს, რომ საქმე ევროპის ჩემპიონატის მასპინძელს ეხებოდა, რომელიც აგებდა, მაგრამ იტალიელი არბიტრი პრინციპული და მიუკერძოებელი დარჩა, როგორც მას საერთოდ სჩვევია.

მსაჯები მასპინძლებს უდგებიანო... შესაძლოა, სხვა მსაჯები შვეიცარიას ან ავსტრიას მართლაც მიუდგნენ და დაეხმარონ, მაგრამ შაბათს ეს არ მომხდარა. იტალიელი არბიტრი სუფთაა. ბრავო, როზეტი!

**გოტფრიდ ლენცი**



რობერტო როზეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# შერმადინის შედარება პაუ გასოლთან

ვიდრე გიორგი შერმადინი იტალიის ქალაქ ტრევიზოში ცდილობს ამერიკელი სკაუტებისთვის თავის მოწონებას, ამერიკაში მასზე იქაური ჟურნალისტები მსჯელობენ. აქამდე ორჯერ შემოგთავაზეთ ოკეანისგაღმელთა მიერ დაწერილი გიორგის შეფასება. მისდამი ინტერესს რომელი გუნდები იჩენენ, ამის შესახებ არაფერი თქმულა. გუშინ წავაწყდით მცირე სტატისს "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" შესახებ, რომელშიც შერმადინის გვარიც იკითხება. აი, რას წერს "მეგრელი" ჟურნალისტი პრიტომ ბატაჩარია:

"ლოს ანჯელესი" მომავალ დრაფტს გულგრილად ხვდება. ამის მიზეზი მარტივია: გუნდის უფროსობამ პირველ რაუნდში არჩევანის უფლება პაუ გასოლის სანაცვლოდ "მემფის გრიზლიზს" დაუთმო. ამიტომ "ლეიკერსს" მხოლოდ მეორე რაუნდის 28-ე არჩევანი შერჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლეიკერსელები ვერავის აირჩევენ, ვიდრე 58-ე რიგი არ მოვა.

იქედან გამომდინარე, რომ მეორე წრის ბოლოს ძირითადად ახალგაზრდა, გამოუცდელი კალათბურთელები რჩებიან, "ლოს ანჯელესის" ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, აირჩიოს რომელიმე ტანმაღალი ევროპელი; ერთი წლით ძველ კონტინენტზე დატოვოს და მის პროგრესს დაელოდოს. თუკი სცენარი ისე განვითარდა, როგორც ლეიკერსელები ვარაუდობენ, ისინი **ნოვიცა ველიკოვიჩს, პეჟა სამარძინსკის, სემიჰ ერდენს, გიორგი შერმადინსა** და **ტადია დრაგიჩევიჩს** შორის იმას აირჩევენ, რომელიც დრაფტის 58-ე არჩევანამდე შერჩება".

**გიორგი შერმადინის შესახებ უფრო ძველი და საინტერსო სტატიაც გვაქვს. თუკი იკითხავთ, რატომ დაამველეთ, აქამდე რატომ არ გაუშვითო, გიპასუხებთ: ესპანურ გაზეთ "სოლობასკეტში" ეს პუბლიკაცია ადრე კი ვნახეთ, მაგრამ მხოლოდ სათაურის წაკითხვა მოვახერხეთ ("216 სმ. სიმაღლის ქართველი NBA-ს გზაზე") - ტექსტი გუშინდელ დღემდე მიუწვდომელი იყო. მის გახსნაზე დროის დაკარგვა კი ნამდვილად ღირდა, რაშიც თვადაც დარწმუნდებით და ხაიმე მარტინეს ლაფარგის ნაშრომს გაეცნობით.**

"გიორგი შერმადინი ნახევარკაუჭით სროლისას გაფიქრებინებთ, რომ საქართველოში კიდევ ერთი პერსპექტიული ახალგაზრდა იზრდება. იგი 216 სმ. სიმაღლისაა და აღნაგობით მისი ასაკის პაუ გასოლს მოგაგონებთ. რაც მთავარია, შერმადინი სწრაფი პროგრესით ხასიათდება და საქართველოს ჩემპიონატში ეფექტური სტატისტიკა აქვს. მისი გადაბირება ევროპის რამდენიმე კლუბმა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რადგან შერმადინის მიზანი 2008 წლის NBA-ს დრაფტია.

ზემო აბზაცში მოკლედ გითხარით, ვისზე ვაპირებთ საუბარს. ახლა უფრო კონკრეტულად ქართველი ცენტრის შესახებ. შერმადინი დაიბადა 1989 წლის 2 აპრილს სოფელ ნატახტარში, რომელიც მცხეთის რაიონში მდებარეობს. თავის მხრივ, მცხეთა ქართული ქალაქ-მუზეუმია, რომელიც შესულია იუნესკოს მსოფლიოს საგანძურში.

როგორც უკვე ვთქვით იგი პროგრესირებადი კალათბურთელია და სწორედ ამიტომ, დაადგა არაერთმა ევროპულმა კლუბმა თვალი. შერმადინს ბევრი ცენტრისგან განსხვავებით, ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია. თუმცა, მისებრ ახალგაზრდა დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, რა ელის მომავალში. ყველაფერი მის შრომაზე იქნება დამოკიდებული.

გიორგი შერმადინი ფიზიკურად მომწიფებულა, თუმცა თხელია. იგი საშუალო დისტანციიდან კარგად ისვრის, ასევე, როგორც ცენტრს, არ დაეწუნება სამქულიანი ტყორცნა. დაგვეთანხმებით, რომ მაღალი დონის შემტევი ცენტრები დღევანდელ კალათბურთში იშვიათობაა.

შერმადინი სპორტის ამ სახეობაზე სერიოზულად არც ფიქრობდა, როცა იგი მის მშობლიურ ქალაქში ჯამლეტ ხუხაშვილმა აღმოაჩინა. ბატონი ჯამლეტი გახლავთ თბილისის "მაკაბის" პირველი მწვრთნელი და ასევე იყო გიორგის პირველი აგენტი. საკალათბურთო სარბიელზე გამოჩენის შემდეგ შერმადინმა მიიპყრო საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებების მწვრთნელთა ყურადღება. მან 2005 წელს კადეტთა ნაკრებთან ერთად ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი ითამაშა. ტანმაღალმა ქართველმა მსოფლიო საზოგადოების ყურადღება სწორედ ბულგარეთში მიიპყრო. სხვებთან ერთად შერმადინის გვარი საკუთარ წიგნაკებში ესპანელმა დამკვირვებლებმაც აღნიშნეს. ზემოთნახსენებ ჩემპიონატში გიორგი საშუალოდ 17.6 წუთს თამაშობდა, 10 ქულასა და 7.6 მოხსნას აგროვებდა.

2005 წლის შემდეგ ქართველ ცენტრს პროფესიული ზრდა არ შეუწყვეტია. 2007-08 წლების საქართველოს ჩემპიონატში მაქსიმუმი გააკეთა. რეგულარულ ჩემპიონატში საოცარი რიცხვები დააფიქსირა: საშუალოდ 31 ქულა და 18 მოხსნა. მონაგარი ეფექტურია, მაგრამ საქართველოს თასზე ერთ მატჩში 76 ქულა და 16 მოხსნაა. გარდა ამისა, სხვა შეხვედრებში 60 დ 54 ქულა აქვს ჩაგდებული, ხოლო დუბლშემადგენლობაში 89 ქულაც მოუგროვებია.

ვისაც გიორგი შერმადინის თამაში აქვს ნანახი, მას პაუ გასოლს ადარებს, იმდენად, რამდენადაც ძალიან მაღალია, ათლეტური და სროლა შეუძლია. მისი პაუს გვერდით ხსენება იმას არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად გასოლის მსგავს კარიერას შეიქმნის. ამაზე დღეს საუბარინაადრევია. თუმცა, მისი ასაკის პაუს შერმადინი მონაცემებით ნამდვილად არ ჩამორჩება.

გასულ ზაფხულს გიორგი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარა. იგი გამოირჩა საშუალოდ 12.5 ქულით, 7.4 მოხსნით და 2.1 დაფარებით. გარდა ამისა, ახალგაზრდა შერმადინმა 2007 წელს საქართველოს პირველ ნაკრებთან ერთად B დივიზიონში ითამაშა. მან ჯამში მოედანზე 9 წუთი გაატარა, 10 ქულა ჩააგდო და ბურთი 8-ჯერ მოხსნა.

ნაკრებში იგი ზაზა ფაჩულიას, ნიკა ცქიტიშვილს (*ცქიტოს გასულ ზაფხულს არ უთამაშია - ვ.ს.*), ვიქტორ სანიკიძის, მანუჩარ მარკოიშვილისა და ტაისონ ელისის გვერდით თამაშობდა.

2007 წლის გაზაფხულზე გიორგი შერმადინი მხედველეობიდან არც ამერიკელებს გამორჩათ და "ნაიკის ჰუპს სამიტზე" მიიწვიეს. იგი ოკეანის გაღმა კი გადაფრინდა, მაგრამ მსოფლიო ნაკრების მატჩში ტრავმის გამო მონაწილეობა არ მიუღია. 216 სმ. სიმაღლის ცენტრს მონაწილეობა აქვს მიღებული "ადიდასის" კემპში, რომელიც NBA-ს ზედამხედველობით ტარდება და მასში სკაუტები "ოქროს მარცვლებს" ეძებენ.

ასე და ამგვარად, ტანმაღალმა პერსპექტიულმა ქართველმა 2008 წლის დრაფტისთვის საფუძველი უკვე შეამზადა. იგი დრაფტზე ყველაზე ახალგაზრდა თაობის (1989 წელს დაბადებულთა) წარმომადგენელი იქნება. თუმცაღა, ზოგიერთი ევროპული კლუბი დღესაც გამოხატავს მისით დაინტერესებას. სამი მათგანის დასახელებაც საკმარისია: "ბარსელონა", მოსკოვის ცსკა და "ვალენსია". ეკონომიკური მხარის გამო შეთანხმება არც ერთ გუნდთან არ მიღწეულა. როგორც ჩანს, შერმადინის აგენტები იმაზე მეტს ითხოვენ, ვიდრე კლუბები იხდიან. თუმცა, კალათბურთელის მომავალს ყველაზე უკეთ 26 ივნისს გასამართი NBA-ს დრაფტი განსაზღვრავს. სწორედ მას შემდეგ გაირკვევა, დარჩება იგი ამერიკაში, თუ დროებით ევროპაში დაბრუნდება.

თუკი გიორგი შერმადინს 26 ივნისს აირჩევენ, იგი პირველი კალათბურთელი იქნება, რომელიც საქართველოს ჩემპიონატიდან პირდაპირ NBA-ში მოხვდება. აქამდე ნაციონალურ ასოციაციაში ვლადიმერ სტეფანია და ნიკოლოზ ცქიტიშვილი თამაშობდნენ, ზაზა ფაჩულია ახლაც "ატლანტა ჰოქსის" წევრია. მათ NBA-მდე ევროპაში მიიღეს გამოცდილება".



გიორგი შერმადინი

**ვაჟა სიმონიშვილი**

# მოსწონთ, მაგრამ ეჭვი ეპარებათ

მეოთხე წელიწადია ტრევიზოში ეგრეთ წოდებული, ევროკემპი იმართება, რომელსაც ფირმა „რიბოკი" სპონსორობს. ევროკემპში მონაწილეობას ეროპის 48 ელიტური კალათბურთელი იღებს, 18-21 წლის ასაკისა. იტალიაში ამ დროს NBA-ს სკაუტთა მოზღვავებაა, ბუნებრივიცაააა – ამერიკელებს დრაფტისთვის ახალი სისხლი სჭირდებათ „ბებერი კონტინენტიდან". სწორედ აქ გამოიჩინა თავი თავის დროზე **ვიქტორ სანიკიძემ** და შემდეგ ის „ატლანტამ" დრაფტზე აიყვანა და იმავე დღეს „სან ანტონიოს" გადაულოცა. წლევანდელ ევროკემპში სამი ქართველია: **გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი** და **გიორგი შერმადინი**.

კემპი შაბათს გაიხსნა და უკვე შერაცხეს ის სკაუტებმა, როგორც ტალანტებით აღსავსე. პირველ დღეს ორი მატჩი გაიმართა, გუნდმა ნომერმა ოთხმა (მუქი ლურჯი მაისურები) დაამარცხა ნომერი სამი (შავები), რაშიც დიდი წვლილი **მანუჩარ მარკოიშვილმა** შეიტანა. აი, რას წერენ „ნბა დრაფტ ნეტზე": *„ძალიან კარგი იყო მანუჩარ მარკოიშვილიც. ის კარგად ისროდა და ძალიან სწორ გადაწყვეტილებებს იღებდა. მაგრამ, როგორც ერთმა სკაუტმა მითხრა, მარკოიშვილი თამაშობს, როგორც 30 წლის კალათბურთელი. პრობლემა ისაა, რომ ის შეიძლება მართლაც 30 წლის იყოს. უკვე ყველა საუბრობს, რომ ქართველი კალათბურთელებისთვის ასაკის 2-3 წლით გადაკეთება ნორმაა (შერმადინიც ამ სიაშია). მარკოიშვილის კიდევ ერთი ნაკლი სისწრაფის ნაკლებობაა".*

„დრაფტ ექსპრესმა" გიორგი შერმადინის პოტენციალზე ისაუბრა: „გიორგი შერმადინი ამ კემპზე ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელი ტალანტია. მისი თამაშის ნახვა ძალზე ძნელია, ასე რომ, საინტერესო იყო, როგორ ითამაშებდა ქართველი. მან ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი და დაამტკიცა, რომ მხოლოდ სტატისტიკის შემვსები არაა უცნობ ლიგაში. 7-ფუტიან ქართველს საკმაოდ ათლეტური აღნაგობა აქვს, საკმაოდ ძლიერია და აგრესიული. რაც ძალიან დიდი პლუსია ასეთი ტიპის კალათბურთელებისთვის. მას საკმაო დრო ჰქონდა ეჩვენებინა ჩვენთვის კარგი ჰუკი მარჯვენა ხელით, უზადო მოძრაობა მოედანზე და ფიზიკური მონაცემების გამოყენება ოპონენტთან ბრძოლაში. შერმადინს პოტენციალი აქვს, ვერ ვიტყვით, რომ სუპერვარსკვლავობის, მაგრამ ის ნაღდი კალათბურთელია".



მანუჩარ მარკოიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტი რელიგიურ დღესასწაულზე

# ახალი ნახერხი ძველ საჭიდაოზე



სურათზე "თელეთობის" ფალავანი ლაშა ბერიძე ყოჩით

ავტორის ფოტო

იესო ქრისტეს ამაღლებიდან მეორე დღეს, უფლის ამაღლებას ზეიმობს სრულიად საქართველო და განსაკუთრებით სოფელი თელეთი (გარდაბნის რ-ნი). სოფლის დღესასწაული "თელეთობა" სწორედ ამაღლების დღესასწაულთან ერთად იმართება.

ჩვენში სოფლის ზეიმი ქართული ჭიდაობისა და მისი ყველა თანხლების მუსიკის, ყოჩისა და ა.შ. გარეშე ერთობ უფერულია. თელეთობის დღესასწაულის მშვენება იმთავითვე იყო ქართული ჭიდაობა. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება...

წლევანდელ ზეიმზე ახალსოფლელმა (ყვარლის რ-ნი) დამკვრელებმა **თემო პაპაშვილმა** და **მიხო ქანანოვმა** საჭიდაო ზურნა-დოლის ხმა მთელ თელეთსა და მის მიდამოებს მოსდეს. თელეთელთა სპორტის თავკაცმა და ჭიდაობის მომწყობმა **გივი გურულიშვილმა** კი გამარჯვებული მოჭიდავე-ფალავანისთვის იქვე ხის ჩრდილში ყოჩიც მიაბა...

ალგეთის ხეობის სოფლების გარდა, თითო ოროლა სხვადასხვა მხარის კუნთდაბურცულმა ბიჭებმა ახალი ნახერხის სურნელიც შეიგრძნეს და კორიანტელიც დაატრიალეს თელეთის ცენტრში ძველ საჭიდაოზე...

ტურნირი სამ წონით კატეგორიაში მოეწყო. თუმცა მანამდე მკლავის ძალა, როგორც უწინდელ დროში ხდებოდა ხოლმე, სულ პატარა ბიჭებმაც მოსინჯეს.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:

70 კგ. 1. **ნიკა ბაშარული** (თელეთი), 2. **ზურაბ ეპიტაშვილი** (მარტყოფი), 3. **მიხეილ ხორგუანი** (კრწანისი);

80 კგ. 1. **გიორგი ბაჯიაშვილი** (მუხათი), 2. **მიხეილ ბუჭველიშვილი** (რუსთავი), 3. **გურამ ბერიძიშვილი** (მარტყოფი);

90 კგ. 1. **სერგო მაისურაძე** (მარტყოფი), 2. **დიმიტრი ქუთუაშვილი** (ქარელი), 3. **ლაშა ბერიძე** (რუსთავი).

ბოლოს გაიმართა ორთაბრძოლები აბსოლუტურ პირველობაზე მთავარი პრიზის - ყოჩის დასაკუთრებაზე. აქ ყველას აჯობა 23 წლის რუსთაველმა **ლაშა ბერიძემ** (მწვრთნელი **ვასილ ჩიხლაძე**).

მეორე და მესამე ადგილზე **ლევან ჩოქური** (ყუმისი) და **სერგო მაისურაძე** (მარტყოფი) გავიდნენ.

**ბესიკ ბაბოძე**

ჩოგბურთი

# ოთხი ჩემპიონი




ლექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**გუშინ ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დასრულდა 14 და 16-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი. ბოლო სამი დღე საპრიზო ადგილებისთვის ოთხეულები წრიული სისტემით იბრძოდნენ. გათამაშების ასეთმა ფორმულამ აშკარად გაამართლა და კიდევ მეტი ინტრიგა შესძინა ჩემპიონატს.**

განსაკუთრებით დრამატული იყო 14-წლამდელთა შორის ლიდერების, **თამარ კომახიძისა** და **ნინო სუჯაშვილის** ორთაბრძოლა. ორი კვირის წინ ესენი იუ-ჯი-თის თასის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ძალიან დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვებას სუჯაშვილმა მიაღწია. გუშინდელი შეხვედრა კი კომახიძის აბსოლუტური უპირატესობით წარიმართა და 5:0 დაწინაურდა. თამარი აგრესიულად თამაშობდა და შემტევ ჩოგბურთს აჩვენებდა. ამის შემდეგ კი რატომღაც მოეშვა და მოწინააღმდეგის შეცდომებს დაელოდა, - იფიქრა, ერთი გეიმი დამრჩა მოსაგები და პრობლემა არ იქნებაო. მწარედაც შეცდა: ნინოს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და აგრესიას უფრო მოუმატა, ბევრს რისკავდა და გაუმართლა კიდეც: ზედიზედ შვიდი გეიმი და პირველი სეტიც მოიგო.

მატჩის ბედის ასეთმა შემობრუნებამ, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა კომახიძეზე, სუჯაშვილზე კი - პირქით და მართალია, მეორე სეტში ასეთი პოლარულობა არ ყოფილა, მაგრამ დაძაბულობა ერთი წუთითაც არ მოხსნილა. ამჯერად ნინომ თავიდანვე მიხედა საქმეს და გავიდა თუ არა წინ, ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა. კომახიძემ დაკარგული უპირატესობის დავიწყება ვერ შეძლო და მეორე სეტიც 5:7 წააგო. იქამდე ორივეს ორჯერ ჰქონდათ მოგებული, ამიტომ ყველაზე მეტი ქულა სუჯაშვილმა დააგროვა და 14-წლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა.

არანაკლები ინტერესით წარიმართა 16-წლამდელ გოგონათა გადამწყვეტი შეხვედრა **დიანა დავითაიასა** და **ნინო მებუკეს** შორის. თუმცა აქ ინიციატივა თავიდანვე დიანამ აიღო ხელში და ორივე პარტიაში ერთნაირი ანგარიშით შეძლო გამარჯვება - 6:3, 6:3.

ვაჟებმაც კარგი ცეცხლი დაანთეს კორტებზე. 14 წლამდელებში გადამწყვეტ შეხვედრაში ბარიერის ორ მხარეს **სანდრო დავლიანიძე** და **ლუკა ფილფანი** დადგნენ. სანდრო ტანად დაბალია, ლუკა პირიქით - საკმაოდ მაღალი, მაგრამ ფიზიკური ძალა, როგორც აღმოჩნდა, სანდროს უფრო მეტი ჰქონდა. თან ცოტა გასაკვირია, როგორ შეძლო მან ძალების შენარჩუნება, როცა ყოველ მოქნევაზე საკმაოდ ხმამაღალ შეძახილს აყოლებდა, ხოლო ქულების მოგებას ყვირილამდე ამაღლებული ხმით ეგებებოდა – ამით საკუთარ თავს ამხნევებდა. შეხვედრაში სამივე სეტის გამართვა გახდა საჭირო: პირველში დავლიანიძემ იმარჯვა - 6:3; მეორეში ფილფანმა მოახერხა გამარჯვება - 6:2; მესამეში კი კვლავ სანდრომ იძალა და 6:3-ით დაასრულა სეტი. ცხადია, გამარჯვებაც ძალიან ემოციურად გამოხატა...

16-წლამდელებში უდავო ფავორიტად **დავით ხუციშვილი** მოგვევლინა - მან სამივე შეხვედრაში იმარჯვა, გადამწყვეტში კი **გიორგი ცივაძეს** მოუგო, რომელთანაც "იუ-ჯი-თის" თასის ფინალში წააგო. ამჯერად გამარჯვება ბევრად იოლად მოვიდა, ვიდრე თავადაც წარმოიდგენდა - 6:1, 6:2.

ჩოგბურთის ფედერაციისა და სპონსორის, კომპანია "რაკინის" ხელმძღვანელთა ერთობლივი ძალისხმევის შედეგად შესაძლებელი გახდა, ყველა გამარჯვებულს პრიზად 500 ამერიკული დოლარი გადასცემოდა.

აკადემიის კორტები ხვალიდან კვლავ ახმაურდება - სტარტს აიღებს ცნობილი ქართველი საჩოგბურთო მოღვაწის, სოლომონ თუხარელის სახელობის ტრადიციული ტურნირი, რომელიც წელს მეთერთმეტედ გაიმართება.

**ზვიად შათირიშვილი**

| 14 წლამდელი გოგონები |
|---|
| 1. ნინო სუჯაშვილი |
| 2. თამარ კომახიძე |
| 3. თამარ ცხაკაია |

| 16 წლამდელი გოგონები |
|---|
| 1. დიანა დავითაია |
| 2. ნინო მებუკე |
| 3. ნინო სუჯაშვილი |

| 14 წლამდელი ჭაბუკები |
|---|
| 1. სანდრო დავლიანიძე |
| 2. ლუკა ფილფანი |
| 3. გიორგი ხოხბა |

| 16 წლამდელი ჭაბუკები |
|---|
| 1. დავით ხუციშვილი |
| 2. ბიძინა ამაშუკელი |
| 3. გიორგი ცივაძე |

მძლეოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი

# ალვანელი ლონდონისკენ

ეროვნულ სტადიონზე დამთავრდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 21 რაიონის 250-მდე სპორტსმენი.

ზამთრის ჩემპიონატის მსგავსად, სპეციალისტებმა ამჯერადაც 14 წლის საკმაოდ ნიჭიერი სამხტომელი **ლაშა ლულელაური** გამოარჩიეს. საქართველოს ნაკრების თავკაც **ყარამან საბანაშვილის** თქმით, ლულელაურს ყველანაირი მონაცემი აქვს იმისათვის, რომ უახლოეს წლებში სერიოზული შედეგები აჩვენოს საერთაშორისო არენაზე. თუმცა, საამისოდ პირობების გაუმჯობესებაც სჭირდება. ლაშას ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში მამამისი - უსუფ ლულელაური ავარჯიშებს, იქაური პირობები კი სასურველს საკმაოდ ჩამოუვარდება. ბატონი უსუფის თქმით, შვილს კიდევ ერთი წლით დატოვებს ალვანში თავის სექციაში და გაისად უკვე თბილისში გამოუშვებს. იგი ლაშას პერსპექტივას საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებს:

- 14 წლის ასაკში რეკორდი რამდენია არ ვიცი, მაგრამ 15 წლის ასაკში, სამხტომში მსოფლიო რეკორდია 14,38 მეტრი. ლაშა გაისად ხდება 15 წლის და საქართველოს ჩემპიონატზე უკვე 14,40 მეტრზე გადახტა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შარშან მისი შედეგი იყო 13.2, პროგრესი აშკარაა და საგაისოდ რეკორდის დამყარებას ველით. მთლიანობაში ჩვენი ძირითადი სამიზნე ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაა...

**კობა ხატისაშვილი**



ნუგზარ სუარიძის ფოტო

| 100 მ. გოგონები |
|---|
| 1. ოლისია ბონდარენკო (თბილისი) 12,9 |
| 2. სალომე აფშილავა (ზუგდიდი) 13,0 |
| 3. ნანა კაშია (ქუთაისი) 13,10 |

| 100 მ. ვაჟები |
|---|
| 1. დათო ცუცქირიძე (თბილისი) 10,5 |
| 2. გიორგი ამირანაშვილი (თბილისი) 10,9 |
| 3. დათო ბარამიძე (აჭარა) 11,0 |

| 100 მ/თ გოგონები |
|---|
| 1. მაია გოგოლაძე (თბილისი) 15,3 |
| 2. აიდა ტოროსიანი (თბილისი) 16,9 |
| 3. რიტა ფუთურიძე (ქუთაისი) 17,3 |

| 100 მ/თ ვაჟები |
|---|
| 1. ნია ბატანოგოვი (ქუთაისი) 16,5 |
| 2. დათო მორჩიაშვილი (ქუთაისი) 17,9 |
| 3. ჯიბილო მეფარიძე (ასპინძა) 29,0 |

| 200 მ. გოგონები |
|---|
| 1. ოლისია ბონდარენკო (თბილისი) 26,1 |
| 2. სალომე აფშილავა (ზუგდიდი) 26,7 |
| 3. მაია გოგოლაძე (თბილისი) 26,7 |

| 200 მ. ვაჟები |
|---|
| 1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე) 21,5 |
| 2. დათო ცუცქირიძე (თბილისი) 21,6 |
| 3. გიორგი ანთელიძე (თბილისი) 22,4 |

| 400 მ/თ გოგონები |
|---|
| 1. თეა ფაცურია (ფოთი) 1,07,1 |
| 2. ნათია გელაშვილი (ბორჯომი) 1,18,8 |
| 3. რიტა ფუთურიძე (ქუთაისი) 1,25,4 |

| 400 მ/თ ვაჟები |
|---|
| 1. გიორგი ანთელიძე (თბილისი) 55,0 |
| 2. ნიკა ბატანოგოვი (ქუთაისი) 56,9 |
| 3. დათო ბარამიძე (აჭარა) 57,7 |

| 400 მ. გოგონები |
|---|
| 1. აიდა ტოროსიანი (თბილისი) 59,3 |
| 2. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი) 1,02,3 |
| 3. ქეთინო ფხალაძე (ჭიათურა) 1,02,4 |

| 400 მ. ვაჟები |
|---|
| 1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე) 48,3 |
| 2. ირაკლი ჩუბინაშვილი (თბილისი) 49,8 |
| 3. თენგიზ ღვინჯილია (ზუგდიდი) 49,9 |
| 3. დენის ჟვანია (ზუგდიდი) 49,9 |

| 800 მ. გოგონები |
|---|
| 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე) 2,18,8 |
| 2. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი) 2,22,6 |
| 3. სოფო ჩილინგარიშვილი (ახალც.) 2,22,7 |

| 800 მ. ვაჟები |
|---|
| 1. თენგიზ ღვინჯილია (ზუგდიდი) 1,52,2 |
| 2. მერაბ ქინიძე (თბილისი) 1,53,8 |
| 3. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალც.) 1,54,6 |

| 1500 მ. გოგონები |
|---|
| 1. ნათია გელაშვილი (ბორჯომი) 4,56,4 |
| 2. სოფო ჩოჩნიძე (ბორჯომი) 5,06,8 |
| 3. ნინო გველესიანი (ჭიათურა) 5,15,0 |

| 1500 მ. ვაჟები |
|---|
| 1. მერაბ ქინიძე (თბილისი) 3,59,2 |
| 2. ირაკლი ჩუბინაშვილი (თბილისი) 4,06,7 |
| 3. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე) 4,07,0 |

| 3000 მ. გოგონები |
|---|
| 1. გიული დეკანაძე (ვანი) 10,18,8 |
| 2. ნათია გელაშვილი (ბორჯომი) 11.01,9 |
| 3. სოფო ჩოჩნიძე (ბორჯომი) 11,38,1 |

| 3000 მ. ვაჟები |
|---|
| 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი) 9,02,5 |
| 2. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე) 9,07,0 |
| 3. ირაკლი ჩუბინაშვილი (თბილისი) 9,16,8 |

| 5000 მ. გოგონები |
|---|
| 1. გიული დეკანაძე (ვანი) 18,26,8 |

| 5000 მ. ვაჟები |
|---|
| 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი) 15,56,6 |
| 2. ჰამლეტ მამიკონიანი (თბილისი) 16,18,2 |
| 3. გიორგი შეკრელიძე (თბილისი) 16,33,1 |

| უროს ტყორცნა. ვაჟები |
|---|
| 1. ლერი ჩიტაიშვილი (თბილისი) 65,97 |

| ბირთვის კვრა. გოგონები |
|---|
| 1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი) 13,35 |
| 2. ანა კაშია (ქუთაისი) 10,10 |
| 3. ნანა კორტავა (ფოთი) 7,85 |

| ბირთვის კვრა. ვაჟები |
|---|
| 1. ზურაბ გიგაია (ზუგდიდი) 17,37 |
| 2. ბენიკ აბრამიანი (თბილისი) 16,30 |
| 3. მამუკა ტულუში (ოზურგეთი) 15,83 |

| შუბის ტყორცნა. გოგონები |
|---|
| 1. ქეთევან ჩაგანავა (ფოთი) 36,18 |
| 2. თამუნა ჩუბინიშვილი (თბილისი) 34,45 |
| 3. ნათია გიგაური (თელავი) 33,55 |

| შუბის ტყორცნა. ვაჟები |
|---|
| 1. როსტომ ჭინჭარაული (დუშეთი) 61,20 |
| 2. გოგა ლოლაძე (თბილისი) 43,30 |
| 3. ლაშა ონიაშვილი (აჭარა) 43,15 |

| ბადროს ტყორცნა. გოგონები |
|---|
| 1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი) 48,20 |
| 2. ქეთინო ჩაგანავა (ფოთი) 30,20 |

| ბადროს ტყორცნა. ვაჟები |
|---|
| 1. გიორგი ბედოშვილი (თბილისი) 49,53 |
| 2. ზურაბ გიგაია (მარტვილი) 47,04 |
| 3. ბენიკ აბრამიანი (თბილისი) 44,60 |

| სამხტომი. გოგონები |
|---|
| 1. ქრისტინე შალამბერიძე (ქუთაისი) 11,95 |
| 2. ლიკა დვალიშვილი (თბილისი) 11,62 |
| 3. თეა ფაცურია (ფოთი) 11,92 |

| სამხტომი. ვაჟები |
|---|
| 1. ბოლესლავ სხირტლაძე (თბილისი) 15,21 |
| 2. ლაშა ლულელაური (ახმეტა) 14,40 |
| 3. ვახტანგ ჯინჭველაშვილი (ქუთ.) 13,96 |

| სიმაღლეზე ხტომა. ვაჟები |
|---|
| 1. ზურაბ გოგოჭური (გარდაბანი) 1,95 |
| 2. გიორგი ამირანაშვილი (თბილისი) 1,85 |
| 3. გიორგი ბატრედინოვი (გარდაბანი) 1,80 |

| სიგრძეზე ხტომა. გოგონები |
|---|
| 1. მაია გოგოლაძე (თბილისი) 5.29 |
| 2. სალომე აფშილავა (ზუგდიდი) 5,25 |
| 3. ლიკა დვალიშვილი (თბილისი) 5,13 |

| სიგრძეზე ხტომა. ვაჟები |
|---|
| 1. ბორისლავ სხირტლაძე (თბილისი) 7,56 |
| 2. ლაშა ლულელაური (ახმეტა) 6,70 |
| 3. გიორგი ამირანაშვილი (თბილისი) 6,58 |

| ამანათრბენი (4X100) გოგონები |
|---|
| 1. თბილისი 51,3 |
| 2. ქუთაისი 51,9 |
| 3. ფოთი 53,6 |

| ამანათრბენი (4X100) ვაჟები |
|---|
| 1. თბილისი-1 43,4 |
| 2. თბილისი-2 50,1 |

| ამანათრბენი (4X100) გოგონები |
|---|
| 1. ბორჯომი 4,28,9 |
| 2. ჭიათურა 4,29,0 |

| ამანათრბენი (4X400) ვაჟები |
|---|
| 1. ახალციხე 3,30,9 |
| 2. აჭარა 3,32,8 |
| 3. ქუთაისი 3,36,0 |

**გუნდური ჩათვლა**

| I ჯგუფი |
|---|
| 1. თბილისი-1 (584 ქულა) |
| 2. ახალციხე (315,5) |
| 3. ქუთაისი (269,5) |

| II ჯგუფი |
|---|
| 1. მარტვილი (120) |
| 2. ოზურგეთი (90) |
| 3. ჭიათურა (86,5) |

ბატუტი. საქართველოს ჩემპიონატი

# უსენსაციოდ, გოლოვინა და კოშკაძე

გიორგი ეგნატაშვილის სახელობის დარბაზში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქვემო ქართლის 50 ბატუტისტი. ელოდებოდნენ ქუთაისელებსაც, მაგრამ ისინი თბილისში ვერ ჩამოვიდნენ.

საქართველოს ჩემპიონატში თავი მოიყარა თითქმის ყველა ლიდერმა. ტრავმების გამო, მხოლოდ სამმა სპორტსმენმა ვერ შეძლო ბატუტზე დადგომა - **გიორგი ფუტკარაძემ, გიორგი მარქარიანმა** და **სოფო გულიაშვილმა**, რომელიც მსაჯის ფუნქციებს დასჯერდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვაჟებში ჩემპიონობა არავის დაუთმო ახალგაზრებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტმა **თენგიზ კოშკაძემ**. ვერცხლის მედალი **ზურაბ ნოზაძეს** ერგო, რომელმაც სპორტის ოსტატობის კანდიდატებში იმარჯვა. ბრინჯაოს პრიზიორი კი **დიმიტრი ზუტიკოვი** გახდა.

პირველთანრიგოსან ვაჟებში, ჩემპიონი გახდა **ირაკლი ბეიტრიშვილი**, მეორე-მესამე ადგილები კი შესაბამისად, შეხვდათ **ლაშა გაბაშვილსა** და **გიორგი ენუქიძეს**.

ტრავმის მიუხედავად, ლუბა გოლოვინამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჯერჯერობით, საქართველოში უკონკურენტოა. მეორე ადგილზე გავიდა **თამარ კაკაშვილი**, ხოლო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე **ნანა გოგაშვილი** დადგა.

სპორტის ოსტატობის კანდიდატებში, **ანა ოდიშვილმა** იმარჯვა, **თეონა ჯანღლავა** მეორე იყო, **თიკო ჩადუნელი** კი მესამე პოზიციას დასჯერდა.

პირველთანრიგოსნებში ადგილები ასე განაწილდა: 1. **ნატა ჩადუნელი**; 2. **თამარ ლურწკაია**; 3. **ანა ლლონტი**.

**შეჯიბრების დასრულების შემდეგ, საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ რუსუდან ხოფერიას გავესაუბრეთ.**

- უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდი მალაზიათა ქსელ "ლუტეციასა" და მის დირექტორ გოჩა ჯიხვაშვილს. ამ კომპანიამ საქართველოს ჩემპიონატის სპონსორობა ითავა.

ლუბა გოლოვინა და თენგიზ კოშკაძე ეროვნული ნაკრების პირველი ნომრები არიან. ამიტომაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ მაღალ დონეზე შეასრულეს პროგრამები და ჩემპიონები გახდნენ.

საერთო ჯამში, შეჯიბრებით კმაყოფილი ვარ. საერთოდ, ბატუტზე ხტომა საკმაოდ ტრავიანი სახეობაა და საბედნიეროდ, ჩემპიონატმა ისე ჩაიარა, რომ არავინ დაშავებულა.

ახლა ძირითადი ყურადღება პეკინის ოლიმპიური თამაშებისაკენ გვაქვს მიმართული, რომელზეც ლუბა გოლოვინა წარდგება. აღსანიშნავია, რომ ლუბა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იქნება. რასაკვირველია, ასეთ გამოცდილ და ტიტულოვან კამპანიაში, ლუბასთვის წარმატების მიღწევა იოლი არ იქნება. კმაყოფილი დავრჩები, თუკი იგი ფინალში გასვლას მოახერხებს. ფინალში კი ყველაფერი ხდება...

**კობა ხატისაშვილი**



ლუბა გოლოვინა

რაგბი. თბილისის შვიდკაცა

# ნაგება კვიპროსთან და მესამე ადგილი

ევროპული სერიის თბილისური ეტაპი ისევ წარუმატებელი გამოდგა საქართველოს ნაკრებისთვის. მონაგარი ასეთია: ექვს შეხვედრაში მხოლოდ სამი მოგება და მესამე ადგილი, რაც რეიტინგში 14 ქულას გვაძლევს. მანამდე ჩვენ ნაკრებს, სოპოტში ათი ქულა ჰქონდა მოპოვებული, 24 ქულა კი ადვილი შესაძლებელია, ჰანოვერში ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად საკმარისი არ აღმოჩნდეს.

ჯგუფში ერთადერთი სერიოზული, ნამდვილად ანგარიშგასაწევი მეტოქე ერთი, უელსის ნაკრები გვყავდა, პირველ შეხვედრაში ისრაელის ნაკრების დამარცხების შემდეგ 29:5, საქართველოს შვიდკაცა ნაკრები სრულიად მოულოდნელად კვიპროსის გუნდთან დამარცხდა 12:14.

არადა, შეხვედრას ჩვენი მორაგბეები თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე 12:0 იგებდნენ. დარჩენილ დროში კვიპროსელებმა სასწაული მოახდინეს და არაქათგამოცლილ საქართველოს გუნდს ორი ლელო გაუტანეს. სამწუხაროდ, პირველ შეხვედრაში ისრაელის გუნდთან მძიმე ტრავმა მიიღო **გიორგი კაჭარავამ**. მან ქვედა ყბის მოტეხილობა მიიღო. მის ნაცვლად ნაკრების მწვრთნელმა **ფრიდონ უდესიანს** უხმო.

მომდევნო შეხვედრა უელსის ნაკრებთან კიდევ უფრო მძიმე გამოდგა ჩვენი გუნდისთვის. ბრიტანელებმა შვიდკაცა რაგბის მშვენიერი გაკვეთილი ჩაგვიტარეს და 22:0 დაგვამარცხეს.

საფრთხე, რომ პირველობისთვის ნახევარფინალში ვერ გავაღწევდით, აბსოლუტურად რეალური გახდა. მხსნელად ისრაელის ნაკრები მოგვევლინა, რომელმაც კვიპროსის დამარცხება შეძლო 14:12. ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული ვინ უფრო მეტი ანგარიშით სძლევდა ბულგარეთს. ბორჯღალოსნებმა მოწინააღმდეგე 42:10 დაამარცხა, კვიპროსმა კი მხოლოდ 17:7 და ჯგუფში მეორე ადგილი ჩვენ გუნდს ერგო.

კიდევ ერთი, მესამე მარცხი საქართველოს ნაკრებს ნახევარფინალში უკრაინამ მიაყენა - 0:14. მოწინააღმდეგის შემადგენლობაში სამი ქართველი ირჯებოდა - **გიორგი თოდრაძე, გიორგი გეგიძე** და **ჯაბა მალალურაძე**.

შედეგად, ჩვენ ნაკრებს მხოლოდ მე-3 ადგილისთვის მბრძოლის შანსი მიეცა. ამჯერად ქართველმა მორაგბეებმა შანსი არ გაუშვეს. მოწინააღმდეგემ თავიდანვე ლელო გაგვიტანა და 7:0 დაწინაურდა. თუმცა, მერე ქართველმა მორაგბეებმა თამაშის დალაგება შეძლეს, **ირაკლი აბუსერიძემ** ზედიზედ სამი ლელო გაიტანა, ერთიც **მერაბ კვირიკაშვილმა** დაამატა, მანვე ოთხი გარდასახვიდან ორი გაიტანა და მოლდოველები 24:7 დავამარცხეთ.

ტურნირი უელსის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში უკრაინის გუნდს სძლია 45:5.

**ბესიკ ჯანგავაძე**



მერაბ კვირიკაშვილის ბოლო ლელო მოლდოვასთან მატჩში

საქართველოს ნაკრები: აბუსერიძე (20 ქულა, 4 ლ), გოგეშვილი (10 ქულა, 4 ლ), ნიჟარაძე (10 ქ. 2 ლ), ახვლედიანი (5 ქ. 1 ლ), კაჭარავა (5 ქ. 1 ლ), გუგავა (5 ქ. 1 ლ), კვირიკაშვილი (37 ქ. 3 ლ. 11 გ), გენებაშვილი (5 ქ. 1 ლ), კობერიძე (5 ქ. 1 ლ), ბრეგვაძე, უდესიანი

A ჯგუფი: მოლდოვა-აზერბაიჯანი 35:17, უკრაინა-ლატვია 47:0, მოლდოვა-საბერძნეთი 36:5, უკრაინა-აზერბაიჯანი 42:7, ლატვია-საბერძნეთი 10:7, მოლდოვა-უკრაინა 7:10, ლატვია-აზერბაიჯანი 17:7, უკრაინა-საბერძნეთი 36:0, მოლდოვა-ლატვია 24:0, საბერძნეთი-აზერბაიჯანი 36:5

1. უკრაინა - 8 ქულა, 2. მოლდოვა - 6, 3. ლატვია - 4, 4. საბერძნეთი - 2, 5. აზერბაიჯანი - 0

B ჯგუფი: უელსი-კვიპროსი 36:7, საქართველო-ისრაელი 29:5, უელსი-ბულგარეთი 50:0, საქართველო-კვიპროსი 12:14, ისრაელი-ბულგარეთი 31:14, უელსი-საქართველო 22:0, ისრაელი-კვიპროსი 12:10, საქართველო-ბულგარეთი 42:10, უელსი-ისრაელი 26:0, ბულგარეთი-კვიპროსი 7:17

1. უელსი - 8 ქულა, 2. საქართველო - 4, 3. კვიპროსი - 4, 4. ისრაელი - 4, 5. ბულგარეთი - 0

| | |
|---|---|
| **მე-5 ადგ. ნახევარფინალი** | |
| ლატვია-ისრაელი | 10:5 |
| საბერძნეთი-კვიპროსი | 19:5 |
| **მთავარი ნახევარფინალი** | |
| საქართველო-უკრაინა | 0:14 |
| უელსი-მოლდოვა | 28:5 |
| **მე-9 ადგილისთვის** | |
| ბულგარეთი-აზერბაიჯანი | 26:21 |
| **მე-7 ადგილისთვის** | |
| ისრაელი-კვიპროსი | 7:12 |
| **მე-5 ადგილისთვის** | |
| ლატვია-საბერძნეთი | 27:10 |
| **მე-3 ადგილისთვის** | |
| საქართველო-მოლდოვა | 24:7 |
| **ფინალი** | |
| უელსი-უკრაინა | 45:5 |

1. უელსი, 2. უკრაინა, 3. საქართველო, 4. მოლდოვა, 5. ლატვია, 6. საბერძნეთი, 7. კვიპროსი, 8. ისრაელი, 9. ბულგარეთი, 10 აზერბაიჯანი

პეკინი 2008. სროლა

# სალუქვაძეები ერევანში

დღეს **ნინო** და **ვახტანგ სალუქვაძეები** ერევანში გაემგზავრნენ, სადაც ოლიმპიადისთვის მზადების მიზნით შეკრებას გაივლიან. ერევნის შემდეგ ნინო ბელგრადში საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. ეს რანგით არაა მსოფლიო თასის ეტაპების დონის ტურნირი, მაგრამ მაინც ძლიერი შეჯიბრება უნდა გამოვიდეს, ვინაიდან ოლიმპიადის წინ ერთ-ერთი სასტარტოა. პეკინში წასვლამდე სალუქვაძე ტურნირებში აღარ გამოვა. სამაგიეროდ, კიდევ ერთ შეკრებას გაივლის, ბელგიაში.

ამ წერილისთვის წერტილის დასმა აქაც შეიძლებოდა, რომ არა ერთი გარემოება, რაზეც გულისტკივილით უნდა შევნიშნოთ. ამ შეკრების გავლაც ევროპაში იგეგმებოდა, მაგრამ სომხეთში ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბაზა გაუხსნიათ და იმ სიშორეზე წასვლას ამიტომაც ამჯობინეს მეზობელი. თანამედროვე ტექნოლოგიებით თავად სალუქვაძის ტირიცაა აღჭურვილი, მაგრამ აქ ელექტროფარები არაა, რომლებიც ძალიან ძვირი ღირს. არადა, უკვე რამდენიმე წელიწადია, ყველა ოფიციალურ ტურნირზე ფინალური სერია სწორედ ასეთ ფარებზე ტარდება, მას კი, სინათლის ეფექტიდან გამომდინარე, ადაპტაცია სჭირდება. საზღვარგარეთ ვარჯიშის ერთ-ერთი მიზეზიც ესაა. სომხებს ის ფარებიც დაუმონტაჟებიათ და შედეგად აბსოლუტურად თანამედროვე ბაზა მიიღეს. ამ ფაქტში ჩვენთვის საწყენი ისაა, რომ ანალოგიური რამე თბილისში არათუ ვერ მოვახერხეთ, უახლოეს ხანებში ამის პერსპექტივაც არ ჩანს და ჩვენებს ისევ სხვაგან მოუწევთ მზადება. არადა, სომხეთი საქართველოზე ეკონომიკურად ძლიერი და განვითარებული ქვეყანა ნამდვილად არაა და არც მსროლელები ჰყავთ თავზე საყრელად. ჩვენის არ იყოს, ისინიც ძირითადად ერთი მსროლელის - **ნორაირ ბახტამიანის** იმედად არიან. აქ არაფერს ვამბობთ აზერბაიჯანზე, რომლებიც ასევე მხლოდ ერთ მსროლელს, სალუქვაძის მეგობარ **ირადა აშუმოვას** ეყრდნობიან, მაგრამ აზერბაიჯანმა იმდენად გაგვისწრო სპროტული ბაზებითა და ინფრასტრუქტურით, ეს არც გვიკვირს. შედარებისთვის - რამდენიმე წლის წინათ, იქ აბსოლუტურად კეთილმოწყობილი 12 ოლიმპიური ბაზა იყო თავის სამედიცინო ლაბორატორიითა და ყველა სხვა სიკეთით.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# 81 თურქეთში გადაწყდება

ამ დღეებში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ოლიმპიადისთვის მზადების მიზნით, ბაკურიანში პირველი შეკრება დაიწყო, რომელიც საერთო ფიზმომზადებისთვისაა განკუთვნილი. ხაბარელის განკარგულებაში 35 სპორტსმენია.

მწვრთნელთა შტაბმა ერთი საყურადღებო გადაწყვეტილება მიიღო - 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოლიმპიური უნდის მონაწილის გამოვლენის საკითხი თვის ბოლომდე, თურქეთის ტურნირის დასრულებამდე გადადო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ **გიორგი ბაინდურაშვილიც** იჭიდავებს და მისი მოცილე **საბა გავაშელიშვილიც**. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ამ წონაში ლიცენზია ბაინდურაშვილმა მოიპოვა, მაგრამ მწვრთნელთა გულები მაინც ვერ მოიგო - ევროპისა და მსოფლიო პირველობები პირწმინდად ჩააგდო. მსოფლიო თასებზე ძლიერად კი გამოდის, მაგრამ მთავარი და პირველხარისხოვანი მაინც ოფიციალური ტურნირებია. ახლახან მან მოსკოვის სუპერთასიც მოიგო და მწვრთნელთა შტაბში გაჩნდა კითხვა - სჭირდებოდა თუ არა მას კიდევ გამოცდა? საბოლოოდ, დამრიგებლებმა არ იჩქარეს და ამ ამოცანის გადაწყვეტა თურქეთის ტურნირს მიანდეს. კონკურენტებმა იქ თუ ერთნაირი შედეგი აჩვენეს, აი, მაშინ კიდევ ერთხელ დასხდებიან, საჯაროდ განიხილავენ მათ ძლიერსა თუ სუსტ მხარეებს და გადაწყვეტილებას ისე გამოიტანენ.

შეგახსენებთ, რომ სხვა წონებში ოლიმპიადაზე გამოსვლა **ნესტორ ხერგიანმა** (60), **ზაზა კედელაშვილმა** (66), **დავით ქევხიშვილმა** (73), **ირაკლი ცირეკიძემ** (90), **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) და **ლაშა გუჯეჯიანმა** (+100) გაინაღდეს.

ძიუდოისტები თბილისში 23 ივნისს დაბრუნდებიან, 29-ში კი თურქეთში გაემგზავრებიან ტურნირზე. იქ ოლიმპიური გუნდის უკლებლივ ყველა წევრი იჭიდავებს, რადგან ეს ბოლო საკონტროლო შეჯიბრებაა.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# თბილისი ევროპის ფედერაციაში ჩივის

სკანდალური სახელბურთო სერიალი ჭიანურდება. საქართველოს ხელბურთის ფედერაცია მთელი კვირის განმავლობაში ამაოდ ელის საბოლოო პასუხს ევროპის ფედერაციიდან. ჩვენები ევროპას უმტკიცებენ, რომ ეროვნული ჩემპიონატის ფინალებში ლევან ბერძენიშვილს სტუ-"თელავში" თამაშის უფლება ევროპისავე ფედერაციის წესდების თანახმად მისცეს.

ამასობაში კი, "თბილისმა" უკვე მესამედ დაამყარა კავშირი ევროხელბურთის შეფობასთან - ამჯერად, ტელეფონით. პასუხი ისევ უცვლელი იყო - ბერძენიშვილს ფინალებში თამაში არ შეეძლოო. მეტიც - "თბილისის" შეფ **მამუკა მჟავანაძისთვის** კონსულტაციაც კი გაუწევიათ, თუ რა გზით უნდა მონახოს სამართალი. ამის შესახებ გუშინ თავად მჟავანაძემ გვაცნობა.

- სამწუხაროდ, საქართველოს ხელბურთის ფედერაცია საქმის დამთავრებას აჯანჯლებს, რადგან ჩიხშია მოქცეული. გვეუბნებიან, რომ ევროპის ფედერაციიდან პასუხი ჯერ არ მოსულა.

ამასობაში, ჩვენ თავად დავურეკეთ ევროპის ფედერაციის საერთაშორისო ტრანსფერების კურატორ კლაუდია ბრანტლს. როდესაც ვუთხარი ვინ ვიყავი, მაშინვე დაინტერესდა, თუ როგორ დამთავრდა ბერძენიშვილის საკითხი. მე ვუთხარი, რომ სწორედ ამაზე ვურეკავდი და საქმის კურსში დეტალურად ჩავაყენე.

ამის შემდეგ, ბრანტლმა ასეთი რეკომენდაცია მომცა - თუ საქართველოს ხელბურთის ფედერაცია ჩვენს მითითებას არ ასრულებს და დამნაშავე არ ისჯება, ევროპის ფედერაციაში შემოიტანეთ ოფიციალური საჩივარი და სანქციას ჩვენ გავცემთო. სწორედ ამის გაკეთებას ვაპირებთ ახლა, რადგან სხვა გზას ველარ ვხედავთ.

**ამის შემდეგ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ ჯემალ ცერცვაძეს ვთხოვეთ კომენტარი.**

- ევროპის ფედერაციაში გავაგზავნეთ დეტალური დოკუმენტაცია იმის თაობაზე, თუ რატომ მივეცით ბერძენიშვილს ფინელებში თამაშის უფლება. შესაბამისად, პასუხს ველით და სანამ არ მივიღებთ, ვერაფერს გეტყვით.

ისე, თუკი აღმოჩნდება, რომ მართლები ვართ, "თბილისი" აუცილებლად დაისჯება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, იმან უნდა აგოს პასუხი, ვინც ბერძენიშვილს ფინალებში თამაშის უფლება დართო.

**- თუკი "თბილისი" მართალი აღმოჩნდება, საქართველოს ჩემპიონის ტიტული გადაეცემა?**

- თუ გაირკვევა, რომ სტუ-"თელავმა" შეგვიყვანა შეცდომაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოერთმევა და "თბილისს" გადაეცემა. თუმცა, ამის შესაძლებლობა მიზერული მგონია. და თუ ჩვენი ფედერაციაა დამნაშავე, მაშინ ალბათ, იძულებულები გავხდებით, რომ ფინალები გადავათამაშოთ. ევროპიდან პასუხს დაახლოებით ორშაბათს ან სამშაბათს მივიღებთ და ამაზე მაშინ ვილაპარაკოთ.

**კობა ხატისაშვილი**

ჭადრაკი

# ნამდვილი ჩემპიონატი დღეიდან იწყება

თბილისის ჭადრაკის სასახლე 12-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატს მასპინძლობს და ეს ტურნირი ბოლო იქნება ასაკობრივ ჩემპიონატებში. ამის შემდეგ გაირკვა, ვინ სად ითამაშებს წლეულს - ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატზე. შეჯიბრი შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ჩატარდება.

გოგონებში 32 მონაწილეა, ვაჟებში - 89. სამი ტურის შემდეგ, როგორც გოგონებში, ისე ვაჟებში, ლიდერებში ფავორიტები არიან, თუმცა მათ მოცილენი ჯერ საკმაოდ ჰყავთ. განსაკუთრებით საყურადღებოა მეოთხე ტურის შეხვედრა გოგონებში, სადაც სამი ქულით სამი ლიდერია და დღეს პირველ ნომრად განთესილი **დეა გოგიშვილი** მეორე ნომერ **თეკლა მაჭარაშვილს** ხვდება, მესამე ნომერი **ნატო იმნაძე** კი მეოთხე ნომერ **ანა შამათავას** დაუპირისპირდება. ამ კვარტეტში ნახევარი ქულის დაკარგვა იმნაძემ "მოახერხა" - **ადა ქაქუთიასთან** გაიყო ქულა და მეოთხე-მეხუთე ადგილებსაც მასთან ერთად იყოფს.

ვაჟებში 7 მოჭადრაკეა მაქსიმალური ქულით; აქვეა უპირველესი ფავორიტი **ირაკლი ბერაძე**, რომელიც დღეს შავებით მეექვსე ნომერ **უჩა მღვდელაძეს** ხვდება. მეორე ნომერი **გიგლა ბენიძეა**, რომლის მეტოქეც დღეს 84-ე ნომრად განთესილი **ნოე თუთისანია**. ნოეს ასეთი წარმატება აღსანიშნავია და მას, ალბათ, ბენიძე უნდა უფრთხოდეს. სამი ქულა აქვს მესამე ნომერ **ნიკოლოზ ქუმსიაშვილსაც**, ვინც დღეს შავებით ეცდება მეცხრე ნომერ **ირაკლი კელაპტრიშვილის** დამარცხებას.

მეოთხე ტური. გოგონები: დეა გოგიშვილი (3) - თეკლა მაჭარაშვილი (3); ნატო იმანძე (2.5) - ანა შამათავა (3); მარიამ წულაია (2) - ადა ქაქუთია (2.5); მარიამ სამურკასოვი (2) - მარიამ ცერცვაძე (2); ნინო ჯღარკავა (2) - ნინო ხომერიკი (2); ნანა მელაძე (2) - მარიამ ჭოლაძე (2); ელენე საპანაძე (2) - მარიამ ვალიშვილი (2).

ვაჟები: უჩა მღვდელაძე (3) - ირაკლი ბერაძე (3); გიგლა ბენიძე (3) - ნოე თუთისანი (3); ირაკლი კელაპტრიშვილი (3) - ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (3); ალექსანდრე ებრალიძე (2.5) - გუგა ბურდული (3); დემეტრე ფიფია (2.5) - გიორგი სიბაშვილი (2.5); მამუკა ანთაძე (2.5) - ნიკა ლვამბერია (2.5); ილია ხელაძე (2.5) - ალექსანდრე ურდულაშვილი (2.5); დიმიტრი ოხანაშვილი (2.5) - ბექა ბესელია (2.5).

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# ივანოვიჩის პირველი პარიზული ტრიუმფი

პარიზში, როლან გაროსის კორტებზე, დასრულდა საფრანგეთის საჩოგბურთო ღია პირველობა, რომელზეც ჩემპიონის წოდება კვლავ დაიცვა ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, სერბი **ანა ივანოვიჩი** კი პირველად დაეუფლა სანუკვარ ტიტულს. როგორც წინა სამ ტურნირზე, ნადალმა ფინალში ამჯერადაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** დაამარცხა, რაც შეეხება ივანოვიჩს, მან რუსი **დინარა საფინა** დაამარცხა. ორივე ჩემპიონმა ფინალში გამარჯვება სეტის წაუგებლად მოიპოვა.

შაბათს ქალთა ფინალი ჩატარდა. ივანოვიჩისთვის ეს საფრანგეთის ღიას ზედიზედ მეორე ფინალი იყო, რომელიც, შარშანდელისგან განსხვავებით, როცა ბელგიელ **ჟუსტინ ანენთან** მხოლოდ სამი გეიმის მოგება შეძლო, ამჯერად შესანიშნავად ჩაატარა. ფინალამდევე, მას მსოფლიოს პირველი ჩოგნის წოდება განაღდებული ჰქონდა, ფინალის შემდეგ კი თავისი კარიერა დიდი სლემის სერიის პირველი ტიტულითაც გაამდიდრა.

*"ბავშვობაში, როცა სავარჯიშოდ ველოსიპედით მივდიოდი ხოლმე, ყოველთვის ასეთ გამარჯვებაზე ვოცნებობდი. ახლა კი ეს ოცნება ამისრულდა და ამით ბედნიერი ვარ"*, - განაცხადა ივანოვიჩმა, ვისაც ჩემპიონის თასი საფრანგეთის ღიას სამგზის ჩემპიონმა ანენმა თავად გადასცა. ივანოვიჩი პირველი სერბი ქალია და მეორე სერბი ჩოგბურთელი, ვინც დიდი სლემის ტურნირის მოგება შეძლო.

რაც შეეხება საფინას, მისთვის ასე კარგად დაწყებული ტურნირი უფერულად დასრულდა. ჩოგბურთელმა, ვისზეც მისი ყოფილი მეტოქეები ამბობენ, "ზევრი სათადარიგო სიცოცხლე" აქვსო, ფინალში თავისი ნაქები ბრძოლისუნარიანობის მინიმუმიც კი ვერ გამოავლინა. ნაგების შემდეგ კი განაცხადა, ფინალისთვის არც ძალა შემომრჩა და არც ბრძოლის ჟინიო. *"რა თქმა უნდა, გამარჯვება ძალიან მინდოდა, მაგრამ ამის საშუალება სხეულმა არ მომცა"*, - განაცხადა საფინამ, ვინც თავისი უფროსი ძმის, **მარატ საფინის** მსგავსად, ჯავრის ჩოგანზე ამოყრას დაეჩვია.

რუსმა პირველივე გეიმში დათმო თავისი მოწოდება და მეტოქეს მეორე ბრეიკის ალების საშუალება მეხუთე გეიმშიც მისცა, რის შემდეგაც, ანგარიში 4:1 გახდა სერბის სასარგებლოდ. ამაზე საფინამ ნერვიულობა დაიწყო. ჯერ წალმა დარტყმულზე რომ შეცდა, ჩოგნის ფეხზე დაგდებით გამოხატა უკმაყოფილება. მალე ორმაგი შეცდომა დაუშვა და ამჯერად, ჩოგანი კორტზე "დაეცა". მერე კი, მეტოქემ ბრწყინვალე დარტყმით მოიპოვა ქულა, რის შემდეგაც საფინამ ჩოგნიანი ხელი შემართა და კორტზე მის დანარცხებას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა...

ჩოგანი არ გაიმეტა, ნერვებსაც მოუფრთხილდა და ასე განსაჯეთ, ამ ჩოგანმა ზედზედ სამი გეიმი მოაგებინა, მაგრამ ამით პირველი სეტი მაინც ვერ გადაარჩინა, რაშიც თავადვეა დამნაშავე. მეცხრე გეიმში რუსმა სამი შეცდომა დაუშვა, რითაც კარგად ისარგებლა ივანოვიჩმა და მესამე ბრეიკით, კიდევ ერთხელ დაწინაურდა. მართალია, საფინას მომდევნო გეიმში ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცა, მაგრამ ისევ თავისი შეცდომის წყალობით, ეს შანსი გაანიავა და სეტი სერბის გამარჯვებით დასრულდა.

რუსის ჩოგანმა კორტზე დანარცხების სიმწარე მეორე სეტის მესამე გეიმშიც იგემა, როცა ხანგრძლივი გათამაშება სერბმა შესანიშნავი დარტყმით დააგვირგვინა. ამ დროს საფინა ბადესთან იყო გასული და გარანტირებული ქულის ასალებად ემზადებოდა, მაგრამ ივანოვიჩმა ბურთი თავზე გადაატარა...

რუსი საბოლოოდ მეშვიდე გეიმში გატყდა, რომელიც 13 წუთს გაგრძელდა. ამ გეიმში ანგარიში სამჯერ გათანაბრდა, სამჯერ საფინამ ორმაგი შეცდომა დაუშვა, ერთხელ კი მოწოდებისას მთელი ხმით მტირალმა ბავშვმა შეუშალა ხელი. ამ გაჭიანურებული გეიმის (რომელიც სერბმა მოიგო) დასრულებიდან ექვსი წუთი და შეხვედრა ივანოვიჩის გამარჯვებით დასრულდა. ბედნიერი სერბი ვი-აი-პი ტრიბუნზე ავიდა, სადაც თავისი სიხარული ოჯახის წევრებსა და მეგობრებს გაუზიარა.

## ნადალი ამჯერადაც შეუდარებელია

გუშინ კი, ნადალისა და ფედერერის ფინალურ დაპირისპირებაში ბრძოლა პრაქტიკულად არ ყოფილა. ესპანელმა, ვინც ფინალამდე ისე მიაღწია, ერთი სეტიც კი არავისთვის დაუთმია, მეტოქეს ამჯერადაც არანაირი გასაქანი არ მისცა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სამ სეტში მხოლოდ ოთხი გეიმის მოგება შეძლო, მათგან ერთი – მეტოქის მოწოდებაზე. მეტი კი, თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა.

*"რა თქმა უნდა, აქ იმისთვის გამოვედი, რომ ოთხ გეიმზე მეტი მომეგო, მაგრამ რაფაელმა ძალიან, ძალიან მაგრად ითამაშა. მგონი, ბორგის გარდა, ამ ტურნირზე ასეთი დომინანტი არავინ ყოფილა. მოკლედ, გილოცავ, რაფა, შენ ეს გამარჯვება დაიმსახურე. მე კი, ამ ტურნირს ჩემთვის მაინც წარმატებულად მივიჩნევ. რა თქმა უნდა, ფინალის წაგება იოლი არასოდესაა, მაგრამ ტურნირი ხომ მარტო ფინალი არაა. მოკლედ, ისღა დამრჩენია, მომავალ სეზონს დაველოდო, რომელზეც აუცილებლად ვეცდები მეტის მიღწევას"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც მეტისმეტად ბევრი შეცდომა დაუშვა.

ნადალმა სამივე სეტის დასაწყისში შეძლო მეტოქის მოწოდების ალება. პირველი სეტი შვეიცარიელისთვის გამანადგურებლად დაიწყო. პირველივე გეიმში, თავის მოწოდებაზე წაგების შემდეგ, მან მეტოქის მოწოდების ალება სცადა. ორი ბრეიკ პოინტიც მოიპოვა, მაგრამ მათი ქულად გადაქცევა აღარ გამოუვიდა. სამაგიეროდ, ორი გეიმის შემდეგ, ესპანელმა მეტოქის მოწოდება მშრალად მოიგო და 4:1 დაწინაურდა. ფედერერმა კიდევ სცადა გაბრძოლება, მაგრამ ისევ ამაოდ.

მეორე სეტიც ანალოგიურად დაიწყო. ნადალმა ამჯერად მეორე გეიმში აილო მეტოქის მოწოდება, თუმცა ფედერერმა იქვე ბრეიკით უპასუხა. მერე კი, მართალია, თავის სერვისზე ბრეიკის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ მისი მოგერიება შეძლო და ანგარიში გაათანაბრა – 2:2. მერე მეტოქეებმა თითო გეიმი აილეს, რის შემდეგაც, ნადალმა ზედიზედ ცხრა გეიმი მოიგო (!) და შეხვედრაც ამით, საათსა და 48 წუთში დაასრულა.

საინტერესო ფაქტები: 1999 წლის შემდეგ, ფედერერმა პირველად წააგო სეტი მშრალად. ცხრა წლის წინ მას 6:0 ზიმბაბველმა **ბაირონ ბლეკმა** მოუგო.

საფრანგეთის ღიას ფინალში ასე ცოტა გეიმი 1977 წლის შემდეგ არ უთამაშიათ, იმავე ტურნირის ფინალი კი 1980 წლის შემდეგ, ასე სწრაფად (108 წუთში) პირველად დასრულდა.

ნადალმა საფრანგეთის ღიაზე ნათამაშები 28-ვე შეხვედრა მოიგო. მათში კი 91-დან 84 სეტი აქვს მოგებული. ის სულ მეორე მამაკაცი ჩოგბურთელია, ვინც საფრანგეთის ღიაზე ზედიზედ ოთხჯერ გაიმარჯვა. პირველმა ეს ლეგენდარულმა შვედმა **ბიორნ ბორგმა** 1978-81 წლებში შეძლო.

■ ■ ■

მამაკაც წყვილთა ფინალში, ურუგვაელი **პაბლო კუევასისა** და პერუელი **ლუის ორნას** დუეტმა, ორ სეტში მოუგო კანადელი **დანიელ ნესტორისა** და სერბი **ნენად ზიმონჯიჩის** დუეტს. ამგვარად, რაც ჩოგბურთი პროფესიულ რელსებზე გადავიდა (1968 წელს), მას შემდეგ, საფრანგეთის ღიას მამაკაც წყვილთა ბადეში, სამხრეთამერიკულმა დუეტმა პირველად შეძლო ჩემპიონის წოდების დაუფლება.

არადა, ორნამ და კუევასმა ერთ წყვილში პირველად სწორედ როლან გაროსზე ითამაშეს. მათვე, მეოთხედფინალში ამერიკელი ტყუპების, **ბობ** და **მაიკ ბრაიანების** დუეტი დაამარცხეს, რომელიც ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი. მათგან განსხვავებით, კვლავ ხელმოცარული დარჩა ზიმონჯიჩი, რომელიც შერეულ წყვილთა ფინალშიც გავიდა, მაგრამ იქაც კორტი ნაგებულმა დატოვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

| |
|---|
| **მამაკაცები** |
| **ფინალი** |
| **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-როჯერ ფედერერი (შვეი, 1) 6:1, 6:3, 6:0 |
| **ქალები** |
| **ფინალი** |
| **ანა ივანოვიჩი (სერბ, 2)**-დინარა საფინა (რუს, 13) 6:4, 6:3 |
| **კაცები. წყვილები** |
| **ფინალი** |
| **პაბლო კუევასი/ლუის ორნა (ურუგ/პერუ)**-დანიელ ნესტორი/ნენად ზიმონჯიჩი (კან/სერბ, 2) 6:2, 6:3 |





კრივი. ახალი ამბები

# მეივეზერი წავიდა



ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონმა, ლეგენდარულმა **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსმა** რამდენიმე ცნობილ გამოცემას ოფიციალური განცხადება გაუგზავნა, რომელშიც ის საკრივო კარიერის დასრულების შესახებ იუწყება. მეივეზერი, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ ითვლება, აცხადებს, რომ კრივისგან ძველებურად სიამოვნებას ვეღარ იღებს.

*"საბოლოოდ გადავწყვიტე კრივიდან წასვლა. ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა, რადგან ბავშვობიდან მოყოლებული, კრივი ჩემი ძირითადი სამუშაო იყო. მაგრამ ბოლო წლებში, ამ საქმისგან სიამოვნებას ვეღარ ვიღებდი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არაერთხელ მითქვამს, რომ რინგზე აღარ გავიდოდი, მაგრამ ამავდროულად, მომწონდა ბრძოლა და გამარჯვება... გარდა ამისა, ჩემს გულშემატკივრებს ვერ ვუღალატებდი, რომლებსაც ძალიან მოსწონთ ჩემი ბრძოლები. მაგრამ ბევრი უძილო ღამის შემდეგ მივხვდი, რომ საკუთარი ბედნიერების უფლება მაქვს, რომელიც აქამდე დაკარგული მქონდა"*, - წერს მეივეზერი.

ასე რომ, სექტემბრისთვის **ოსკარ დე ლა ჰოიასთან** დანიშნული მატჩრევანში აღარ გაიმართება. მეივეზერი დაუმარცხებელი ტოვებს პროფესიულ რინგს - მან 39 ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო, აქედან 25 ნოკაუტით.

**გია თვალაბეიშვილი**

# ჰოლიფილდი გაკოტრებულია?



სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, **ევანდერ ჰოლიფილდს** ყოფილი მეუღლე სასამართლოში უჩივის. მოკრივეს ალიმენტების გადაუხდელობას ედავებიან.

როგორც ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ევანდერს ფინანსური პრობლემები აქვს და მოკრივის ცხრა შვილიდან ერთ-ერთის დედამ, ჰოლიფილდს სასამართლოში იმის გამო უჩივლა, რომ ის აღარ იხდის თვეში 3 ათას დოლარს. ევანდერის ფინანსური პრობლემები მართლაც საგანგაშო ყოფილა. მაგალითად, თავისი ვილის 95 ჰექტარის გამწვანებისთვის, მას 550 ათასი დოლარი ვალი დაუგროვდა.

*"მსგავსი რამ არასოდეს ჩამიდენია. საკუთარ ბავშვებზე ყოველთვის ვზრუნავდი. ჩემი ერთ-ერთი ყოფილი მეუღლე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რთულ სიტუაციაში ჩამაგდოს. ჩემთვის უბრალოდ აუცილებელია ამ სიტუაციიდან გამოძრომა"*, - აცხადებს ჰოლიფილდი, რომელიც იქვე ამატებს, რომ ის არ გაკოტრებულა და დროებით რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. არადა, ამერიკული პრესა სულ სხვა ინფორმაციას ავრცელებს. ატლანტის გარეუბანში მოკრივის 109-ოთახიანი სახლი დაყადაღებულია და ვალების გამო გასხვისებას ექვემდებარება.

სასამართლო პროცესი უახლოესი ერთი თვის განმავლობაში გაიმართება და თუ იმ მომენტისთვის ჰოლიფილდი რალაც ზომებს არ მიმართავს, შეიძლება ციხეშიც ამოჰყოს თავი.

**გია თვალაბეიშვილი**

კალათბურთი. ახალი ამბები

# ფინიქსს პორტერი გაწვრთნის



"ფინიქს სანზის" გენერალურმა მენეჯერმა **სტივ კერმა** ოფიციალურად შესთავაზა მთავარი მწვრთნელის პოსტი წარსულში ცნობილ კალათბურთელს, **ტერი პორტერს**. ამ უკანასკნელმაც კერს თანხმობით უპასუხა, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოესი სამი წლის განმავლობაში, პორტერი დასავლეთი კონფერენციის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს უხელმძღვანელებს და ამაში 7 მილიონ დოლარს მიიღებს.

გასულ კვირას, "ფინიქსის" მწვრთნელის პოსტზე სავარაუდო კანდიდატთა სია ოთხამდე შემცირდა. პორტერის გარდა ესენი იყვნენ: **ელსტონ ტურნერი** ("ჰიუსტონი"), **ტაირონ კორბინი** ("იუტა") და **მაიკ ბუდენჰოლცერი** ("სან ანტონიო"). როგორც ჩანს, საბოლოო არჩევანის გაკეთებისას, კერმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ამ კვარტეტიდან მხოლოდ პორტერს ჰქონდა NBA-ში მთავარ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება. 2003-05 წლებში, ის "მილუოკი ბაქსს" ავარჯიშებდა და პირველივე წელს გუნდი პლეი ოფში გაიყვანა, ხოლო ორი სეზონის განმავლობაში, 71 მატჩი მოიგო და 93-ში მარცხი იწვნია (43.3 პროცენტი). წლევანდელ სეზონში, 45 წლის პორტერი "დეტროიტ პისტონზში" **ფლიპ სონდერსის** ასისტენტის მოვალეობებს ასრულებდა.

1993 წლიდან მოყოლებული, პორტერი "ფინიქსის" რიგით მეშვიდე მწვრთნელი გახდა. ტერიმ თანამდებობიდან დათხოვნილი **მაიკ დ'ენტონი** შეცვალა, რომელიც მომავალი სეზონიდან "ნიუ იორკ ნიქსში" იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ წლევანდელ პლეი ოფში, "სანზი" პირველივე წრეში დამარცხდა "სან ანტონიო სპურსთან".

**გია თვალაბეიშვილი**

# მეხუთე ესპანელი NBA-ში



ესპანეთის "ხუვენტუდის" მცველი **რუდი ფერნანდესი** მომავალ წელს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციაში ითამაშებს. ესპანელი კალათბურთელ პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" შემადგენლობაში ჩაირიცხება.

*"მათ "პორტლენდში" გადასვლა დამაძალეს და თან პირობა მომცეს, რომ გუნდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა ვიქნები. ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება, მაგრამ "ხუვენტუდის" შემადგენლობაში ჩატარებული ბრწყინვალე სეზონის შემდეგ, ამერიკელების წინადადებას დავთანხმდი"*, - ამბობს ფერნანდესი.

წლეულს, 23 წლის კალათბურთელმა თავის კლუბთან ერთად ესპანეთის თასი და ULEB-ის თასი მოიგო და აგრეთვე, ესპანეთის ჩემპიონატის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა. რუდის ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატის ოქროსა (2006) და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის (2007) მედლები აქვს მოგებული.

ფერნანდესი დიდი ხანი უარს ამბობდა "პორტლენდში" გადასვლაზე, რადგან თვალწინ მისი მეგობრისა და თანამემამულის, **სერხიო როდრიგესის** მაგალითი ჰქონდა, რომელსაც "ბლეიზერსში" თითქმის არ აძლევენ თავის გამოჩენის საშუალებას.

რუდის ტრანსფერის შემდეგ, NBA-ში ესპანური ლეგიონი ხუთ კალათბურთელამდე გაიზარდა.

**გია თვალაბეიშვილი**

# არმანიმ მილანი იყიდა

ცნობილმა იტალიელმა დიზაინერმა **ჯორჯო არმანიმ** იტალიის უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე საკალათბურთო კლუბი, "მილანი" შეიძინა. მსოფლიო მოდის სამყაროში აღიარებული კუტიურიე უკვე კარგა ხანია ამ გუნდის დიდი გულშემატკივარია, ხოლო წინა წლიდან მოყოლებული, "მილანის" გენერალურ სპონსორად ითვლება.

*"კლუბის გაყიდვის წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. კომპანია "არმანი ჯგუფი" "მილანის" ამჟამინდელი მფლობელებისგან უახლოეს ხანში გამოისყიდის აქციათა საკონტროლო პაკეტს"*, - წერს "გაძეტა დელო სპორტი".

წლეულს, "მილანმა" იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალს მიაღწია, ევროლიგაში კი, პირველი ჯგუფური ეტაპიდან გამოეთიშა ბრძოლას.

**გია თვალაბეიშვილი**

ოლიმპიზმი

# დოპინგზე სასჯელი გამკაცრდა




საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, დოპინგთან ბრძოლის გამკაცრების მიზნით, ახალი წესი შემოიღო. ამიერიდან, სპორტსმენები, რომლებიც ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლის დროს აკრძალული პრეპარატის მიღებაში იქნებიან მხილებულნი და მინიმუმ 6-თვიან დისკვალიფიკაციას მიიღებენ, მათ ავტომატურად აეკრძალებათ ოლიმპიადაზე გამოსვლა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თამაშების დაწყებისთვის დისკვალიფიკაციას ვადა ექნება გასული.

ახალი წესი 2008 წლის 1 ივლისიდან შევა ძალაში.

ეს გახლავთ ერთგვარი რევოლუცია დოპინგთან ბრძოლის საქმეში. ადრე მოქმედი კანონის თანახმად, სპორტსმენი ავტომატურად ოლიმპიადას მხოლოდ იმ შემთხვევაში ტოვებდა, თუ უშუალოდ ოლიმპიურ თამაშებზე აღებული დოპინგ-ტესტი დადებით შედეგს უჩვენებდა.

სხვა შემთხვევებში, ათლეტებს არაფერი უშლიდათ ხელს, ოლიმპიური ციკლის დროს მოეხადათ ორწლიანი დისკვალიფიკაცია და შემდეგ თამაშებში მიეღოთ მონაწილეობა. ახლა კი, მათ ამის საშუალება აღარ ექნებათ. მაგალითად, თუ 2008-09 წლების ზამთრის სეზონში რომელიმე სპორტსმენი თუნდაც 6-თვიან დისკვალიფიკაციას მიიღებს, მას 2010 წელს, ვანკუვერის "თეთრ" ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ჩამოერთმევა.

სოკი-ის მიერ ადრე დასახული გეგმით, ეს ახალი წესი პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ უნდა შესულიყო ძალაში, მაგრამ ოლიმპიური კომიტეტის წევრები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ახალი კანონის ამოქმედება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მომხდარიყო.

*"სოკ-ს დოპინგთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს - განსაკუთრებული სიმკაცრე. დღეს მიღებული გადაწყვეტილება ამ პოზიციის გამყარებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია"*, - ამბობს ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი **ჟიზელ დევისი**.

ვარაუდობენ, რომ პეკინის ოლიმპიადის დღეებში დაახლოებით 4500 დოპინგ-ტესტი იქნება აღებული, რაც ათასით მეტია, ვიდრე ოთხი წლის წინათ, ათენის თამაშებისას. ამასთან, სპორტსმენები შეიძლება დღეში ორჯერაც შეამოწმონ. გარდა ამისა, ტესტები არამარტო მედლის მფლობელებს, არამედ საუკეთესო ხუთეულში შესულ ათლეტებსა და შემთხვევით არჩეულ კიდევ ორ სპორტსმენს ჩაუტარდებათ.

პეკინში დოპინგ-კონტროლის 34 სადგური იმუშავებს, კიდევ შვიდი შანხაისა და ცინდაოში განლაგდება, სადაც ასევე გაიმართება ოლიმპიური სტარტები.

**გია თვალაბეიშვილი**

## TV სპორტი

### 9 ივნისი. ორშაბათი

### რუსთავი 2

19:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. საფრანგეთი-რუმინეთი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-იტალია (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:00 საფეხბურთო კლუბი.
10:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია.
12:55 საფეხბურთო კლუბი.
13:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი.
15:40 საფეხბურთო კლუბი.
16:50 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია.
19:00 საფეხბურთო კლუბი.
19:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. საფრანგეთი-რუმინეთი (LIVE).
21:55 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-იტალია (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.

### SPORT 1 (უკრაინა)

06:55 ცურვა. Mare Nostrum. მონტე კარლო.
08:25 სპორტის სამყარო.
08:55 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
10:15 ფეხბურთი. Barca TV.
10:25 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია.
12:10 ბიოლა. ჩემპიონთა თამაშები.
12:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სევილია-ბეტისი.
14:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ინტერი-სამპდორია.
16:00 მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ინდივიდუალური მრავალჭიდი. იტალია.
18:00 სპორტის სამყარო.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. რუმინეთი-საფრანგეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-იტალია (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:45 პროფესიული კრივი. კარლოს ბალდომირი-ვერნონ ფორესტი.
03:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სევილია-ბეტისი.
05:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ინტერი-სამპდორია.

### EUROSPORT

10:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
10:45 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
11:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-თურქეთი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-ჩეხეთი.
15:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 ველოსპორტი. პრო ტური. კრიტერიუმ დოფინე ლიბერე. I ეტაპი. საფრანგეთი.
18:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
19:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
22:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
22:30 მულტისპორტი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი.

### EUROSPORT-2

09:00 ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-თურქეთი.
11:00 ახალი ამბები.
12:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-თურქეთი.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-ჩეხეთი.
19:30 ახალი ამბები.
20:00 ექსტრემალური სპორტი.
21:00 სერფინგი. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. საფრანგეთი
21:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
21:45 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. იაპონია-ავსტრალია.
00:00 ბილიარდი. 3-ბორტიანი კარამბოლი. ევროპის მასტერსი. საფრანგეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია (LIVE).
01:45 ახალი ამბები.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
02:45 ახალი ამბები.
03:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
03:45 ახალი ამბები.
04:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
04:45 ახალი ამბები.
05:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
05:45 ახალი ამბები.

ცურვა. მსოფლიო რეკორდი

# კიტაძიმამ რეკორდი დაიბრუნა



ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იაპონელმა **კოსუკე კიტაძიმამ**, იაპონიის ჩემპიონატზე, რომელიც ამავდროულად, ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ტურნირიცაა, 200 მეტრზე ბრასში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. 25 წლის მოცურავემ, ვისაც ათენის ოლიმპიადაზე ორი ოქრო (ას და ორას მეტრზე ბრასში) აქვს მოპოვებული და მსოფლიო ჩემპიონატების სამ ოქროსაც ფლობს, დისტანცია 2 წუთსა და 07.51 წამში გაცურა და 0.99 წამით გააუმჯობესა ამერიკელი ბრენდან ჰანსენის მიერ ორი წლის წინათ დამყარებული რეკორდი.

კიტაძიმას კონტრაქტი იაპონურ კომპანია "მიძუნოს" წარმოების საცურაო ეკიპირების გამოყენებას ავალდებულებს, ამ ტურნირზე კი "სპიდოს" აწ უკვე ლეგენდარული "LZR რეისერით" საცდელად იასპარეზა და განსხვავებით გაოგნებული დარჩა.

*"რა თქმა უნდა, ამ რეკორდს ჩემს შესაძლებლობას უნდა ვუმადლოდე, თუმცა ჩემს შედეგზე ამ საცურაო კოსტუმმაც იმოქმედა. სიმართლე გითხრათ, ტურნირამდეც მჯეროდა, რომ რეკორდის დამყარება შემეძლო, რის საფუძველსაც ჩემი მომზადების დონე მაძლევდა. მინდა, იაპონიის ცურვის ფედერაციასა და "მიძუნოს" მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ მათ "სპიდოს" ეკიპირებით ასპარეზობის უფლება მომცეს"*, - განაცხადა კიტაძიმამ, ვისაც მსოფლიოს ბოლო რეკორდი 2003 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობისას, 200 მეტრზე ბრასში ჰქონდა დამყარებული.

აღსანიშნავია, რომ იაპონიის ოლიმპიური ნაკრების მოცურავეები ვალდებულნი არიან, სამი იაპონური კომპანიიდან (მიძუნო, ასიკსი და დესცენტე), პეკინში ერთ-ერთის ეკიპირებით იასპარეზონ. მაგრამ მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ "LZR რეისერით" მოასპარეზეებს სოლიდური უპირატესობა ეძლევათ, იაპონიის ცურვის ფედერაციაშიც დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ ყველაზე გამორჩეულ მოცურავეებს თავისუფალი არჩევანის უფლება მისცენ. შესაბამის გადაწყვეტილებას იაპონელები დღეს მიიღებენ.

სხვათა შორის, კიტაძიმამ იმავე ეკიპირებით, იაპონიის რეკორდები 50 და 100 მეტრზე ბრასში გააუმჯობესა. მის გარდა, "LZR რეისერით" მოასპარეზე სხვა იაპონელმა მოცურავეებმაც ქვეყნის არაერთი რეკორდი გააუმჯობესეს.

კიტაძიმა თავის უკმაყოფილებას არ მალავს იმის გამო, რომ მოცურავეების შედეგებზე ეკიპირება ასეთ გავლენას ახდენს. მართალია, მან რეკორდის დამყარება შეძლო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მომხდარით ბოლომდე კმაყოფილია. საცურაო კომპლექსში ის სპეციალური მაისურით დადიოდა, რომელზეც ინგლისურად, იაპონურად და ჩინურად ეწერა – "მე მოცურავე ვარ".

თავად კიტაძიმას ჯერ ვერ გადაუწყვეტია, ოლიმპიადაზეც "LZR რეისერით" იასპარეზებს, თუ "მიძუნოს" ახალი ეკიპირებით, რომელიც ორიოდ დღის წინათ, ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ ვარგისად სცნო. სხვათა შორის, მის მეტოქე ჰანსენს, ვისაც ას მეტრზე ბრასში მსოფლიო რეკორდი (59.13 წამი) ეკუთვნის, მისი სპონსორი, კომპანია "ნაიკი" პეკინში "LZR რეისერით" ასპარეზობის უფლებას აძლევს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# კუბიცას ტრიუმფალური დაბრუნება

კანადის ქალაქ მონრეალის ნოტრდამის ხელოვნურ კუნძულზე მდებარე, **ჟილ ვილნევის** სახელობის ტრასაზე, ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი, კანადის დიდი პრიზი გაიმართა, რომელიც "ბეემვე ზაუბერის" პოლონელი პილოტის, **რობერტ კუბიცას** გამარჯვებით დასრულდა.

23 წლის პილოტმა, ვინც ამავე ტრასაზე, შარშან სასწაულით გადაურჩა განსაცდელს, კარგად ისარგებლა პირველი პიტ-სტოპის დროს, ბოქსებიდან გამოსასვლელში მომხდარი ინციდენტით და გარდა იმისა, რომ თავის კარიერაში პირველად დაიკავა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური, თავის გუნდს და ქვეყანასაც პირველი გამარჯვება მოუპოვა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ სეზონში მეორედ იგდო ხელთ ჩემპიონატის ლიდერობა.

მართალია, კუბიცას ტრიუმფში დიდი წვლილი მისმა ალმატებულება შემთხვევამ შეიტანა, მაგრამ ამის მიუხედავად, პოლონელმა სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ამ სეზონში ის ერთხელ ჩემპიონატის ლიდერი იყო, ორჯერ მეორე ადგილი დაიკავა და ერთხელ პოული მოიპოვა. ამ მიღწევათა ლოგიკური გაგრძელება კი რბოლის მოგება უნდა ყოფილიყო, რომელიც მას კანადაში, მისთვისაც მოულოდნელად მოიპოვა.

*"ეს ფანტასტიკური რბოლა იყო, ფანტასტიკური შედეგით არამხოლოდ ჩემთვის, არამედ გუნდისა და ჩემი ქვეყნისთვისაც. მინდა, მადლობა გადავუხადო იმ ფანებს, რომლებმაც ტრასაზევე მომილოცეს გამარჯვება. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ"*, - დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ განაცხადა კუბიცამ, ვისაც კვალიფიკაციაში გამარჯვებამდეც ძალიან ცოტა დააკლდა.

კვალიფიკაცია კი, და მასთან ერთად, პოულ პოზიციაც, "მაკლარენის" ბრიტანელმა პილოტმა, **ლუის ჰემილტონმა** მოიპოვა, ვინც კარიერაში პირველი რბოლა, ასევე კანადაში, შარშან მოიგო. ჰემილტონმა პოლონელის საუკეთესო შედეგი, სესიის ბოლო წამებზე, 0.602 წამით გააუმჯობესა.

საერთოდ, გუშინდელი რბოლა, ამ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა. მასზე იმდენი გასწრება და ინციდენტი მოხდა, რამდენიმე რბოლას ეყოფოდა. ჩვენ კი იმ ინციდენტზე გავამახვილოთ ყურადღება, რომელმაც პოლონელ პილოტს კარიერაში გამარჯვებების ანგარიში გაახსნევინა.

ინციდენტი მე-15 წრეზე, გერმანელი **ადრიან სუტილის** ავარიით დაიწყო. მისი დამტვრეული "ფორს ინდია" ისეთ ადგილზე ჩარჩა, რომ რბოლის მონაწილეებს აშკარად საფრთხეს უქმნიდა. თანაც, ვერც მისი ევაკუაცია ხერხდებოდა. მოკლედ, ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა, ლიდერებმა ამით ისარგებლეს და მე-18 წრეზე, როგორც კი ამის ნება მიიღეს, ბოქსებს მიაშურეს. ამ მომენტისთვის, ლიდერი ჰემილტონი იყო, რომელსაც კვალში მსოფლიოს ფინელი ჩემპიონი **კიმი რაიკონენი** და კუბიცა ედგნენ. მაგრამ ბოქსში ყველაზე სწრაფად პოლონელს მოემსახურნენ, რომელმაც პირველმა სცადა ტრასაზე დაბრუნება. პიტლაინზევე მას გვერდში რაიკონენი ამოუდგა და იმ მომენტში, როცა ორივე ტრასაზე გასასვლელს მიუახლოვდა, მოულოდნელად შუქნიშანზე წითელი აინთო. კუბიცა და რაიკონენი მაშინვე გაჩერდნენ, მაგრამ ჰემილტონს რეაგირება დაუგვიანდა და მისი "მაკლარენი" ფინელის "ფერარის" შეეჯახა. თავის მხრივ, ბრიტანელს უკნიდან გერმანელი **ნიკო როსბერგი** დაეჯახა.

ამ ინციდენტში დაუზიანებელი მხოლოდ კუბიცას "ბეემვე ზაუბერი" გადარჩა, ჰემილტონმა და რაიკონენმა რბოლის გაგრძელება ვერ შეძლეს, როსბერგმა კი ერთი წრის შემდეგ ისევ ბოქსებს მიაშურა, სადაც მის "უილიამსს" წინა ფრთა გამოუცვალეს.

კუბიცამ გზა განაგრძო, მაგრამ მომხდარის გამო, მანაც ბევრი დრო დაკარგა. ლიდერობა მისი თანაგუნდელის, **ნიკ ჰაიდფელდის** ხელში გადავიდა, ვინც პიტსტოპი 28-ე წრეზე მოიარა და ტრასაზე დაბრუნებული, თანაგუნდელის წინ აღმოჩნდა. თუმცა კუბიცამ მომდევნო წრეზევე გაასწრო და მას შემდეგ, რაც პიტსტოპი ყველა პილოტმა შეასრულა, პოლონელი პელოტონს სათავეში ჩაუდგა, რის შემდეგაც, წინ აღარავინ გაუშვია, მაშინაც კი, როცა მეორე პიტსტოპი მოიარა.

საინტერესო დამთხვევაა, რომ წინა რბოლაზე, მონაკოში, რაიკონენის მსგავსი შეცდომის გამო, რბოლა ვერ დაასრულა სუტილმა, ვისაც პრაქტიკულად განაღდებული ჰქონდა სენსაციური მეოთხე ადგილი. სუტილი თურმე ჰემილტონთან მეგობრობს. კანადაში კი სწორედ გერმანელის ინციდენტის შემდეგ გამოვიდა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა, მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ კი რაიკონენი დააზარალა. ფინელმა ბოქსშივე გაამხნევა ჰემილტონი (ვის არ მოსვლიაო), რომელმაც ნარბოლევს იქით მოუბოდიშა. თუმცა ეს ბოდიში რბოლის სტიუარდებმა არ მიიღეს, რომელთა ვერდიქტითაც, ბრიტანელ პილოტს მომდევნო ეტაპზე (საფრანგეთის დიდი პრიზი) კვალიფიკაციის შემდეგ ათი ადგილით უკან დაწევა მოუწევს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




**კანადის დიდი პრიზი. მე-7 ეტაპი**
**მონრეალი (კანადა). 305.270 კმ (70 წრე X 4.361 კმ)**

1. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, BMW ზაუბერი) 1:36:24.447
2. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, BMW ზაუბერი) +00:16.495
3. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბული) 00:23.352
4. ტიმო გლოკი (გერმანია, ტოიოტა) 00:42.627
5. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) 00:43.934
6. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) 00:47.775
7. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) 00:53.597
8. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ტორო როსო) 00:54.120
9. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, მაკლარენი) 00:54.433
10. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამსი) 00:57.749
11. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) 01:07.540
12. მარკ უებერი (ავსტრალია, რედბული) 01:11.229
13. სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, ტორო როსო) 1 წრე

გ. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, ფორს ინდია) 19 წრე
გ. კაძუკი ნაკაძიმა (იაპონია, უილიამსი) 24 წრე
გ. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, რენო) 26 წრე
გ. ნელსინიუ პიკე (ბრაზილია, რენო) 31 წრე
გ. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) 51 წრე
გ. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) 51 წრე
გ. ადრიან სუტილი (გერმანია, ფორს ინდია) 57 წრე

შენიშვნა: გ - გამოეთიშა
უსწრაფესი წრე: კიმი რაიკონენი 1:17.387, მე-14 წრე

**პირადი კლასიფიკაცია 7 ეტაპის შემდეგ**

1. რობერტ კუბიცა 42 ქულა; 2. ლუის ჰემილტონი 38; 3. ფელიპე მასა 38; 4. კიმი რაიკონენი 35; 5. ნიკ ჰაიდფელდი 28; 6. ჰეიკი კოვალაინენი 15; 7. მარკ უებერი 15; 8. იარნო ტრული 12; 9. ფერნანდო ალონსო 9; 10. ნიკო როსბერგი 8; 11. კაძუკი ნაკაძიმა 7; 12. დევიდ კულტჰარდი 6; 13. ტიმო გლოკი 5; 14. სებასტიან ფეტელი 5; 15. რუბენს ბარიკელო 5; 16. ჯენსონ ბატონი 3; 17. სებასტიან ბურდე 2

**კონსტრუქტორთა პირველობა**

1. ფერარი 73 ქულა; 2. BMW ზაუბერი 70; 3. მაკლარენ-მერსედესი 53; 4. რედ ბულ-რენო 21; 5. ტოიოტა 17; 6. უილიამს-ტოიოტა 15; 7. რენო 9; 8. ჰონდა 8; 9. ტორო როსო-ფერარი 7




| | ავს | მალ | ბაჰ | ესპ | თურ | მონ | კან | საფ 22.06 | ბრი 06.07 | გერ 20.07 | უნგ 03.08 | ევრ 24.08 | ბელ 07.09 | იტა 14.09 | სინ 28.09 | იაპ 12.10 | ჩინ 19.10 | ბრა 02.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **კუბიცა** (BMW-ზაუბერი) | -- | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 42 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 10 | 4 | -- | 6 | 8 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 38 |
| **მასა** (ფერარი) | -- | -- | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 38 |
| **რაიკონენი** (ფერარი) | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 35 |
| **ჰაიდფელდი** (BMW-ზაუბერი) | 8 | 3 | 5 | -- | 4 | -- | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 28 |
| **კოვალაინენი** (მაკლარენი) | 4 | 6 | 4 | -- | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 15 |
| **უებერი** (რედ ბული) | -- | 2 | 2 | 4 | 2 | 5 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 15 |
| **ტრული** (ტოიოტა) | -- | 5 | 3 | 1 | -- | -- | 3 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 12 |
| **ალონსო** (რენო) | 5 | 1 | -- | -- | 3 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 9 |
| **როსბერგი** (უილიამსი) | 6 | -- | 1 | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 8 |
| **ნაკაძიმა** (უილიამსი) | 3 | -- | -- | 2 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 7 |
| **კულტჰარდი** (რედ ბული) | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ბარიკელო** (ჰონდა) | -- | -- | -- | -- | -- | 3 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 5 |
| **გლოკი** (ტოიოტა) | -- | -- | -- | -- | -- | -- | 5 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 5 |
| **ფეტელი** (ტორო როსო) | -- | -- | -- | -- | -- | 4 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 5 |
| **ბატონი** (ჰონდა) | -- | -- | -- | 3 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 3 |
| **ბურდე** (ტორო როსო) | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |